სახელმწიფო შესყიდვები - საბიუჯეტო თანხების ფლანგვის საუკეთესო საშუალება A4

პოლიტიკური „სტაბილურობა„ აზერბაიჯანულად A5

საარჩევნო ბიულეტენების გატანების საქმე გაიხსნება A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 5 ივნისი, 2002 წელი. №3 ფასი 50 თეთრი

დაშნაკებმა ჯავახეთს თვალი დაადგეს

"დაშნაკცუტიუნი" ჯავახეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაციას ცდილობს

სომხეთის რევოლუციურმა ფედერაციამ, რომელიც "დაშნაკცუტიუნის" სახელით უფროა ცნობილი, ჯავახეთის სომხების საკითხი სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს სხდომაზე გაიტანა და განსაკუთრებული რეზოლუციის მიღებასაც მიაღწია.

"დაშნაკცუტიუნის" პრეს-სამსახური იტყობინება, რომ სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭომ სრულუფლებიანი წევრის სტატუსი მიანიჭა სომხეთის რევოლუციურ ფედერაციას, რომელიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში 1996 წლიდან ასოცირებული წევრის, ხოლო 1999 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა. დაშნაკების სრულუფლებიან წევრობას 2003 წლის მარტში სოციალისტური ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესი დაადასტურებს.

დაშნაკები სოციალისტურ ინტერნაციონალში ჯერ კიდევ 1907 წელს გაერთიანდნენ, მაგრამ მათი წევრობა 1960-იან წლებში გაუქმდა ორგანიზაციის წევრობის წესების შეცვლის გამო.

გაგრძელება A5 გვერდზე

თბილგაზი მარცხდება A4

აფხაზეთზე ნავთობსადენის გავლა რეალურია A4

"ჯენერალ მოტორსი" საბურავების გარეშე რჩება A4

ომის საფრთხე კვლავ დღის წესრიგშია A5

რატომ გვაშფოთებს ქართული წერის გამოცდა A6

სატყუარა თბილისის აფთიაქებში A6

რონალდო აღიარებს, რომ მზად არ არის B3

ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისი B3

გადამდგარი მოდელის აღსარება B5

ქართველი "პრიმები" ინტერნეტში B6

ამინდი

თბილისი	26°
ქუთაისი	27°
ბათუმი	23°
სოხუმი	24°
ფოთი	24°
თელავი	24°
ზუგდიდი	26°
გორი	23°

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2200
ევრო	2.0906
ფუნტი სტერლინგი	3.2465
რუბლი	0.0708





იური ლუგოდინის ფოტო

არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას აზრი დაეკარგა

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: გუშინდელმა განკარგულებამ არჩევნების შემდგომი პოლიტიკური სურათი უფრო ბუნდოვანი გახადა და არჩევნების წინასწარი შედეგების გამოქვეყნებას აზრი დაუკარგა.

პირველად ქართული არჩევნების ისტორიაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრის შედეგების სრულ რევიზიას იწყებს. გადამოწმდება საარჩევნო დოკუმენტაცია, მათ შორის: ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიები, ამომრჩეველთა მიერ გამოყენებული და გამოუყენებელი, ასევე ბათილი ბიულეტენები; გაიხსნება დალუქული პაკეტები, მოხდება მათი ხელახალი გადათვლა და შედარება თბილისის საარჩევნო ოლქის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმთან. გარდა ამის, ცესკოს მიერ შექმნილ სპეციალურ ჯგუფს 1999 წლის საპარლამენტო და ყველა მომდევნო დონის არჩევნების შედეგების გადამოწმების უფლებაც ენიჭება.

ამ გადაწყვეტილების ინიციატორები იმ პარტიათა წარმომადგენლები არიან, რომლებიც, ჯერ კიდევ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, ხელისუფლებას მოსალოდნელი გაყალბების თაობაზე აფრთხილებდნენ. გუშინ მათ "სოციალისტებიც" შეუერთდნენ. სხვათა შორის, ცესკოს ახალი უმრავლესობის დაშლის შესახებ, პირველად სწორედ "სოციალისტებმა" განაცხადეს და (აწ უკვე ყოფილი) მოკავშირეები არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს.

"ჩვენ გვინდა, სამართლიანობამ გაიმარჯვოს და საბოლოოდ გაირკვეს, რამდენი ხმა ავიღეთ ჩვენ და რამდენი აიღეს იმ პარტიებმა, რომლებიც ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდნენ", – ამბობს ჟვანიას გუნდის წევრი მიხეილ მაჭავარიანი.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბიულეტენების გახსნის მომხრეა. რამდენიმე არჩევნებია, ყველა ერთბაშად გაჰკივის, რომ ხდება ტოტალური გაყალბება. არავის აინტერესებს, რასთან გვაქვს საქმე. როცა გაიხსნება ბიულეტენები, საშინელ სურათს მივიღებთ. არჩევნები სერიოზული დარღვევების გარეშე არც ერთ უბანში არ ჩატარებულა. ოქმების მიხედვით, უბნებში ამომრჩეველთა რიცხვი პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამზე ნაკლები გამოდის. უნდა ვიმსჯელოთ, გავაკეთოთ ანალიზი და დამნაშავეები დავსაჯოთ. ეს არ გამოიწვევს არჩევნების ჩაშლას, რადგან იმ უბნებში, სადაც დარღვევები დაფიქსირდება, ჩატარდება ხელახალი ხმის მიცემა." - აცხადებს "ედეპელი" დავით შუკაკიძე.

ცესკოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ლეიბორისტული პარტიისათვის, რომელმაც სრული მობილიზაცია გამოაცხადა და საკუთარი ძალები "იმელის" შენობასთან გადაისროლა. საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი დებატების შემდეგ, ლეიბორისტებმა პოზიციები დათმეს და განაცხადეს, რომ შედეგების რევიზიის წინააღმდეგი არ არიან, თუკი ხმების დათვლის პროცესი გამჭვირვალე იქნება და 48 საათში დასრულდება.

ხმამაღლა არავინ ამბობს, რა შედეგები მოჰყვება ამ რევიზიას, თუკი საარჩევნო უბნების უმრავლესობაში კენჭისყრის შედეგები გასაუქმებელი აღმოჩნდება. თუმცა, ამ შესაძლებლობას ცესკოში თითქმის არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ გამორიცხავს. გამონაკლისი მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის მოადგილეგია ზესაშვილია, რომელიც აცხადებს, რომ **"არჩევნების წინასწარი შედეგები არ შეიცვლება".**

პარლამენტში სტუმრობა შევარდნაძემ შემოდგომისთვის გადადო

ბევრ დეპუტატს პრეზიდენტის "მიღება" მაშინაც არ სურს

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი უხერხულად გრძნობს თავს პარლამენტში მისი ყოველწლიური ანგარიშის დაგვიანების გამო და დეპუტატებს ჰპირდება, რომ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე შემოდგომაზე წარდგება. პარლამენტში თავისი გამოსვლის დაგვიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქვეყნის ხელმძღვანელი "2 ივნისის არჩევნების დიდ მნიშვნელობას" ასახელებს. ტრადიციულ რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, საპარლამენტო ფრაქციების უმეტეს ნაწილში, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

"კი მაგრამ, პრეზიდენტი ხომ გასული წლის ანგარიშით უნდა წარდგეს? რა შუაშია აქ 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნები?" - გაოგნებულია ელენე თევდორაძე.

"სულაც არ არის საჭირო პრეზიდენტის მოსმენა იმაში დასარწმუნებლად, რომ მდგომარეობა ქვეყანაში დღითიდღე უარესდება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში უკვე ისიც კი ეზარებათ, რომ არსებული სიტუაცია, მეტ-ნაკლებად მისაღები ფორმით, საზოგადოებას დროზე მაინც მიაწოდონ", - აღშფოთებით საუბრობს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც პარლამენტში შევარდნაძის გამოსვლისადმი ინტერესი იმის გამოც აქვს დაკარგული, რომ პრეზიდენტის მოხსენების პროცედურა შეკითხვების გზით საკითხების დაზუსტებას ან რაიმე სახის დებატებს არ ითვალისწინებს.

გუშინდელი რადიოინტერვიუს მოსმენის შემდეგ, "გამოღმით მე ვარ, გაღმით – შენ"-ის შეგრძნება გასჩენია აკაკი ასათიანს. **"დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ პარლამენტში მობრძანების დიდი**

გაგრძელება A2 გვერდზე

გენერალი რალსტონი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიმდინარეობას ამოწმებს

კობა ლიკლიკაძე
რადიო "თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისათვის"

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა მხოლოდ ერთი კვირის დაწყებულია, ამერიკულ-ქართული ერთობლივი სწავლების მიმდინარეობის შესამოწმებლად, საქართველოს აშშ-სა და ნატოს გაერთიანებული ევროპული ძალების მთავარსარდალი ესტუმრა. 4 ივნისს, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გამართულ იმპროვიზირებულ პრესკონფერენციაზე ოთხვარსკვლავიანმა ამერიკელმა გენერალმა ჯოზეფ რალსტონმა

გაგრძელება A4 გვერდზე



გოგიტა ბასაძის ფოტო

ხელისუფლების თამაშები არჩევნების ნანგრევებში...

მაია ჭალაგანიძე

ეს თბილისი პატარა ქალაქია და თავისი უცნაური კანონები აქვს. აქ ყველა დიასახლისმა იცის, რომელ ფიდერზე ზის და რას ნიშნავს საარჩევნო "კარუსელი". ამ ბოლო ხანებში მაინც, გამუდმებით დაძაბული და საინტერესო ამბები ხდება.. და თუ აქ ცხოვრობ, ადრე თუ გვიან, ერთერთი "კანონი" – ჭორი - აუცილებლად შეგეხება, ვინც უნდა იყო. მით უფრო, თუ ამ ქალაქის თავი ხარ.

ამჯერად სერიოზული ჭორი აგორდა ვანო ზოდელავას გადადგომის შესახებ...

გაგრძელება A3 გვერდზე

ლუბიანკა მას-მედიას უტევს

რუსეთის უმსხვილეს ჰოლდინგს ფსბ-ს გენერალი ზდანოვიჩი გააკონტროლებს

რუსუდან ნიკურაძე

საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში დემოკრატიული გაზეთების დახურვის პარალელურად, ცენტრალური ტელევიზიის სახელმწიფო არხი ლუბიანკის დაქვემდებარებაში გადავიდა. რუსეთის სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ხელმძღვანელის მოადგილედ კრემლმა გაამწესა, არც მეტი არც ნაკლები, გენერალ-მაიორი ალექსანდრ ზდანოვიჩი - რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელი, რომელსაც ქართველი და რუსი ჟურნალისტები კარგად იცნობენ ჩეჩენი ბოევიკების საქართველოში ძებნის ეპოპეითა და ჰექსოგენთან დაკავშირებული ტრაგედიით.

გაგრძელება A8 გვერდზე

იგორ იაკოვლევმა "ობშჩაია გაზეტა" გაყიდა

"ობშჩაია გაზეტას" მთავარმა რედაქტორმა იგორ იაკოვლევმა, უფულობითა და მძიმე ყოფით შეწუხებულმა, გაზეთი გაყიდა. ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. რუსეთში თითზე ჩამოსათვლელი თავისუფალი გაზეთებიდან ერთ-ერთი პირველი, დემოკრატიის დროშა და ელცინის ეპოქის ინტელიგენციისათვის ცნობილი, რუსი სამართალდამცავებისა და ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანისათვის საყვარელი "ობშჩაია გაზეტა" აღარ არსებობს.

იგი სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოსულმა, ყველასათვის უცნობმა ბიზნესმენმა, ვინმე ვიაჩესლავ ლებიბმანმა იყიდა. ლეიბმანი მოსკოველებისთვისაა უცნობი, თორემ პეტერბურგში ყველამ იცის, რომ იგი ანატოლი სობჩაკის ქალიშვილის ფავორიტი და ვლადიმირ პუტინის მეგობარია. პეტერბურგული გარიგება ამჯერადაც შედგა - არა პოლიტიკურ, არმედ მედიის ასპარეზზე. გარიგება - სამარცხვინო და ბევრი ჟურნალისტისთვის სინდისთან კომპრომისის ტოლფასი. ამიტომ რედაქცია, იაკოვლევთან ერთად, ათმა კაცმა დატოვა.

საქმე ის არის, რომ მოსკოვის პოლიტიკურ ელიტაში ვლადიმირ პუტინის სანკტ-პეტერბურგელი მეგობრების რიცხვობრივი შემადგენლობა დღითიდღე მატულობს და ძალას იკრეფს. მოსკოვში ავი ენები ამტკიცებენ, რომ მალე რუსეთის დედაქალაქს ჩრდილოეთით, ნევის ნაპირებთან გადაიტანენ. შემთხვევით არ ხდება, რომ ყველა ისტორიულ დოკუმენტსა თუ დეკლარაციას რუსეთის პრეზიდენტი პეტრეს ქალაქში აფორმებს. იქ მასპინძლობდა აშშ-ს პრეზიდენტს და ერმიტაჟში დიდი ტრაპეზაც გაუმართა, რითიც ადგილობრივი ინტელიგენციის აღშფოთება დაიმსახურა.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 რუსეთი
B3 ფეხბურთი B4 ტოტალიზატორი B5 სტილი B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲓᲘᲪᲢᲔᲠ ᲑᲝᲓᲔᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲐ

ᲖᲐᲖᲐ ᲬᲣᲚᲐᲫᲔ

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, დიტერ ბოდენმა საქართველოში მოღვაწეობა დაასრულა. გერმანელი დიპლომატი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო) გერმანიის ელჩის თანამდებობაზე გააგრძელებს მუშაობას. მას შვეიცარიელი დიპლომატი ქალი ჰეიდი ტელიავინი შეცვლის. "მე საქართველოსთვის მეტის გაკეთება შემეძლო, გპირდებით, რომ ამ დანაკლისს ეუთო-ში, კავკასიის საკითხებზე მუშაობით ავანაზღაურებ." – ოდნავ უკმაყოფილო ელფერი დაჰკრავდა დიტერ ბოდენის გამოსათხოვარ სიტყვას.

62 წლის გერმანელი დიპლომატი ჩვენს ქვეყანაში პირველად 1995 წელს ჩამოვიდა და საქართველოში ეუთოს მისიას წელიწადნახევრის მანძილზე ედგა სათავეში.

სამი წლის შემდეგ, თბილისმა, რუსული და აფხაზური მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველაფერი გააკეთა, რომ ბოდენი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის რანგში დაბრუნებულიყო. თბილისის ეს დაჟინება ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ დიპლომატი საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალი გერმანიის მოქალაქეა.

საქართველოში გატარებული ორი წლისა და ხუთი თვის შეფასებისას დიტერ ბოდენი ხაზს უსვამს, რომ ეს პერიოდი მის დიპლომატიურ კარიერაში ყველაზე რთული იყო. **"ამ ხნის მანძილზე აფხაზეთში ჩვენ, მინიმუმ, ორჯერ გვქონდა სიტუაცია, როცა ომის განახლებას არაფერი აკლდა. ბედნიერი ვარ, რომ სისხლის ღვრა თავიდან ავიცილეთ და ყველა სადავო საკითხს კვლავაც მოლაპარაკებებით ვაგვარებთ და არა - იარაღით. ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო დოკუმენტი პოლიტიკური პრინციპების შესახებ. სამწუხაროდ, ვერ შევძელი, სოხუმის ხელისუფლება მის მიღებაში დამეთანხმებინა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ამას რუსეთის ხელისუფლება მოახერხებს,"** – განაცხადა გაეროს მისიის უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა.

თბილისში დიტერ ბოდენის მოღვაწეობისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არის. **"ბოდენის მუშაობის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც აფხაზებს კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისა და სტატუსის განსაზღვრისკენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში უბიძგებს. ამ დოკუმენტის უგულებელყოფა ავტომატურად ნიშნავს, რომ კონფლიქტის გაეროს ეგიდით მოგვარებაზე ამბობ უარს. ასეთი შინარსის დოკუმენტის არსებობაც კი ძალიან მომგებიანია ჩვენთვის და წამგებიანი აფხაზებისთვის. ეს ბოდენის დამსახურებაა,"** – აცხადებს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი შალვა ფიჩხაძე. ამ პოზიციას ეთანხმება პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილიც: **"ბოდენი ადექვატურად რეაგირებდა ყველა იმ კრიტიკულ მომენტზე, რომელიც ბოლო დროს კონფლიქტის ზონაში შეიქმნა. ვგულისხმობ, კოდორის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების საიდუმლო გადასხმას, იმავე ხეობაში რუსეთის დესანტის მოულოდნელ გამოჩენას. ერთ-ერთი მიზეზი რუსების სწრაფი უკანდახევისა, სწორედ ბოდენის მკვეთრი პოზიცია იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ მისია ასრულებდა თავის ძირითად ფუნქციას - მოლაპარაკებების პროცესი დაპირისპირებულ მხარეებს შორის რეალურად მიმდინარეობს. გაეროს მისიის ამოცანა მხარეთა დაახლოება და ომის განახლების საშიშროების თავიდან აცილებაა. აფხაზეთის სტატუსი და ლტოლვილების დაბრუნება დღეს, ობიექტურად, ამ ორგანიზაციის კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებს აღემატება,"** – მიიჩნევს ჭიაბერაშვილი.

თუმცა, ობივატელის მეხსიერებას ახსოვს "პროაფხაზური" და ხისტი დიტერ ბოდენიც, რომელმაც ვერ უზრუნველყო ქართველი დევნილების დაბრუნება; რომლის რეკომენდაციით, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ნაწილების გაყვანა კატეგორიულად მოითხოვა და ამით პრეზიდენტ შევარდნაძის განრისხება გამოიწვია; რომელსაც, საქართველოში რამდენჯერმე მოუწია კომენტარი მიეცა ისეთ მტკივნეულ თემაზე, როგორიც არის მისიაში თანხების უკანონო ხარჯვა, კორუფცია და ა.შ.

"შეგიძლიათ ამოიღოთ ბოდენის გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერები, იქ ჩვენთვის სასიკეთოს ვერაფერს ნახავთ," – კატეგორიულია პარლამენტარი გერმანე ფაცაცია. **"გააჩნია, გაეროს მისიის მუშაობაში შედეგს რას ვუწოდებთ. თუ ავიღებთ კონფლიქტის მოგვარებას, ცხადია, შედეგი არ არის. თუ რაღაც კონკრეტულ საკითხს ავიღებთ, მაშინ შედეგი არის. დავუშვათ, ეს არის საშუალედო მიზანი, მაგრამ თუ მას საბოლოო შედეგი - მთლიანად კონფლიქტის მოგვარება არ მოჰყვა, მაშინ რა აზრი აქვს?"** – კითხულობს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში გაეროს მისიის ყოველწლიური ბიუჯეტი 30 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. მისიის დაარსების დღიდან, 1993 წლის აგვისტოდან, მის შენახვაზე უკვე დაახლოებით 270 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. მისიის განკარგულებაშია 220 ავტომანქანა (ძირითადად ჯიპები), ოთხი ვერტმფრენი (მათგან ერთი ჩამოაგდეს, სწორედ მაშინ, როცა მისიას ბოდენი ხელმძღვანელობდა) და თვითმფრინავი. რამდენიმე ოფისი თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში. მისიაში 105 თანამშრომელი და კონტრაქტორია, რომლებიც საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებენ. მაგალითისთვის, დიტერ ბოდენის ხელფასი თვეში 20 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. მისიის უკვე ყოფილ ხელმძღვანელს, თანხების არასწორი ხარჯვის გამო, ერთხელ უკვე მკაცრად მიეთითა, ეს გასულ წელს საერთაშორისო აუდიტთა კომისიამ გააკეთა. ასევე რამდენჯერმე(!) გახმაურდა მისიის ოფისებში ორგიების(!) მოწყობის ფაქტი.

"არავისთვის არ არის უცხო, რომ ასეთი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან, რომ კონფლიქტი, რაც შეიძლება, დიდი ხნის მანძილზე არ მოგვარდეს. მათ აქვთ ოფისები თბილისში, სოხუმში, ახლა სურთ გახსნან სტამბულშიც. აქვთ უზარმაზარი ხელფასები, უფასო ტრანსპორტი, ყოველწლიურად ითხოვენ და აღწევენ დაფინანსების გაზრდას, ისინი აქ კარგად მოეწყვნენ. საქართველოს ხელისუფლება ამაზე რატომღაც დუმს," – აცხადებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი.



ᲑᲔᲡᲘᲙ ᲒᲣᲚᲐᲒᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როგორც წესი, თბილისი გაეროს მისიის მოღვაწეობაში არასასურველ მომენტებზე მხოლოდ მაშინ ხმაურობს, როცა მისიის პოზიცია ზედმეტად ხისტი და პროაფხაზური (რუსული) ეჩვენება. ამჯერად საპირისპირო სიტუაციაა. გამომშვიდობებისას დიტერ ბოდენმა მეტად თამამი განცხადება გააკეთა: მან მხარი დაუჭირა აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციას. საპასუხოდ, თბილისმა გერმანელი დიპლომატი, როგორც მეგობარი, ისე გააცილა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ - ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ „ᲡᲬᲠᲐᲤᲘ„ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ

"ერთ უბანზე ერთ წუთში გასტუმრებულ ამომრჩეველთა რაოდენობა,დაახლოებით, სამ კაცს აღწევს", - ამგვარი ინფორმაციით დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია მოქკავშირელმა პარლამენტარმა გელა კვარაცხელიამ. ამგვარი განგარიშების საშუალება პარლამენტარს მისცა ცსკ-ს მიერ გავრცელებულმა ოფიციალურმა ინფორმაციამ 2 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების დინამიკის შესახებ.შეგახსენებთ,რომ ამ ინფორმაციის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობდა 270 000 ადამიანი. 13 საათისათვის 55 482 ამომრჩეველს ჰქონდა ხმა მიცემული, 18 საათისათვის-127 608-ს, 20 საათისათვის-255 216-ს. მათემატიკური გაანგარიშებით, ბოლო ორ საათში საარჩევნო ყუთებთან 127 608 (255 216-127 608 =127 608) ამომრჩეველი მივიდა. სულ 400 საარჩევნო უბანი მოქმედებდა, ერთ უბანში მისულთა რაოდენობა 319 ადამიანია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ უბანზე ერთ წუთში გასტუმრებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2,7 კაცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ სუსტად იყო ორგანიზებული საარჩევნო პროცესი, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ამომრჩეველი ყველაზე "სწრაფია" მსოფლიოში.

გელა კვარაცხელიამ ჯუმბერ ლომინაძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ამხილა. პარლამენტარი პროკურატურაში საქმის აღძვრას აპირებს:

"მხედველობაში მაქვს ის უკანონო შეზღუდვები, რომლებიც მე დამიწესეს რუსთავში საარჩევნო კომისიის წევრებმა. შესაბამის მასალებს პროკურატურას გადავცემ".

გელა კვარაცხელია რუსთავში ბიულეტენების დატაცებაში ღევან მამალაძის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფს და სხვა საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას: რატომ და ვინ გადაკეტა 7საათზე გზა, რატომ აჭედეს საარჩევნო უბნის კარი? დაგვიანებით, რვის ნახევარზე რატომ მიჰქონდათ ბიულეტინები? ვინ დგას ამ დარღვევების უკან?- ბატონი კვარაცხელია ამ კითხვებზე პასუხებს მოითხოვს.

პრესკონფერენციის დასასრულს, "24 საათის" კორესპონდენტმა კვარაცხელიას 1 ივნისს კასაბლანკაში გამართულ სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს შესახებ დაუსვა შეკითხვა (სოცინტერნის საბჭოზე, სომეხმა დაშნაკებმა, ჯავახეთში ეროვნული უმცირესობის ეთნიკური ნიშნით ჩაგვრის საკითხი დააყენეს. სოცინტერნმა იმსჯელა და სპეციალური რეზოლუციაც მიიღო). როგორც ცნობილია, "მოქკავშირი" "სოცინტერნის" წევრია, მაგრამ გელა კვარაცხელიამ ზემოთ აღნიშნული ფაქტის თაობაზე არაფერი იცოდა. ჩვენს შეკითხვაზე, ის მაინც თუ იცის, რომ მოქალაქეთა კავშირი სოცინტერნის წევრია, ბატონმა გელამ დადებითად გვიპასუხა, თანაც დაგვპირდა, რომ ჩვენგან შეტყობილი ამ ფაქტის შესახებ მოქკავშირი პარლამენტში პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს.

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ„ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚ ᲓᲐᲗᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲚᲘᲙᲐ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ

გუშინ დილით, შევარდნაძის ტრადიციულ ბრიფინგზე, "ნაციონალური მოძრაობის" მისამართით გაკეთებულ განცხადებას - **"გაიმარჯვეს იმიტომ, რომ მათ ლოზუნგი ჰქონდათ ისეთი, რომელიც ხალხისთვის მიმზიდველი იყოო"**, ბლოკ "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

დღის მეორე ნახევარში გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბერძენიშვილმა ჩვეული ირონიით აღნიშნა: **"ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ჩვენი და შევარდნაძის შეფასებები ერთმანეთს ემთხვევა. "თბილისი შევარდნაძის გარეშე" რომ მიმზიდველი ლოზუნგია, ჩვენ ეს არჩევნებამდეც ვიცოდით და მე კმაყოფილი ვარ, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს თვითონაც მიმზიდველად ჩაეთვალა."** მისი თქმით, ხელისუფლება მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა არჩევნების ჩაშლას და ეს რომ არ გამოუვიდა, ტაქტიკა შეცვალა – საუბარი დაიწყო იმაზე, რომ ის ხმები, რაც გამარჯვებულმა პარტიებმა მიიღეს, მათთვის სავსებით საკმარისია.

ზვიად ძიძიგურის განცხადებით, 2002 წლის 2 ივნისის არჩევნები გაყალბდა პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ. გაყალბების მთავარი მიზანი კი ის იყო, რომ ხელი შეეშალათ მათი ბლოკისთვის, დანაპირების შესრულებაში. როგორც მან აღნიშნა, ამ გაყალბებით ხელისუფლება ალბათ მიაღწევს იმას, რომ საკრებულოს თავმჯდომარე არ იქნება ოპოზიციონერი და მათი ბლოკი საკრებულოში მხოლოდ 14 კაცით იქნება წარმოდგენილი. თუმცა, როგორც მოძრაობის ლიდერებმა განაცხადეს, ისინი ყველანაირად ეცდებიან, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თბილისის მოსახლეობასთან დადებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა შეასრულონ.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები ბიულეტენების ხელახალ დათვლას ითხოვენ. ამ მოთხოვნას ისინი შემდეგნაირად ხსნიან: **"ჩვენ ვიცავთ ჩვენს ხმებსაც და სხვის ხმებსაც, ამიტომ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს წარმომადგენელს ცესკოსა და პარლამენტში, მხარი დაგვიჭირონ ბიულეტენების გადათვლაში... თუ პოლიტიკური ორგანიზაციები არ დაუჭერენ მხარს არჩევნების რეალური შედეგების დადგენას, გამოჩნდება, რომ მათთვისაა არჩევნები გაყალბებული."**

როგორც დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, მათ არჩევნები მოიგეს არა მარტო იმ ოლქებში, სადაც კარგ შედეგებს ელოდებოდნენ (ვაკე, საბურთალო, მთაწმინდა), არამედ იქაც, სადაც ნაკლებად ჰქონდათ გამარჯვების იმედი (დიდუბე, ისანი, კრწანისი). მისი თქმით, ძალზე მცირეა ჩამორჩენა სამგორსა და ჩუღურეთში, ხოლო არაადეკვატურად დიდი - ნაძალადევსა და, განსაკუთრებით, გლდანში. მოძრაობის ლიდერის აზრით, ეს დინამიკის დარღვევაა და გაყალბებაზე მიანიშნებს. **"ამიტომაც ვითხოვთ ბიულეტენების ხელახალ დათვლას, ჩვენ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მოვითხოვოთ არჩევნების შედეგების შემოწმება."** – აღნიშნა მან.

ᲐᲭᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ, ᲐᲭᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ოზურგეთში სოციალური პირობებით გაწამებული მოსახლეობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებს ინდიფერენტულად ნამდვილად არ შეხვედრია. მრავალი იმედი და მოლოდინი იმისა, რომ სასიკეთოდ ახლა მაინც შეიცვლება რაიმე, საკმაო სტიმული გახდა საიმისოდ, რომ ამომრჩევლებს საარჩევნო უბნებისკენ ერთსულოვნად გაეწიათ.

ელექტორატის აქტიურობაში იმ ფაქტმაც ითამაშა დიდი როლი, რომ ამ არჩევნებში კანდიდატთა ჯერ არნახული რაოდენობა მონაწილეობდა, თან თითოეულ მათგანს მხარდამჭერთა, აგიტატორთა, ნდობით აღჭურვილ პირთა და საარჩევნო შტაბებთან მოტრიალე გულშემატკივართა მოზრდილი მობილური რაზმები უჭერდნენ მხარს. ეს რაზმები, გადაბირების მიზნით, მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე, მოსვენებას არ აძლევდნენ ამომრჩევლებს.

ქ. ოზურგეთში 14 076 ამომრჩევლიდან 7 512 მისცა ხმა (56%). ქალაქის გამგებლის პოსტის მაძიებელთა შორის, საინიციატივო ჯგუფის მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა, სამედიცინო კომპანიის გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსმა - ლევან ურუშაძემ იმარჯვა, მან 2236 ხმა დააგროვა და სულ რაღაც 160 ხმით აჯობა მეორე ადგილზე გასულ, ასევე დამოუკიდებელ კანდიდატს - ივანე ტაბატაძეს, რომლის შედეგი ერთგვარი მოულოდნელობა იყო, რადგანაც ურუშაძეს "მძიმე არტილერია" - ადგილობრივი ხელისუფლება და "ახალი მემარჯვენეები" უჭერდნენ მხარს, ტაბატაძე კი პარტიულ-პოლიტიკური საყრდენის გარეშე იბრძოდა საარჩევნო რინგზე.

ოზურგეთის №60 საარჩევნო საოლქო კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ მექვაბიშვილის განცხადებით, ოზურგეთის არჩევნები რაიმე განსაკუთრებული ექსცესების გარეშე ჩატარდა. 6 სოფლისა და დაბის გარდა, საკრებულოებში ძველი გამგებლები და მათი გუნდები აირჩიეს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეს ძველები სულ მალე "ახლებად" მოგვევლინებიან. ოზურგეთის რაიონის საკადრო პოლიტიკაში კიდევ ერთი რეზონანსული ფაქტი მოხდა: სოფელ ბახვში არჩევნებში გაიმარჯვა შსს მინისტრის მოადგილის, გენერალ მაიორის ზურაბ ჩხაიძის მამამ - ვახტანგ ჩხაიძემ. გაბრიელ ეპისკოპოსის მშობლიურ სოფელში ხავერდოვანი მინი რევოლუცია მოხდა (რაიონის მასშტაბით) - ბლოკ "აღორძინების" ერთ-ერთი წევრი, გამგებელი დემურ მეგრელიშვილი ხალხმა აღარ აირჩია, რადგან სოფელს აღორძინებისა არა ეტყობოდა რა.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲛᲝ

ᲑᲔᲕᲠ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ "ᲛᲘᲦᲔᲑᲐ" ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ხალისი საქართველოს პრეზიდენტს არასდროს ჰქონია. ასე მგონია, ის ამ ქვეყანაში არ ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, მე იმ ქვეყანაში არ ვცხოვრობ, რომელსაც შევარდნაძე მართავს", - შენიშნავს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, რომელიც მოხსენების გადადებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმით ხსნის, რომ **"შევარდნაძეს, ეტყობა, უნდა შემოდგომამდე თვითონაც დაისვენოს და ჩვენც დაგვასვენოს".**

აკაკი ასათიანის ხუმრობანარევი ტონალობისგან ბევრად განსხვავებულია ჯემალ გოგიტიძის პოზიცია. ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე პრეზიდენტის წინააღმდეგ ხმალალესილი ილაშქრებს:

"შევარდნაძეს მოსასვლელი პირი არა აქვს და ამიტომ პარლამენტში საერთოდ არ უნდა მოვიდეს. რომ მოვიდეს, რა უნდა თქვას? მისგან მხოლოდ "ფუტლიარიღაა" დარჩენილი და სიმბოლურად დევს თავის ტახტზე. ის ხან რუსეთისგან იმართება, ხანაც – ამერიკისგან, ამასობაში კი ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება", - აცხადებს გოგიტიძე.

ბუნებრივია, პარლამენტში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ისეთი დეპუტატებიც, რომლებიც პრეზიდენტის ნებისმიერ პოზიციას დაიცავენ და მის გადაწყვეტილებებს გაამართლებენ.

"პრეზიდენტის გადასაწყვეტია, როდის მოახსენებს პარლამენტს იმას, რასაც ფიქრობს, რასაც აკეთებს და რა გზებითაც აპირებს ამ უსუსური ქვეყნის ფონს გაყვანას. შევარდნაძე, ძირითადად, იმით არის დაკავებული, რით უშველოს თავის სამშობლოს, ხოლო მათ, ვისაც უნდათ პრეზიდენტის ანგარიშის გადადებაში დიდი უბედურება დაინახონ, საკუთარი პრობლემები უფრო აწუხებთ, ვიდრე ქვეყნის ბედი", - მიიჩნევს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "თანადგომის" წარმომადგენელი ნოდარ ამაღლობელი.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, პარლამენტის წინაშე ანგარიშით შემოდგომაზე გამოსვლის თაობაზე, "თანადგომის" წევრთა გარდა, ფრაქცია "ალიანსი –ახალი საქართველოსთვის" დეპუტაციაც უჭერს მხარს.

ᲒᲝᲠᲡ "ᲐᲮᲐᲚᲘ" ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲣᲚᲔᲣᲠᲘ

გორის საოლქო საარჩევნო კომისიამ შეაჯამა არჩევნების შედეგები. ქალაქის გამგებელი 7516 ხმით გახდა პაატა ჩხეიძე ("ახალი მემარჯვენეები"). შოთა ჩოჩიშვილმა, რომელიც მისი მთავარი კონკურენტი იყო "ნაციონალური მოძრაობიდან", 4938 ხმა მიიღო.

უკვე გაირკვა საკრებულოს წევრთა ვინაობაც. წინასწარმა მონაცემებმა ოდნავი ცვლილება განიცადა - საკრებულოს ცხრა წევრიდან, ექვსი "ახალი მემარჯვენეების", სამი კი - საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელია. "ახლებს" არჩევნებზე სულ რვა კანდიდატი ჰყავდათ წარდგენილი. როგორც გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გოგი რაზმაძემ გვითხრა, საჩივრები დარღვევების შესახებ კომისიაში არ შესულა, თუმცა დარღვევების შესახებ ყველა საუბრობს. ერთადერთი დარღვევა ბელოთის საარჩევნო უბანში დაფიქსირდა, სადაც ერთ-ერთმა კანდიდატმა გაიტაცა ბიულეტენებით სავსე საარჩევნო ყუთი და ლიახვში გადააგდო. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, არჩევნების კი ხელახლა დანიშნება.

ორი განცხადება საარჩევნო კომისიას პროკურატურამ გადმოუგზავნა: ერთი სოფელ ხიდისთავში დაფიქსირებულ დარღვევებს ეხება, ხოლო მეორე გორის მერობის კანდიდატის იოსებ სოსიაშვილის (ბლოკი "ერთობა") განცხადებაა არჩევნების გაყალბების თაობაზე. თუმცა, როგორც გოგი რაზმაძემ გვითხრა, არცერთ ფაქტზე სოსიაშვილს არ გააჩნია დამადასტურებელი დოკუმენტები და არც საუბნო კომისიების თავმჯდომარეების სახელზე დაუწერია განცხადება, როგორც ეს კანონით იყო განსაზღვრული.

რაც შეეხება გორის რაიონის თემთა საკრებულოებს, მათი შემადგენლობა ჯერ არ არის ცნობილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გორის რაიონის ყოფილი გამგებელი შიო კოშაძე ქვახვრელის თემის საკრებულოში იყრიდა კენჭს. ამით მას შანსი ეძლევა, კვლავ დაინიშნოს გორის რაიონის გამგებლად, რადგან თემთა საკრებულოების თავმჯდომარეები ქმნიან რაიონის საკრებულოს, ხოლო მათგან ერთ-ერთს პრეზიდენტი ნიშნავს რაიონის გამგებლად. ქალაქში გავრცელებული ხმებით, ამ პოსტზე მისი რეალური მოწინააღმდეგე "ახლების" კანდიდატი ზაურ საგანელიძეა, რომელიც ატენის თემში იყრიდა კენჭს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

ხელისუფლების თამაშები არჩევნების ნანგრევებში...

პირველი გვერდიდან

- ბატონო ვანო, გული რას გიგრძნობთ?

გული კარგს მიგრძნობს და ჭორის დამყრელი ბევრი გამისტუმრებია... მე ისევ თანამდებობაზე ვარ და ისინი რიგითები არიან.

- რამდენად იყო მოსალოდნელი თქვენთვის 2 ივნისის არჩევნების შედეგები, თუ გავითვალისწინებთ, რომ ღიად უჭერდით მხარს მოქალაქეთა კავშირის პირველ ნომერს - ლადო კახაძეს, რომლისთვისაც ეს არჩევნები სრული კრახით დამთავრდა.

- კახაძისთვის კრახით არ დასრულებულა. ის ღირსეული პიროვნებაა და ასეთად დარჩება... რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირს, მე გეკითხებით: მკვდარის გაცოცხლება შეიძლება 3 დღეში? მე მგონი - არა...

- მაგრამ სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ მოქალაქეთა კავშირის მარცხი ქალაქის ადმინისტრაციის ცუდი მუშაობის ბრალია.

- ძალიანაც კარგი. მერია არ უნდა ერეოდეს პარტიების დებატებსა და კამათში.

- ხალხმა უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. სხვათა შორის, დამეთანხმებით, ბატონი ავთო მოფილიყო. პარლამენტმა ამაზე იმსჯელა, მიიღო 30-კაციანი შემადგენლობა, მაგრამ იმისათვის, რომ ბევრი პარტია მოხვედრილიყო საკრებულოში, გაზარდეს ეს რიცხვი და, ჩემი აზრით, არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა, ჩვენ რომ ჩავრეულიყავით ამ არჩევნებში...

- ვინ, თქვენ?

- მმმ, ხელისუფლება, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ის პარტია მოვიდოდა სათავეში, რომელიც მას უნდოდა, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ არ ჩავერიე ამ პროცესში... მე მოწოდებაც არ გამიკეთებია მოქალაქეთა კავშირის სასარგებლოდ...

- საარჩევნო კლიპი?

- კლიპი მოწოდება არ არის...

- იქ მაინც თქვენი სახე იყო...

- იქ მარტო ჩემი სახე არ იყო, იქ ბევრი ღირსეული ადამიანის სახე იყო...

- საკრებულოში ლეიბორისტები მოვიდნენ უმრავლესობით, თქვენ მათთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ, მაგრამ მათ ნაციონალისტებიც დაემატნენ. როგორ აპირებთ მუშაობას?

- თანამშრომლობით, ურთიერთპატივისცემითა და საკითხების შეჯერებით.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი განცხადებები მერის არჩევითობის შესახებ ხომ არ გახდა ერთ-ერთი მიზეზი დაპირისპირებისა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან?

- თქვენ როგორ ფიქრობთ, სწორი ვარ თუ არა?

- ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ... ხომ არ იყო ეს მიზეზი თქვენს გარშემო კონფლიქტური გარემოს შექმნისა?

- არ ვიცი, რა გახდა მიზეზი, მაგრამ მე დღესაც იმას ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ქალაქის მერი არჩეული უნდა იყოს.

- იქნებ ვაკის არჩევნებში ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მხარდაჭერაა მიზეზი?

- სააკაშვილსაც და სარიშვილსაც დიდ პატივს ვცემ. ორივე ნიჭიერი პოლიტიკოსია, მაგრამ მე არცერთისთვის არ დამიჭერია მხარი, თუმცა მიმაჩნია, რომ ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ხმათა უმრავლესობით სააკაშვილი გავიდა...

- თქვენ რომ არჩეული მერი ყოფილიყავით, ამ არჩევნებზე მიიღებდით თუ არა მოსახლეობის უფრო მეტ მხარდაჭერას?

- ახლა არავითარ მხარდაჭერაზე არ შეიძლება საუბარი, თქვენ თუ მე მოქალაქეთა კავშირთან მაიგივებთ, ძალიან დიდი შეცდომაა. ნეტა ყოფილიყო არჩევნები და ვნახავდით, ვინ როგორ მხარდაჭერას მოიპოვებდა.

- ვიცი, რომ თქვენ გუშინ პრეზიდენტს შეხვედით...

- არა, ეგ ბედნიერება არ მქონია...

- თქვენ ისეთი სტრარეგიული მნიშვნელობის ქალაქის მერი იყავით, როგორიც ფოთია. თბილისი და ფოთი ის ორი ქალაქია, სადაც პრეზიდენტი მერის დანიშვნას აუცილებლად მიიჩნევს. თქვენი ფოთში მუშაობის პერიოდში ხომ არ გადაკვეთილა თქვენი და შევარდნაძეების ინტერესები, ხომ არ ყოფილა ზეწოლა?

- არა, გამორიცხულია. ჩემზე ზეწოლა არ მოქმედებს და ვერავინ დაიბრალებს, ზოდელავას ზეწოლით საქმეს ვაკეთებინებო...

- ბევრს საუბრობენ თქვენი უძრავი ქონების შესახებ...

- მე შეძლებული კაცი ვარ და არაფერს ვმალავ. ჩემი დეკლარაცია გამჭვირვალეა და არაერთხელ მიმიწოდებია მასმედიისათვის ეს ინფორმაცია... ვაი მას, ვისაც ამ წლების მანძილზე ბევრი აქვს ნაშოვნი და შიშით ვერ აჩენს... მახსოვს, საკრებულოს და პარლამენტის ზოგიერთი წევრი, ცალი ქალამნით მოვიდა და დღეს ძალიან კარგად გამოიყურება...

- და მაინც... თქვენ შიგნიდან უყურებთ ამ მოვლენებს. როგორია ლოგიკა, დარჩებით თუ არა ქალაქის მერად?

- ეგ პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ... და მოსახლეობას... მე თანახმა ვარ არჩევითობაზე...

- ანუ თქვენ მზად ხართ სამუშაოდ, საბრძოლველად და პრინციპების დასაცავად...

- რა თქმა უნდა; დღე და ღამე იმაზე ვფიქრობ, როგორ გავუმჯობესო მოსახლეობას პირობები... ჩემთვის მიწისძვრის პრობლემები არ ჩამქრალა, ყოველდღიურად ვეხები მათ.

- როგორ ფიქრობთ, როგორი დღე იქნება ხვალ...

- ხვალ? თქვენთვის, დარწმუნებული ვარ, კარგი... თქვენთვისაც და ჩემთვისაც...

...

კიდევ ბევრი ჭორი დადის კანცელარიაში...

არ გავახმაურებთ, თორემ ნამდვილი კარუსელი, აი, მაშინ დაიწყება.



ლევან ხარებაულიძის ფოტო



ბესო გულაშვილის ფოტო

- როგორც ჩანს, ჭორიც ცოცხალი ორგანიზმია და ნელ-ნელა ვითარდება. სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს და ქალაქის მერს შორის არსებული დაპირისპირება დიდი ხანია, რაც ჭორი აღარ არის... მაგრამ ორმხრივმა უკმაყოფილებამ დაპირისპირება ახალ ფაზაში შეიყვანა.

- ბატონო ავთო, თქვენ აცხადებთ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ნეიტრალური პოზიცია ეკავა არჩევნებში... არადა, ისიც ფაქტია, რომ ურნების დატაცება, უბნების დარბევა არ მოხდებოდა, ხელისუფლებას რომ წესრიგი უზრუნველეყო... რატომ აბრალებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ თქვენ, არჩევნების ცუდად ჩატარებას?

- ყველა სახელისუფლო სტრუქტურას არჩევნების დროს თავისი კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი აქვს. ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო დაფინანსების უზრუნველყოფა, ეს საკმაოდ დიდი თანხაა... ხელისუფლების მოვალეობა, აგრეთვე, ცესკოს მუშაობისთვის ხელის შეწყობაა. ხელისუფლებამ, პრეზიდენტმა ყველა თავისი მოვალეობა პირნათლად შეარულა.

მეორე ძალზე მნიშვნელოვან საკითხზეც გავამახვილებ ყურადღებას – ხშირად ხელისუფლება არჩევნებში ერეოდა ხოლმე, ხელისუფლებას ჰქონდა თავისი გამოკვეთილი ინტერესები - თავისი პარტია და ბოლო წლებში რაც არჩევნებთან დაკავშირებით ხდებოდა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით... შევეცადეთ შეგვექმნა გარემო, როცა ხელისუფლება საზოგადოებას თავის ინტერესებს თავს არ მოახვევდა. ჩვენ ამას მივაღწიეთ. საქართველოში, ამ გარდამავალი ეპოქის ტიპის ქვეყანაში, განვითარების ამ ეტაპზე, ძალიან სერიოზული განაცხადი გაკეთდა ხელისუფლებისა, რომ არანაირი ზეგავლენა არ მოეხდინა ხალხზე არჩევანის გაკეთებისას. ჩვენ ეს პატიოსნად შევასრულეთ.

- თქვენ ცესკოსკენ იშვერთ ხელს, დადგება თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკითხი...

- რეალურად უნდა ჩატარდეს სერიოზული გამოკვლევა იმაზე, რაც არჩევნებზე მოხდა. მომხრე ვარ, შეიქმნას სერიოზული კომისია, საზოგადოების, არასამთავრობის, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ამ კომისიამ უნდა შეისწავლოს, ვის სჭირდებოდა და რატომ მოხდა ეს დარღვევები. ჩვენ გაცილებით სერიოზული პრობლემები გვექნება, როცა საპარლამენტო არჩევნების დრო მოვა.

- ჟვანია თანახმაა ხელახალ არჩევნებზე, თუ დაისჯება მთავარი დამნაშავე, ანუ თქვენ...

- არჩევნების ჩატარება განსაზღვრულია კანონით, საქართველოს კონსტიტუციით. ამ კანონის დარღვევის უფლება ამ ქვეყანაზე არავის აქვს. თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე, ჩვენ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ.

- თქვენ აცხადებთ, რომ მოქალაქეთა კავშირს ხმები იმიტომ მოაკლდა, რომ ზოდელავამ კარგად არ იმუშავა მოსახლეობაში. დადგება თუ არა ქალაქის ამჟამინდელი მერის პასუხისმგებლობის საკითხი.

- მოქალაქეთა კავშირთან დაკავშირებით ის მინდა ვთქვა, რომ არ ჩავრეულვარ შიდაპარტიულ დაპირისპირებაში. საერთო ჯამში, იმასაც შესწავლა და გაანალიზება უნდა, თუ რატომ წარმოიქმნა ორი ფრთა ერთ პარტიაში. ქვეყანაში ამ გარდამავალ ათწლეულში რეალურად ვერ მოხერხდა საზოგადოების ნორმალური სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება. კლასიკური გაგებით პარტიების არსებობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია.

- კონკრეტულად ზოდელავას ბრალი რა არის?

- არ არის აქ მთავარი ზოდელავა. პარტიის დაშლის მიზეზები უფრო მთავარია. არჩევნების შემდეგ ქალაქში ძალთა გადანაწილება შეიცვალა და ეს მთლიანად არის დამოკიდებული ქალაქის ადმინისტრაციაზე. ამ მოვლენების შესწავლა და დასკვნების გაკეთებაა საჭირო. პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ კვლევის შედეგად დადგება.

4%-იან ბარიერს მიღმა დარჩენილები

სოფიკო ოხანაშვილი

2 ივნისს ჩატარებულმა თვითმართველობის არჩევნებმა ბევრ პოლიტიკურ ძალას გაუცრუა იმედი. 4%-იანი ბარიერის გადალახვა ჯერჯერობით მხოლოდ 7-მა პარტიამ შეძლო. ზღვარს მიღმა დარჩენილი პოლიტიკური პარტიები ბევრს ლაპარაკობენ სხვადასხვა სახის დარღვევაზე, მაგრამ ძირითად დარღვევად სიების არასწორად შედგენასა და ცესკოს არაორგანიზებულობას ასახელებენ.

დამარცხებული პარტიები არ აპირებენ საკუთარი პოზიციების დათმობას – ისინი სიების გადამოწმებას ითხოვენ, თუმცა ვინმეს პირდაპირი დადანაშაულებისგან თავს იკავებენ.

ვლადიმერ კახაძე – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე:

- ვერავის გავაგებინე, რომ მე არ მაქვს პარტია. ჩემი პარტია ჩემი საქართველოა. რაც შეეხება არჩევნებს, რა სოციუმიცაა, ის არჩევნებია. დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ იქ, სადაც გრძნობასა და გონებას სტომაქი სჯობნის, სადაც 5 ლარის გამო ადამიანი ენაგადმოგდებული დარბის, იდეებზე ლაპარაკი ზედმეტია.

რა თქმა უნდა, ეს არჩევნები გაყალბდა. არჩევნები კი არა, მთელი ქვეყანაა გაყალბებული. ჩვენ რა შედეგიც მივიღეთ, ამის მიზეზი ჩვენში უნდა ვეძებოთ.

ნეტავ, ამ არჩევნებით მოგვარდებოდეს ყველაფერი, ნეტავ, პირობებსა და შესრულებას შორის ვაკუუმი აღარ იყოს და მე ყველას გვერდით ამოვუდგები.

ეს არჩევნები საზოგადოების ტესტირება იყო. საზოგადოებას არც ერთი პარტიის არ სჯერა. შვიდივე პარტია, რომელმაც გადალახა 4%-იანი ბარიერი, ერთი და იგივე მმართველი პარტიაა, ოღონდ სხვადასხვა ამპლუაში. ზოგი რად მოგვევლინა და ზოგი - რად.

რაც შეეხება საკრებულოს მომავალ თავმჯდომარეს, ვინც არ უნდა იყოს, თუ დავინახე, რომ მას თბილისი და თვითმართველობა აინტერესებს და თავის თანამდებობას პარლამენტში მოსახვედრად არ გამოიყენებს, მხარში ამოვუდგები და დავეხმარები. მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ საკრებულოს ბიუჯეტი საპარლამენტო არჩევნებს მოხმარდება, იმიტომ, რომ დღევანდელი პოლიტიკოსების უმრავლესობა მოლაყბეები არიან. ისეთი განცხადებები გაკეთდა, ისეთი დაპირებები გაისმა, რომ საკრებულოს ბიუჯეტით ამის შესრულება, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს პოპულისტობისთვის გაკეთდა.

ალექსანდრე შალამბერიძე - ფრაქცია "ტრადიციონალისტი":

- სიები იყო უკანონო. ვინც თბილისის ძირითადი მაცხოვრებელია, ისინი არ იყვნენ ძირითად სიებში და მათ ნაცვლად ვიღაც-ვიღაცეები შეიყვანეს. თბილისის მოსახლეობას კი სირბილი და დამატებით სიებში ჩაწერა მოუხდა. სიებზე არ იყო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა. ამის გარდა, ჩვენმა დამკვირვებლებმა უამრავი დარღვევა დააფიქსირეს.

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე რამდენიმე პარტია შევთანხმდით, რომ არჩევნების შემდეგ მოხდებოდა სიების გადამოწმება. ახლა გამოჩნდება, ვინ დაუჭერს ამ გადაწყვეტილებას მხარს და ვინ იქნება წინააღმდეგი. ასეთი შეთანხმების მიზეზი ცესკოს მიმართ უნდობლობაა.

არჩევნებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა საზოგადოების ანტისამთავრობო განწყობა. მე უფრო უარესს შედეგსაც ველოდი.

რომელიმე პარტიასთან თანამშრომლობა აუცილებელი პროცესია, იმიტომ, რომ საზოგადოება უფრო კარგად გაერკვევა პოლიტიკურ ატმოსფეროში და ნაკლებად დაიბნევა. ამ მხრივ ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით, როცა სახალხო პარტიასთან გავერთიანდით. მომავალში ვისთან მოხდება გაერთიანება ან დაკავშირება, ამაზე პასუხს ახლა ვერ გაგცემთ.

მამუკა გიორგაძე – სახალხო პარტია:

- რა ამომრჩევლებით ჩატარდა ეს არჩევნები, ამას ვერავინ გეტყვით. ფაქტობრივად, არ არსებობდა სიები. თბილისელების უმრავლესობამ რეგისტრაცია დამატებით სიებში გაიარა, ხოლო ვინ იყო ძირითად სიებში, გაუგებარია. ჩვენც სწორედ სიები გავასაჩივრეთ, იმ ათასობით დარღვევაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რასაც ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი.

ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია, რამდენიმე პარტია სიების გადამოწმებაზე შევთანხმდეთ. აქ უკვე გამოჩნდება, ვის ინტერესებში შედიოდა დარღვევები.

ამ არჩევნებს ჩვენი პარტიისთვის, ფაქტობრივად, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ არ ვისახავდით მიზნად თვითდამკვიდრების, როგორც თითქმის ყველა დანარჩენი პარტია. ამიტომ არ გვჭირდებოდა ისეთი აგრესიული პოლიტიკური ბრძოლის წარმოება, რაც სხვებმა გამოიყენეს. მიზანი, რის გამოც არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა, ის არის, რომ ჩვენ ცოცხალი ორგანიზმი ვართ და არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჩვენი პირდაპირი საქმეა. თავად არჩევნები კი ხელისუფლების შეცვლის საუკეთესო გზაა.

ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა იყოს დაახლოებით სამი დიდი და ძლიერი პოლიტიკური ძალა. ჩვენ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ვისთან ვაპირებთ თანამშრომლობას. მომავალი წლისთვის ჩამოვყალიბდებით.

გიორგი თარგამაძე, "აღორძინება": მერი ინიშნება პრეზიდენტის მიერ და მერის მიერ გაკეთებული ან გაუკეთებელი საქმეები პრეზიდენტის ავტორიტეტზე აისახება. თუმცა, თავისთავად მერიაზე პასუხისმგებლობის გადაბრალება, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა. მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ მერი, ეს არ არის მოქალაქეთა კავშირი. არ გამოვრიცხავ, რომ საკრებულოში ძალთა გადანაწილებამ ზოდელავას ადგილი დააკარგვინოს.

დავით ბერძენიშვილი, "ნაციონალური მოძრაობა": შევარდნაძის ხელისუფლება გაკოტრებულია. თუ ავთანდილ ჯორბენაძის ეს განცხადება ვანო ზოდელავასთან კარგა ხნის დაწყებული კონფლიქტის გაგრძელებაა, მაშინ ის სახელისუფლებო ინტრიგების სფეროს მიეკუთვნება და ამგვარ განცხადებას არჩევნების შეფასებასთან საერთო არაფერი აქვს. არ არის გამორიცხული, ზოდელავა გაიწიროს, რადგან შევარდნაძის ხელისუფლებაში გარკვეული დროის შემდეგ ხალხს იშორებენ. ალბათ ლევან მამალაძესაც იგივე ბედი ეწევა.

ირინა სარიშვილი, ედპ: არ ვიცი, რა უდევს ამ განცხადებას საფუძვლად, მაგრამ ის, რომ არჩევნები გაყალბებულად ჩატარდა, ამაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი მერიას მიუძღვის. მათი თანხმობის და მათთან თანამშრომლობის გარეშე სიები ვერ გაყალბდებოდა.

ლევან გაჩეჩილაძე, "ახლები": რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირი სახელისუფლებო პარტიაა, ამიტომ მისი კრახი ხელისუფლების ბრალია. შესაბამისად, თუ საქმე ეხება თბილისის ხელისუფლებას, არჩევნებში წარუმატებლობა მერიას ბრალდება. საკრებულოს არჩევნების მაღალ დონეზე წამოწევა თავისთავად იმის ნიშანია, რომ ზოდელავა ვერ ასრულებს თავის მოვალეობას.

ზურაბ ტყემალაძე, "მრეწველთა პარტია": ვანო ზოდელავა მერად დარჩება თუ არა, ეს ამ არჩევნებს არ გადაუწყვეტია. იმედია, მის მიმართ ადეკვატური ზომები იქნება მიღებული, ანუ შეფასდება ის, რაც გააკეთა მან ქალაქისთვის.

ვახტანგ რჩეულიშვილი, "სოციალისტი": მე არა მგონია, მოქალაქეთა კავშირის დამარცხება უშუალოდ მერიის ბრალი იყოს. თუმცა გამგებლებს ამ საქმეში ნამდვილად მიუძღვით წვლილი. დარჩება თუ არა ვანო ზოდელავა მერად, ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია. პრეზიდენტის გადაწყვეტილებების წინასწარი განჭვრეტა, არა მგონია, ვინმეს შეეძლოს.

ავთანდილ ტყებუჩავა, "ლეიბორისტი": ავთანდილ ჯორბენაძის განცხადება საფუძველს მოკლებულია. ათი ზოდელავაც რომ ყოფილიყო, ხალხის ნებას ვერ აღუდგებოდა. მე ზოდელავას არ ვიცავ, მისი გადაყენების საკითხს ჩვენ, ლეიბორისტები, ყველა შემთხვევაში დავაყენებთ. ბატონ ავთოს ჯერ შევარდნაძის გუნდისკენ უნდა გაეშვირა ხელი. არ მესმის, რა უნდა გაეკეთებინა ზოდელავას. გელათის მათხოვარივით კარდაკარ ხომ არ ივლიდა და ხმების თხოვნას ხომ არ დაიწყებდა. მერის სკამს უკვე ბევრი ირგებს. ჩემი აზრით, ზოდელავას ყველა შემთხვევაში მოხსნიან, ეს თითქმის გადაწყვეტილია.

გენერალი რალსტონი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიმდინარეობას ამოწმებს



ლევან ხარხელაძის ფოტო

ჰირველი გვერდიდან

საქართველოს ხელისუფლებას მონდომება შეუქო და განაცხადა, რომ ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძის ორაზროვანმა კომენტარმა სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას გლობალური ანტიტერორიზმის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას არა მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოებისთვის ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ეკონომიკურად სუსტ და ტერორიზმის საშიში ვირუსით დაავადებულ ქვეყანაში ოთხი ბატალიონისგან შემდგარი 1500 კაციანი ქვედანაყოფის მომზადებით ამერიკამ უნდა შექმნას ახალი მიმზიდველი პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ხოლო საქართველომ უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ იგი არ შემცდარა, როცა პანკისის ხეობაში წარმოქმნილი პრობლემების გამო ამერიკას შეუამხანაგდა და ფაქტობრივად დაშლის პირას მდგარი არმიის სწრაფ რეფორმირებას დათანხმდა.

სასწორზე მართლაც ბევრი რამ დევს და სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მოსამზადებელი პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს პენტაგონისა და ნატოს არაერთი სამხედრო დელეგაცია სტუმრობს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ოფიციალური გახსნიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, წვრთნის მიმდინარეობა აშშ-სა და ნატოს გაერთიანებული ევროპული ძალების მთავარსარდალმა, ოთხვარსკვლავიანმა გენერალმა ჯოზეფ რალსტონმაც შეამოწმა. 4 ივნისს იგი ჯერ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ესაუბრა პირისპირ, შემდგომ კი ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ოფიცერთა მომზადების პროცესს დაესწრო.

გენერალი ჯოზეფ რალსტონი: **"მე ჩამოვედი, რათა ჩემი თვალით მენახა, არსებობდა თუ არა რაიმე მოუგვარებელი პრობლემა ან გადაუჭრელი საკითხი. მაგრამ მე ვესაუბრე სამხედრო პროგრამაში მონაწილე ჩვენს სპეციალისტებს, საქართველოს პრეზიდენტს და თავდაცვის მინისტრს, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი შესანიშნავად მიმდინარეობს."**

მიუხედავად იმისა, რომ გენერალ რალსტონის განცხადებაში ძალიან ძნელია ეჭვის შეტანა, დღემდე არ კარგავს აქტუალობას უკვე ბანალურად ქცეული შეკითხვა - არსებობს თუ არა აბსოლუტური გარანტია, რომ პროგრამა არ შეწყდება? ამ შეკითხვას, ძალზე მკაფიო ქვეტექსტი აქვს და გარანტიის უკან, პირველ ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლების პასუხიმგებლობა იგულისხმება. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ზოგადი ხასიათის განცხადებას, დღემდე უცნობია, გადაწყდა, თუ არა ბიუჯეტიდან იმ 4,5 მილიონის გამოყოფა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებამ წვრთნაში მონაწილე ქართველი სამხედროების მოტივაცია უნდა აამაღლოს.

მეტიც, საუბარია რაღაც გაუგებრობაზე, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით ამ თანხების გამოყოფაზე არსებობს. და ამ ეჭვის საფუძვლიანობა, სამშაბათს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორაზროვანმა განცხადებამაც დაადასტურა.

დავით თევზაძე: **"მე არავისთან გაუგებრობა არა მაქვს. ახლა სხვებს თუ აქვთ, მაგათი პრობლემაა."**

სანამ საქართველოს ხელისუფლების წევრები ერთმანეთში ურთიერთობას არკვევენ, 4 ივნისს ქართველმა სამხედროებმა თურქეთის მთავრობის 1,5 მილონიანი გრანტით აშენებული რამდენიმე ახალი ობიექტი - სასადილო, ლაზარეთი და აბანო-სამრეცხაო ჩაიბარეს ვაზიანში, სადაც 17 ივნისიდან ნატოს მრავალეროვნული სწავლება "ბესტ ეფორტ 2002" აიღებს სტარტს.



ლევან ხარხელაძის ფოტო

ეკონომიკა

სახელმწიფო შესყიდვები - საბიუჯეტო თანხების ფლანგვის საუკეთესო საშუალება

გვანცა კვინიკაძე

ყოველწლიურად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით მესამედი, 300 მილიონი ლარი, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ იხარჯება სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. ეს ის თანხებია, რომელთა არამიზნობრივი ხარჯვა ყველაზე კარგად ეხერხებათ ჩინოვნიკებს, თუმცა, ამ მანიპულაციების აღსაკვეთად, ბოლო წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით შექმნილმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, მდგომარეობა გარკვეულ კონტროლს დაუქვემდებარა. დღეს გახსნილი, მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული, სამდღიანი კონფერენცია ეძღვნება უკვე მიღწეულ შედეგებსა და რეფორმის გაგრძელების პერსპექტივებს.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროს რეფორმირება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს და, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ ხომერიკი აღიარებს, რომ არა ეს მხარდაჭერა, ამ სფეროში არანაირი სასიკეთო ცვლილება არ გახორციელდებოდა. საქართველოში 8 ათასამდე შემსყიდველი ორგანიზაციაა, რომელიც სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების მიმწოდებელ ფირმას სპეციალური ტენდერების მეშვეობით ავლენს. ტენდერები საბიუჯეტო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, დაზოგონ ბიუჯეტის მიერ კონკრეტული მიზნით გამოყოფილი თანხები, რადგან კონკურენცია მიმწოდებლებს ფასების დაწევას აიძულებს. ხომერიკის თქმით, რეფორმამდე, ამ სფეროში, რომელსაც ექსპერტები საბიუჯეტო თანხების "გამარცხენების" საუკეთესო არეალად მიიჩნევენ, გარიგებები და კორუფცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პრობლემები ახლაც არსებობს, თუმცა საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ტევფიკ იაპრაკი რეფორმის მიმდინარეობით კმაყოფილია. იგი შექმნილ ვითარებას თავის სამშობლოში, თურქეთში, ამავე სფეროში არსებულ მდგომარეობას ადარებს. იაპრაკის თქმით, თურქეთში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის პროცესი თითქმის სამოცი წელიწადია დაიწყო და იქ, ისევე როგორც საქართველოში, მრავლად არიან ამ სისტემაში კორუფციის შენარჩუნებით დაინტერესებული ძალები.

შარშან, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის რაციონალურად წარმართვის წყალობით, სახელმწიფო ბიუჯეტმა 7 მილიონი ლარის ეკონომია გააკეთა. 2001 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა 31 მილიონი ლარის საერთო მოცულობის 75 ტენდერი ჩაატარეს, თუმცა, ბიუჯეტის სეკვესტრის გამო, გაფორმებული კონტრაქტების ნაწილი შეუსრულებელი დარჩა. წელს პირველ ხუთ თვეში საბიუჯეტო ორგანიზაციებმა 192 ტენდერი გამოაცხადეს. შარშანდელი მონაცემების თანახმად, კონტრაქტების 41% საქონლის, 39% მომსახურების, 20% - სამშენებლო სამუშაოებისთვის დაიდო. წლევანდელი მიწისძვრის გამო მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ამ სტრუქტურაში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, შესყიდვების სისტემის რეფორმირება და ტენდერების ჩატარების მექანიზმის სრულყოფა, მნიშვნელოვანია არა მარტო სახელმწიფო სახსრების ეკონომიური განკარგვისათვის, არამედ, კერძო სექტორის განვითარებისთვისაც. მინისტრის თქმით, ამ კონკურსების მეშვეობით ქართული ფირმები ეჩვევიან კონკურენციის პირობებში მუშაობას და ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებას.

უკვე მიღწეული პროგრამის გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკი საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმირების მხარდაჭერას კვლავ აპირებს, რაც სააგენტოს შესყიდვების პროცესის გაკონტროლების საშუალებებს გაუძლიერებს.

„თბილგაზი„ მარცხდება

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია გაზის ფიქსირებული ტარიფის წინააღმდეგია

გიორგი კალანდაძე

დღეს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ოფიციალურად აცნობებს "თბილგაზს", რომ არ ეთანხმება თბილისში ბუნებრივ აირზე ფიქსირებული გადასახადის შემოღებას. ასეთი პასუხი არ აკმაყოფილებს "თბილგაზს", სადაც მიიჩნევენ, რომ ამჟამად ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. კომპანიის დანაკარგები 50%-ს აღემატება. ფიქსირებული გადასახადის შემოღებით, "თბილგაზი" გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლის, დაახლოებით, ორჯერ გაზრდას ვარაუდობდა.

"24 საათის" 4 ივნისის ნომერში დაიბეჭდა სტატია "თბილგაზის" მიერ ბუნებრივ აირზე ფიქსირებული გადასახადის შემოღების მოთხოვნის შესახებ. გუშინვე ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თბილისის გაზმომარაგების კომპანიისთვის ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვათ. სემეკის წევრის - დემურ ჩომახიძის თქმით, კომისია შესაბამის წერილს "თბილგაზს" 5 ივნისს გაუგზავნის.

სემეკში მიზანშეუწონლად მიაჩნიათ გაზზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება მხოლოდ იმის გამო, რომ "თბილგაზს" არაკეთილსინდისიერი თანამშრომლები ჰყავს, რომლებიც მომხმარებელს ხელს უწყობენ მრიცხველების დაზიანებასა და გაზის მოპარვაში. "**ქალაქში დაყენებული ყველა მრიცხველი მომხმარებლის ხარჯებით დამონტაჟდა. ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის მიერ ხელახალი ინვესტიციის გაღება კი გაუმართლებელია. მით უფრო, რომ სემეკის მოვალეობა მომხმარებლის უფლებათა დაცვაა**", - მიიჩნევენ სემეკში. მათ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად "გაზისა და ელექტროენერგეტიკის შესახებ" კანონი მოჰყავთ, რომელიც ნორმირებული გადასახადის დადგენას არ ითვალისწინებს.

ამჟამად "თბილგაზის" ყოველი აბონენტი ყოველ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 27 თეთრს იხდის. სემეკის მიერ "თბილგაზის" განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აბონენტებს, მოხმარებული გაზის მოცულობის მიუხედავად, მოუწევდათ გაზის წინასწარ განსაზღვრული ტარიფის გადახდა

"თბილგაზის" განცხადება სემეკში 28 მაისს მიიღეს. წერილის მიხედვით, თბილისში "**გაზის მრიცხველების უდიდესი ნაწილი გამოსულია მწყობრიდან. დღეს გამრიცხველიანებულია 150 ათასი აბონენტი. ყველა მრიცხველის შემოწმება, ზამთრის დადგომამდე, შეუძლებელია, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაზზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება**".

აფხაზეთზე ნავთობსადენის გავლა რეალურია

მალე თბილისს ეწვევა ამერიკაში აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ყოფილი პირადი წარმომადგენელი ინალ კაზანი.

თბილისში იგი შეხვდება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გიორგი ჭანტურიას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკებებთან ერთად, ინალ კაზანი, სავარაუდოდ, ნოვოროსიისკი-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებითაც ისაუბრებს.

„ინალ კაზანს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს სხვადასხვა ქვეყნის აფხაზურ დიასპორებზე, ასევე აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე. ის, რომ კაზანს კონფლიქტი აქვს ვლადისლავ არძინბასთან, არ ნიშნავს, რომ მან თავისი გავლენა დაკარგა აფხაზებზე", - განუცხადა „მედია-ნიუსს" ირაკლი ბათიაშვილმა.

მისივე თქმით, ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ვარიანტი განიხილება, მათ შორის ნოვოროსიისკ-სუფსა-ჯეიჰანის აფხაზეთის ტერიტორიაზე გავლის შესაძლებლობაც.

"ამ პროექტს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. გიორგი ჭანტურიასა და ინალ კაზანის შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან კაზანს მნიშვნელოვანი კონტაქტები აქვს ამერიკის მსხვილ ფინანსურ წრეებთან", - აცხადებს ბათიაშვილი. *მედია-ნიუსი*

„ენრონის„ შემდეგ დიკ ჩეინის რიგიც დადგა

"**ენრონმა**" ამერიკულ კორპორაციულ სინამდვილეში ახალი ტრადიცია თუ მოდა დანერგა. მისი ხმაურიანი გაბანკროტების შემდეგ აშშ-ს ფინანსური კონტროლის ორგანოები უკვე ყველა დანარჩენი კომპანიის საქმიანობას აყენებენ ეჭვქვეშ. ამჯერად მიზანშია ამოღებული "**ჰალიბარტონი**" – კომპანია, რომელსაც წლების განმავლობაში ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი უძღვებოდა.

"ჰალიბარტონი" დაკავებულია კონსალტინგით, მშენებლობითა და ნავთობმოპოვების სფეროში პროექტებით.

ის მარტო არ არის. "ჰალიბარტონთან" ერთად რეალური ფინანსური მდგომარეობის შენიღბვა კიდევ რამდენიმე მსხვილ ამერიკულ კორპორაციას ბრალდება.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი კომპანიას 1995-2000 წლებში უძღვებოდა. მას დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი სინამდვილეში ახალი ტრადიცია თუ მოდა დანერგა. მისი ხმაურიანი გაბანკროტების შემდეგ აშშ-ს ფინანსური კონტროლის ორგანოები უკვე ყველა დანარჩენი კომპანიის საქმიანობას აყენებენ ეჭვქვეშ. ამჯერად მიზანშია ამოღებული "**ჰალიბარტონი**" – კომპანია, რომელსაც წლების განმავლობაში ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი უძღვებოდა.

"ჰალიბარტონი" დაკავებულია კონსალტინგით, მშენებლობითა და ნავთობმოპოვების სფეროში პროექტებით.

ის მარტო არ არის. "ჰალიბარტონთან" ერთად რეალური ფინანსური მდგომარეობის შენიღბვა კიდევ რამდენიმე მსხვილ ამერიკულ კორპორაციას ბრალდება.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი კომპანიას 1995-2000 წლებში უძღვებოდა. მას დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობისთვის ახალ პირობებს მალე გამონახავენ". - დასძენს კოიკო.

ვანელის პოსტი ეჭირა. აღსანიშნავია, რომ გამოძიებას "ჰალიბარტონის" საქმიანობა სწორედ ჩეინის მოღვაწეობის დროს, კერძოდ კი 1998 წელს აინტერესებს. ფინანსური კონტროლის ორგანოების ვარაუდით, ამ პერიოდში ჩეინის კომპანია სამშენებლო პროექტებზე ფასებს თვითნებურად ზრდიდა.

"ჰალიბარტონის" წარმომადგენლების განცხადებით, ისინი მზად არიან, დაეხმარონ გამოძიებას. ეს უკანასკნელი უახლოეს დღეებში "ჰალიბარტონის" 1998 წლით დათარიღებული დოკუმენტებითაც დაინტერესდება.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, კომპანიის აქციების ფასი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე საგრძნობლად დაეცა. ჰალიბარტონის ბედს კომპანიების: Dynegy, Worldcom და Kmart-ის აქციებიც იზიარებს.

პარფიუმერიიდან საფონდო ბირჟამდე

"**ბარბერი**" ერთ ხანს თითქოს უპერსპექტივოდ გამოიყურებოდა. თუმცა, კომპანიის ახალმა მმართველობამ შეუძლებელი შეძლო – იმიჯმოძველებული ფირმის ტრადიციულ პროდუქციას ძვირფასი პარფიუმერია და ფეხსაცმელი დაუმატა და "ბარბერიც" აღსდგა. ივლისში კი მისი დებიუტი ლონდონის საფონდო ბირჟაზეც შედგება.

ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატება ბევრ ფირმას არ ღირსებია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ "ბარბერი" 1856 წელს არის დაარსებული.

ტომას ბარბერის პირველი წარმატება კაბარდინის ქსოვილის გამოგონება იყო. ამის შემდეგ "ბარბერი" ოფიციალურად უმზადებდა მუნდირებს ბრიტანული არმიის ოფიცრებს. მისი მაკინტოშები კი კინოკლასიკებშიც არის გამოყენებული. ზედმიწევნით ბრიტანულმა იმიჯმა "ბარბერის" ამერიკულ-აზიურ ბაზარზე ადგილი შეუნარჩუნა. თუმცა, უკუსვლა აზიურ ბაზარზე მომხდარი კრიზისის შემდეგ დაიწყო. თანაც, მომხმარებელს ეს უცვლელი ინგლისური დიზაინი მობეზრდა.

სასიამოვნო ცვლილებები 1997 წლიდან დაიწყო, როცა კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი როზა მარია ბრავო გახდა. სწორედ მან შეძლო თითქმის მკვდარი ფირმა კვლავაც მაღალმომგებიან საწარმოდ ექცია. ბუნებრივია, 11 სექტემბრის მოვლენებმა "ბარბერის" ბიზნესზეც უარყოფითად იმოქმედა. თუმცა, ციფრები მაინც ოპტიმისტურად გამოიყურება. რამდენიმე წლის წინ "ბარბერი" 200-300 მილიონი ფუნტი სტერლინგი ღირდა, დღეს კი ანალიტიკოსები კომპანიას 1.2-1.8 მილიარდ ფუნტად აფასებენ.

„ჯენერალ მოტორსი„ საბურავების გარეშე რჩება

ფრანგული კომპანია "**მიშელინი**" "**ჯენერალ მოტორსის**" ევროპულ ფილიალთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ავტომობილებს საბურავების პრობლემა შეექმნება. კონტრაქტის ვადა 31 ივლისს იწურება. "მიშელინის" მსუბუქი ავტომობილების განყოფილების დირექტორი ერვე კოიკო კი აცხადებს, რომ "**ყიდვა-გაყიდვის სფეროში "მიშელინის" სტრატეგია "ჯენერალ მოტორსის" პოლიტიკასთან შეუთავსებელია**".

ფრანგული კომპანიის განმარტებით, გადაწყვეტილება კომპანიის გეგმების გათვალისწინებით მიიღეს და ის "მიშელინის" 2002 წლის შედეგებზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს. თანაც, კომპანია არ აპირებს თავის ძველ პარტნიორთან კავშირები ბოლომდე გაწყვიტოს. "**დარწმუნებული ვარ, რომ "მიშელინი" და "ჯენერალ მოტორსი" თანამშრომლობისთვის ახალ პირობებს მალე გამონახავენ**". - დასძენს კოიკო.

ამბები

არეულობა ბელფასტში

უკვე მეოთხე დღე-ღამეა ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ძირითადად პროტესტანტები ცხოვრობენ, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის შეტაკებები მიმდინარეობს. ორშაბათ ღამით, შეტაკებების შედეგად, 3 ადამიანი დაშავდა. შეტაკებები, სპონტანურად, თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო პარასკევიდან უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო და ქუჩებში ერთმანეთს ათასამდე ადამიანი დაუპირისპირდა. შეტაკებები მას შემდეგ დაიწყო, რაც პროტესტანტებმა ქალაქის ქუჩებში დედოფალ ელისაბედ მეორის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო მსვლელობები მოაწყვეს. ქალაქის ამ ნაწილში მობილიზებულია პოლიციისა და ჯარის ძალები. ბოლო დღეების განმავლობაში 10 პოლიციელი დაშავდა. ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროვინციაში მოვლენების სახიფათო ესკალაცია ხდება და რელიგიური შუღლის ახალი აფეთქებაა მოსალოდნელი. მისი აზრით, ვითარების დაძაბვაში ორივე მხარეა დამნაშავე (CNN).

რამსფელდის ტურნე

დღეს იწყება აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის ვიზიტი ევროპაში. პენტაგონის ხელმძღვანელი ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ჩავა. ლონდონში დაგეგმილია მისი შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერთან და თავდაცვის მინისტრ ჯეფრი ჰუნთან. ბრიტანული სამთავრობო წყაროების ინფორმაციით, მოლაპარაკებების დროს მხარეები განიხილავენ ანტიტერორისტული ოპერაციის, უპირველეს ყოვლისა, ავღანეთში მიმდინარე ბრძოლების, ინდოეთ-პაკისტანს შორის დაძაბული ურთიერთობისა და რეგიონში ბირთვული ომის თავიდან აცილების საკითხებს. გარდა ამისა, იგეგმება ნატო-რუსეთის "ოცთა საბჭოს" შექმნის ფონზე ალიანსის ახალი სტრატეგიის საკითხის განხილვა. მოსალოდნელია, რომ რამსფელდი განიხილავს ევროპაში (მადრიდში, მილანსა და სტამბოლში) ახალი სამეთაურო პუნქტების შექმნის გეგმას. ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში არსებული მდგომარეობის გამო ხმელთაშუა ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხმა უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ევროპიდან რამსფელდი სამხრეთ აზიაში მიემგზავრება, სადაც გაიმართება მოლაპარაკებები ინდოეთისა და პაკისტანის ხელისუფლების ხელმძღვანელებთან ("რია-ნოვოსტი").

ისრაელის მთავრობამ კრიზისი დაძლია

ორშაბათს ქნესეთში კენჭი უყარეს ულტრა-ორთოდოქსული "შასის" პარტიის სამთავრობო კოალიციაში დაბრუნებას. "შასის" კოალიციაში დაბრუნებას 54-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ამ გადაწყვეტილების შედეგად შარონის კოალიციას 120-კაციან პარლამენტში 77 ადგილი ექნება. "შასის" პარტია კოალიციას მას შემდეგ გაემიჯნა, რაც შარონმა თანამდებობიდან გაათავისუფლა პარტიის წევრი მინისტრები და მინისტრის მოადგილეები პარტიის წევრების მიერ 21 მაისს ქნესეთში შარონის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გეგმის წინააღმდეგ გამოსვლის საპასუხოდ. ამის შედეგად, შარონის კოალიცია საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან მის მხარდამჭერთა რიცხვი ქნესეთში მხოლოდ 60-მდე შემცირდა. შარონის განცხადებით, "შასის" მხარდაჭერის ხელახლა მოსაპოვებლად იგი ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით არანაირ დათმობებზე არ წასულა. "შასის" პარტიის დაბრუნება სავარაუდოდ იმას უკავშირდება, რომ კოალიციიდან გასვლით ისინი საკვანძო სამინისტროებზე - შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის, რელიგიური საკითხების, შრომისა და სოციალური საკითხების – კონტროლს დაკარგავენ. (CNN)

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ტერორიზმის წინააღმდეგ

აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შეიქმნა სპეციალური საიდუმლო განყოფილება აშშ-ს საზღვრებს გარეთ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამმართველოში საიდუმლო ოპერაციების ჩასატარებლად რამდენიმე სპეციალური დანიშნულების განყოფილება უკვე არსებობს. ახალი განყოფილება უშუალოდ სამმართველოს ანტიტერორისტული ცენტრის დაქვემდებარებაში იქნება. ექსპერტების აზრით, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აქვს ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების კანონიერი უფლება, თუ ეს აშშ-ზე ახალი ტერაქტების თავიდან აცილებისთვის იქნება საჭირო. დღეს-დღეობით ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მიერ შედგენილ ყველაზე საშიშ ტერორისტთა ნუსხაში 22 პირია, მათ შორის - უსამა ბენ ლადენი (BBC).

შარონს პალესტინური რეფორმირების არ სჯერა

ორშაბათს აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი ჯორჯ ტენეტი ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონსა და თავდაცვის მინისტრს ბენიამინ ბენ-ელიზერს შეხვდა. მოლაპარაკებების დროს შარონმა განაცხადა, რომ არ სჯერა პალესტინაში რეფომების გატარების წარმატებისა მანამ, სანამ ხელისუფლებას არაფატი ხელმძღვანელობს. ამერიკული მხარის ცნობით, 10 ივნისს ისრაელის პრემიერი ვაშინგტონში აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შეხვდება.

დღეს გაიმართება ჯორჯ ტენეტის შეხვედრა იასირ არაფატთან. მხარეები პალესტინის უსაფრთხოების ძალების რეფორმირების საკითხს განიხილავენ. ისრაელის მოქალაქეებზე ტერორისტული თავდასხმების თავიდან აცილების უუნარობის გამო ეს ძალები კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ

(BBC/Associated Press).

დაშნაკებმა ჯავახეთს თვალი დაადგეს

დაშნაკცუტიუნი ჯავახეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაციას ცდილობს

პირველი გვერდიდან

96 ქვეყნის სოციალისტური პარტიის 450-მა წარმომადგენელმა ერთხმად მოიწონა დაშნაკების ამ პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანება, რომელიც 1951 წელს დაარსდა და მე-19 საუკუნეში მარქსისა და ენგელსის სოციალისტური ინტერნაციონალის ტრადიციებს აგრძელებს. ინტერნაციონალი მსოფლიოს 141 პარტიას აერთიანებს, რომელთაგან ბევრი მთავრობაშია, ბევრიც ოპოზიციას წინამძღოლობს.

სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს სხდომა გასულ შაბათს მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში გაიმართა და მას პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ანტონიო გუტიერესი თავმჯდომარეობდა. სომხეთის დელეგაციის მეთაურმა მარიო ნალბანდიანმა აღნიშნა, რომ **"სომხეთის რევოლუციური ფედერაციის სოციალისტურ ინტერნაციონალში გაწევრიანება იმის აღიარებაა, რომ ჩვენს პარტიას სერიოზულ პოლიტიკურ ძალად აღიარებენ, რომელსაც დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს როგორც სომხეთის საშინაო სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე, ისე რეგიონულ პრობლემებზე, რომლებიც დაუყოვნებელ გადაწყვეტას მოითხოვს".**

მოგვიანებით გაირკვა, თუ რას გულისხმობდა ნალბანდიანი რეგიონულ პრობლემებში. კვირას სომხეთის დელეგაციის წინადადებით სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭომ მიიღო რეზოლუცია ჯავახეთისა (დოკუმენტის ორიგინალში "სამცხე-ჯავახეთი") და მთიანი ყარაბახის პრობლემებთან დაკავშირებით.

რეზოლუცია "სომხეთის შესახებ" მხედველობაში იღებს საერთაშორისო პოლიტიკური თანამეგობრობის მზარდ ყურადღებას სამხრეთ კავკასიის მიმართ და რეგიონში შექმნილ არამდგრად ვითარებას, რომელიც რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემუქრება. სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭო რეგიონის ქვეყნებს კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მოუწოდებს. რეზოლუციის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხების სრულმასშტაბიან კონფლიქტებში გადაზრდის საშიშროება, განსაკუთრებით, საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. სოციალისტური ინტერნაციონალი ადასტურებს თავის მზადყოფნას, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ჯავახეთის სომხური მოსახლეობის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

"ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ რეზოლუციის ჯავახურ ნაწილს, რადგან იგი რეგიონში მრავალწახნაგოვანი პრობლემების არსებობას ადასტურებს," – განაცხადა მარიო ნალბანდიანმა.

"მოქალაქეთა კავშირი" უკვე დიდი ხანია სოციალისტური ინტერნაციონალის წევრია და მის სხდომებში მონაწილეობასაც აქტიურად იღებდა. მაგრამ, პარტიის ახლანდელი შემადგენლობა ამ ორგანიზაციის ბოლო სხდომის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. გელა კვარაცხელიას განცხადებით, პარტია არჩევნებით არის დაკავებული და არაფერი იცის "დაშნაკცუტიუნის" სოციალისტურ ინტერნაციონალში გაერთიანების შესახებ.

პარლამენტარ გივი შუღაროვის განცხადებით კი, ბოლო პერიოდში სომხეთის ამ რევოლუციური პარტიის მოქმედებები უფრო მიზანმიმართული და კოორდინირებული ხდება, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

ლე პენს ალჟირელების წამებას აბრალებენ

მომავალ კვირას დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ საფრანგეთში პოლიტიკური ბრძოლა მწვავდება. ულტრამემარჯვენეების ლიდერს წარსული ცოდვები გაუხსენეს.



1957 წლის 2-3 თებერვალს საფრანგეთის არმიის სპეცდანიშნულების რაზმის ახალგაზრდა ლეიტენანტი, თავისი რაზმით, ალჟირელი მერუანების ოჯახში შეიჭრა და საიდუმლოდ შენახული იარაღისა და ტყვია-წამლის ძებნა დაიწყო. იარაღი სახლში მართლაც აღმოჩნდა. ლეიტენანტმა და მისმა ხელქვეითებმა სახლის პატრონი და მისი ვაჟი შეკრეს და ღალატისათვის ელექტროშოკით აწამეს. მოგვიანებით ისინი სახლიდან წაიყვანეს და მას შემდეგ მამა-შვილი აღარავის უნახავს. მათ გარდა, საფრანგეთ-ალჟირის კოლონიურ ომში, სხვადასხვა მონაცემებით, სამიდან ორმოც ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

ამ ამბების უშუალო მოწმე ღანია მერუანი აცხადებს, რომ მამამისი და ძმა სწორედ საფრანგეთის ულტრამემარჯვენეების ახლანდელმა ლიდერმა ლე პენმა აწამა.

გუშინ საფრანგეთის წამყვანმა გაზეთმა "მონდმა" გამოაქვეყნა ინგლისურ გაზეთ "გარდიანის" მიერ მოწმეებისაგან შეგროვილი ცნობები, რომლებიც ფრანგ ულტრამემარჯვენეთა ლიდერის ლე პენის მიერ ახალგაზრდობის წლებში ალჟირში ჩადენილ არაადამიანურ ქმედებებს შეეხება. ეს ბრალდებები აშკარად პოლიტიკური შეფერილობისაა, რადგან კვირას დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში გამოქვეყნდა. უნდა აღინიშნოს ის ერთსულოვნება, რომლითაც საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ლე პენის წინააღმდეგ გამოდიან.

წინა თვის საპრეზიდენტო არჩევნებში ლე პენმა ხმების 18 პროცენტი დააგროვა. კვირის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ნაციონალისტების ლიდერმა უარი განაცხადა, მაგრამ მისი პარტია 577-ადგილიანი ეროვნული კრების მანდატებისათვის ბრძოლას აპირებს.

ლე პენის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური კოზირი საფრანგეთის რესპუბლიკის წინაშე მისი სამხედრო დამსახურებები იყო. ბედის ირონიით, ეს დამსახურებები ახლა მის პარტიას შეიძლება არჩევნებში დამარცხებად დაუჯდეს.

პოლიტიკური „სტაბილურობა„ აზერბაიჯანულად

გიორგი ხელაშვილი

ყბადაღებული "სტაბილურობა", რომელიც სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში დამყარდა, სულ უფრო ხშირად დგება საფრთხის წინაშე უკმაყოფილო მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების გამო.

სამშაბათ ღამით, აზერბაიჯანის პოლიციასა და ბაქოს გარეუბან ნარდარანის მოსახლეობას შორის შეტაკებისას, ერთი ადამიანი დაიღუპა და ოცდაათამდე დაშავდა. მათთან ერთად 35 პოლიციელიც დაზარალდა. მომხდარ ინციდენტში დაახლოებით ორასი ადგილობრივი მოსახლე მონაწილეობდა, რომლებიც ქვებით, ბენზინიანი ბოთლებითა და მჭრელი საგნებით იყვნენ შეიარაღებულნი. პოლიციამ, როიტერის სააგენტოს ცნობით, ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენა. ახლა დასახლება პოლიციის ძალებითაა გარშემორტყმული. რადიო "თავისუფლების" ანალიტიკოსი ლიზ ფულერი მიიჩნევს, რომ ნარდარანის პრობლემამ შეიძლება აზერბაიჯანში პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

ნარდარანის საკითხმა ჯერ კიდევ იანვარში იჩინა თავი, როდესაც, გარეუბნის შვიდ-რვა ათასამდე მცხოვრებმა, დემონსტრაცია მოაწყო სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. უკვე რამდენიმე წელია, დასახლება ელექტროენერგიისა და გაზის გარეშე ცხოვრობს და მეტროს უახლოეს სადგურამდე მგზავრობის საშუალებასაც მოკლებულია. იანვრის გამოსვლებს აპრილსა და მაისში კიდევ რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია მოჰყვა, რომლებშიც ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრანტები ადგილობრივი მმართველის გადადგომასა და მისი შემცვლელის დანიშვნაში ხალხის აზრის გათვალისწინებას მოითხოვდნენ.

ნარდარანი საბჭოთა პერიოდში მდიდარი დასახლება იყო, მაგრამ ბოლო წლებში მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. მოსახლეობის 85 პროცენტი უმუშევარია. უნდა ითქვას, რომ ნარდარანს არანაირი პრობლემა არ შექმნია აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის, აიაზ მუთალიბოვის მმართველობის დროს. ამიტომაც, მოსახლეობა მუთალიბოვის დაბრუნებაზე ოცნებობს და ახლანდელ პრეზიდენტს უპირისპირდება.

მაგრამ "ნარდარანის ფენომენი" სხვა მხრივ უფროა საყურადღებო. სავსებით შესაძლებელია, რომ ნარდარანის მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების მიღმა სერიოზული პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორები იმალებოდეს. ადგილობრივი მოსახლეობა ღრმად მორწმუნეა, მაგრამ აზერბაიჯანის ოფიციალურ რელიგიურ მმართველობას არ ემორჩილება. სააგენტო "თურანის" ცნობით, მაისის დემონსტრაციების დროს ნარდარანის მოსახლეობა მათთან მოსალაპარაკებლად ჩასულ ოფიციალურ პირებს "ალაჰ აქბარ"-ის შეძახილებით შეხვდა. ნარდარანში ბევრი სახლი ყურანის ციტატებითა და აიათოლა ხომეინის გამონათქვამებითაა მოჩუქურთმებული. ნარდარანი და, საერთოდ, აფშერონის ნახევარკუნძული, ისლამის მტკიცე საყრდენად ითვლება, სადაც სულ უფრო იზრდება ირანის პოლიტიკური გავლენა.

ბოლო ხანებში ადგილობრივი ისლამისტების გაღიზიანება განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომელიც სკოლის მოსწავლე გოგონების მიერ თავსაბურავის ტარებას კრძალავს. მოსახლეობა ამ შეზღუდვას რელიგიის თავისუფლების ხელყოფად მიიჩნევს.

აზერბაიჯანის მთავრობას ორი არჩევანი აქვს: ან მოსახლეობის სოციალური მოთხოვნები დააკმაყოფილოს, ან პროტესტი ძალის გამოყენებით ჩაახშოს. პირველ შემთხვევაში, როგორც დამოუკიდებელი აზერბაიჯანული გაზეთი "ექო" შენიშნავს, მთავრობა იძულებული იქნება, სხვა დასახლებების ანალოგიური მოთხოვნებიც გაითვალისწინოს, რაც პანდორას ყუთის გახსნას მოასწავებს.

როგორც გუშინ მომხდარი სისხლისღვრიდან ჩანს, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ მეორე არჩევანს მიმართა. რამდენად შეძლებს ალიევის რეჟიმი ამ მეთოდებით "სტაბილურობის" შენარჩუნებას, მომავალი გვიჩვენებს.

ომის საფრთხე კვლავ დღის წესრიგშია


საერთაშორისო საზოგადოება ალმა-ათის კონფერენციას დიდი იმედით ელოდებოდა, მაგრამ ინდოეთისა და პაკისტანის შერიგების დიპლომატიური მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ალმა-ათის სამიტზე პაკისტანის პრეზიდენტის მუშარაფისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ვაჯპაის შესაძლო შეხვედრა "ომის თავიდან აცილების შანსად" მონათლა. ამ შეხვედრის იდეა ნატოს რომის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა წამოაყენა. მან მხარეებს შორის შუამავლის როლი იკისრა. პუტინი იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა მხარეების პირისპირ შეხვდრაზე დაყოლიებას, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა.

შეხვედრას, ურთიერთბრალდებების წაყენების გარდა, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. პაკისტანის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება: "ჩვენ არ გვინდა ომი. ჩვენ ომს არ დავიწყებთ". თუმცა, ინდოეთის მხრიდან ომის დაწყების შემთხვევაში, პაკისტანი, რა თქმა უნდა, საპასუხო ქმედებებზე გადავა. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდოეთ-პაკისტანის საზღვარს ტერორიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის ეპიცენტრი უწოდა და განაცხადა, რომ სანამ არ შეწყდება ისლამისტი ექსტრემისტების თარეში ქაშმირში, მოლაპარაკებები არ დაიწყება. ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ომარ აბდულამ დააზუსტა: "არა აქვს მნიშვნელობა, როგორია დანარჩენი ქვეყნების აზრი, ინდოეთის აზრი ნათელია – ჩვენ არ შევხვდებით მუშარაფს. საქმე ისაა, რომ შეხვედრისთვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები. ჩვენ არ ვაპირებთ მოლაპარაკებების დაწყებას". ამგვარად, პირისპირ შეხვედრა არ შედგა, რადგან მხოლოდ პაკისტანის მხარის თანხმობა დიალოგის დაწყებაზე საკმარისი არ არის.

ალმა-ათის სამიტმა მხარეებს შორის არსებული პრობლემების სერიოზულობა და ომის დაწყების რეალურობა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა. ინდოეთის მიერ მოლაპარაკებების დაწყებისთვის წამოყენებული პირობა კვლავ ძალაშია – ქაშმირში ისლამისტი ბოევიკების ქმედებების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ აღკვეთს მათ თარეშს, ბევრს ეჭვი ეპარება, რომ მას ამის უნარი შესწევს.

"ვაშინგტონ პოსტის" ინფორმაციით, პაკისტანში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ძლიერი პაკისტანური სადაზვერვო ორგანიზაცია ისლამისტ მეომრებს ჯერ ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, შემდეგ კი ქაშმირში ინდოეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა. თანდათან ეს ჯგუფები მთავრობისგან დამოუკიდებელ დაჯგუფებებად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც აქვთ შეიარაღება და ფული. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ, თუ მუშარაფი ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით დათმობაზე წავა, ისინი ამას არ შეურიგდებიან და პაკისტანს შიდა არეულობა მოიცავს. გაერთიანებული ჯიჰადის საბჭოს (ორგანიზაცია, რომელიც ე.წ. ქაშმირის თავისუფლებისთვის მებრძოლთა 14 ჯგუფს აერთიანებს) ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ "მუშარაფს არ შესწევს უნარი, ეს ძალები გაანადგუროს".



"ვაშინგტონ პოსტის" ინფორმაციით, პაკისტანში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ძლიერი პაკისტანური სადაზვერვო ორგანიზაცია ისლამისტ მეომრებს ჯერ ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, შემდეგ კი ქაშმირში ინდოეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა. თანდათან ეს ჯგუფები მთავრობისგან დამოუკიდებელ დაჯგუფებებად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც აქვთ შეიარაღება და ფული. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ, თუ მუშარაფი ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით დათმობაზე წავა, ისინი ამას არ შეურიგდებიან და პაკისტანს შიდა არეულობა მოიცავს. გაერთიანებული ჯიჰადის საბჭოს (ორგანიზაცია, რომელიც ე.წ. ქაშმირის თავისუფლებისთვის მებრძოლთა 14 ჯგუფს აერთიანებს) ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ "მუშარაფს არ შესწევს უნარი, ეს ძალები გაანადგუროს".

კიდევ უფრო სერიოზული პრობლემაა ის 3000-მდე პაკისტანელი ექსტრემისტი, რომელიც ინდოეთის მიერ კონტროლირებად ქაშმირში იმყოფება. სამხრეთ და ცენტრალური აზიის შეიარაღებული დაჯგუფებების ექსპერტის აჰმედ რაშიდის აზრით, ომის შემთხვევაში ეს ძალები, შესაძლოა, "მეხუთე კოლონად" გამოიყენონ.

ამგვარად, სამთავრობო ძალების გარდა, რეგიონში არის მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება. ეს საკმაოდ სახიფათო ფაქტორია, რადგან ასეთ პირობებში კონფლიქტები, როგორც წესი, უფრო მეტი სისასტიკითა და ხანგრძლივობით ხასიათდება. ეს, როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოებასაც აქვს კარგად გააზრებული, რისი დასტურიც ამ კვირაში დაგეგმილი სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილის რიჩარდ არმითიჯისა და თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის ვიზიტებია რეგიონში.

ძლიერი მიწისძვრის პროგნოზირება თურმე შესაძლებელია



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის მიწისძვრის შემდეგ ჰიდრომეტეოროლოგიურმა დეპარტამენმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სპეციალური ჭაბურღილების მეშვეობით მიწისძვრის 3 საათით ადრე პროგნოზირება შეიძლება. "ჩინეთში ამ მეთოდის გამოყენება კარგა ხნის წინათ დაიწყეს. ჰიდროგეოლოგები შეარჩევენ ჭაბურღილისთვის ადგილს, სადაც სპეციალური დანადგარის საშუალებით, გაზისებრ ნივთიერებებს ამოწმებენ. რადგან მიწისძვრამდე 3 საათით ადრე ნიადაგში ამ ნივთიერებების დონე კატასტროფულად იმატებს," – გვითხრეს დეპარტამენტის გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის ცენტრში. მოსახლეობისთვის ასეთი ინფორმაცია მართლაც ახალი იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქართველოში 15 ასეთი ჭაბურღილი არსებობს. მათი მეშვეობით, ჰიდროქიმიურ და ინერტულ გაზებზე (ჰელიუმსა და რადუნზე), და არა მხოლოდ მათზე, კვლევები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა და ამ 15-დან 10 ჭაბურღილი დღესაც ფუნქციონირებს.

საბჭოთა პერიოდში კავკასიაში 50 ჭაბურღილი მოქმედებდა და დედამიწის ქერქის მდგომარეობას რამდენიმე პარამეტრის მიხედვით იკვლევდნენ. მაგალითად, წყლის წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობის, ჰიდროქიმიური და ინერტული გაზების, მაგნიტური ველის ცვალებადობის მიხედვით. ეს 50 ჭაბურღილი ერთიან ქსელს ქმნიდა და კავკასიის მაშინდელი რესპუბლიკები ინფორმაციას ერთმანეთში ცვლიდნენ. 1990-იან წლებში ეს ქსელი დაიშალა და გეოლოგთა შორის კავშირიც შეწყდა. საქართველოში 1992 წლიდან გამოკვლევებიც აღარ ტარდებოდა, მაგრამ 2000 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევების ცენტრმა გამოკვლევები გააგრძელა, 10 ჭაბურღილი (აქედან 4 თბილისში) აღადგინა და კავკასიის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაც გააგრძელა. თუმცა, უსახსრობის გამო, გამოკვლევები, ძირითადად, თბილისში ტარდება. **"გამოკვლევების მეშვეობით, მიწისძვრის პროგნოზირება რამდენიმე დღით, ზოგჯერ კი ერთი თვით ადრეც შეიძლება. მიწისძვრამდე დედამიწის მიმოქცევის რეჟიმი ირღვევა. მოსალოდნელი მიწისძვრის ეპიცენტრი სხვადასხვა ნიშნის დეფორმაციების საზღვარს ემთხვევა. რაც უფრო ძლიერია მიწისძვრა, მით უფრო ადრე იწყება ეს პროცესები,"** – გვითხრა სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა გია მელიქაძემ.

ამის მიუხედავად, ცენტრმა თბილისში მომხდარი მიწისძვრის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა, რადგან კვლევითი სადგურებიდან ინფორმაცია დროულად არ მიუღია. **"უსახსრობის გამო სადგურებზე მისვლას ხშირად ვერ ვახერხებთ, ინფორმაციის გადამცემი აპარატები კი არ გვაქვს. თბილისში არსებული სამი სადგურის თანამედროვე აპარატურით აღჭურვას 34 ათასი დოლარი სჭირდება. ჩვენ ცენტრს კი ბიუჯეტიდან სამეურნეო ხარჯებისთვის 10 ათასი ლარი გამოეყოფა. ახალი აპარატურის ყიდვას ვინ ჩივის, ამ თანხით კვლევითი სადგურების ხშირად შემოწმებასაც ვერ ვახერხებთ. არადა, ვარკეთილისა და აბანოთუბნის კვლევითმა სადგურებმა, მიწისძვრამდე რამდენიმე დღით ადრე, დედამიწის მიმოქცევის რეჟიმის დარღვევა აჩვენა, მაგრამ ინფორმაცია დაგვიანებით ვნახეთ. მართალია, მიწისძვრის პროგნოზირებისთვის მხოლოდ თბილისში არსებული კვლევითი სადგურებიდან მიღებული ინფორმაცია არ კმარა - ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით უნდა გვქონოდა, მაგრამ გარკვეული პროგნოზის გაკეთება მაინც შეგვეძლო,"** – გვითხრა გია მელიქაძემ.

საქართველოში რომ მსგავსი გამოკვლევები ტარდებოდა, ეს მიწისძვრის შემდეგაც არავის უთქვამს. გეოფიზიკის ინსტიტუტი აცხადებდა, რომ მიწისძვრის 15 წუთით ადრე პროგნოზირებაც კი შეუძლებელია. სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევითი ცენტრის არსებობა გეოფიზიკის ინსტიტუტმა, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ რატომღაც მათი გამოკვლევების შესახებ არაფერი უთქვამს. თუმცა, ვერც გია მელიქაძემ განაცხადა რამე. ალბათ, ეუხერხულა იმის თქმა, რომ ცენტრს მიწისძვრის რამდენიმე დღით ადრე პროგნოზირება შეეძლო, მაგრამ უფულობამ შეუშალა ხელი.

უსახსრობის გამო ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია უყურადღებოდ დარჩა. კვლევით ცენტრს ნორმალური საქმიანობისთვის დამატებით 35 ათასი დოლარი სჭირდება. გია მელიქაძის თქმით, ბიუჯეტში ამ თანხის დამატება მათ შარშანვე მოითხოვეს, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა შექმნეს და ფინანსთა სამინისტროსაც წარუდგინეს, მაგრამ უარი მიიღეს. ცენტრმა ეს მოთხოვნა სამინისტროს წლეულსაც გაუგზავნა და უკეთესი პასუხის მიღების იმედი აქვს. ხელისუფლება კი გამოსავალს ცენტრის თანამშრომელთა 25 პროცენტით შემცირებაში ხედავს. თუმცა, გია მელიქაძე აცხადებს, რომ ცენტრს, პირიქით, თანამშრომელთა დამატება სჭირდება და იუსტიციის სამინისტროსთან ამ საკითხში შეთანხმებას ცდილობს.

განათლება

რატომ გვაშფოთებს ქართული წერის გამოცდა

დალი კუპრავა

ყოველთვის, როცა საგამოცდო თემებს აცხადებენ, ჟრჟოლა ამიტანს, ვნერვიულობ და თითქოს მეც ვიწყებ წერასო, - თქვა ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც სკოლასთან იდგა და სხვა მშობლებთან ერთად ფიქრობდა, თუ როგორ დახმარებოდა შვილს.

მახსენდება შარშანდელი უნივერსიტეტიც, ქართული წერის გამოცდის წინ როგორ "ლოცულობდნენ" აბიტურიენტები, ოღონდ ეს ჩამაბარებინა და გერმანულის ან ბიოლოგიის არ მეშინიაო. მაინც რა ხდება, რატომ არის გამოცდა "ქართულ წერაში" საფრთხობელა?

გუშინ საქართველოს სკოლებში ჩატარდა გამოსაშვები წერითი გამოცდა მშობლიურ ენაში. ქართული სკოლების საგამოცდო თემები იყო: 1. ადამიანი და ცხოვრება რომანტიკოსების მიხედვით; 2. ზვიად სპასალარი და მელქისედეკ კათალიკოსი "დიდოსტატის მარჯვენის" მიხედვით; 3. რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია.

რა თქმა უნდა, ეს არც "ხელოვანის ბედია ტირანულ სახელმწიფოში", არც "ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეა" და არც "ქალთა ტიპები". "შეიარაღებულ" მშობლებს კი სწორედ ამ სათაურებიანი შპარგალკა-თემები ჰქონდათ. რამდენიმე რვეულში დინოზავრის ნაკვალევით, "არსენა მარაბდელი" რა არის, ლორთქიფანიძის "კოლხეთის ცისკარიც" აღმოვაჩინე. ამაზე დიდი მზრუნველობა საკუთარ შვილებზე გაგონილა?!

ქართული ენის რამდენიმე მასწავლებელმა თქვა, რომ თემები კარგად იყო შერჩეული. გამსახურდია, წესით და რიგით, დამუშავებული თემაა მეთერთმეტე კლასისთვის. რაც შეეხება სათაურზე ფოკუსირებას და თემის მიზნობრივ გაშლას, ყურადღებას მოითხოვს, რადგან კონკრეტულად ამ სათაურით ჩვენ არ გვიმუშავიაო, აღნიშნა მეთერთმეტე კლასის პედაგოგმა. რომანტიკოსებიც გვარიანად "გაცვეთილი" თემაა და ე.წ. თავისუფალიც სხვადასხვა იტერპრეტაციის საშუალებას იძლევაო.

ერთი სიტყვით, რამდენიმე სკოლაში თხზულებათა სათაურებს არავინ აღუშფოთებია, მაგრამ ზოგადად თემების პრაქტიკის დრომოჭმულობაზე კი ისაუბრეს მშობლებმა: "ბავშვებს ამდენი დრო სადა აქვთ, რომ თემების წერაში ივარჯიშონ". ერთერთმა ისიც თქვა: არ მეგონა, თუ ისევ თემა ექნებოდა დასაწერი. თანაც, ქართული ისეთი რა ლიტერატურაა, რომ კიდეც წაიკითხოს და კიდეც დაწეროსო.

გამოცდა დამთავრდა. გამოვიდნენ მოსწავლეები. ზოგი მშობელს ებუზღუნა - ეს რამდენი იყო დასაწერიო. ზოგს კი წარსულის გახსენება აღარ უნდოდა და სასიამოვნო მომავალზე საუბრობდა - მივახრჩობთ ამ გამოცდებს და ბანკეტი გვექნებაო.

ბანკეტის შემდეგ კვლავ ქართულ წერაში რომ ელით გამოცდა, ეს მშობლებს ახსოვთ.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ამბები

რისი გაყიდვა აიკრძალა 1 ივნისიდან

მაკა ჯაიანი

1 ივნისიდან თბილისში მალფუჭებადი საკვების: ხორცის, თევზის, რძისა და მათი პროდუქტების, კრემიანი ნამცხვრებისა და ყველა იმ პროდუქციით გარეთ ვაჭრობა აიკრძალა, რომელსაც შენახვის განსაკუთრებული ტემპერატურული რეჟიმი სჭირდება. ქალაქის სანიტარიულ სამსახურში აცხადებენ, რომ ამ ბრძანების აღსრულება დედაქალაქის რამდენიმე წერტილში განსაკუთრებით გაჭირდება. დაუმორჩილებელთა ჩამონათვალში შედიან: წინამძღვრიშვილის, თევდორე მღვდლის, აბასთუმნის, მარჯანიშვილის, ნეველის ქუჩები, მეტროსადგურ "სამგორის", "ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორია და სხვა. მართალია, ამ გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულება ანუ "დამნაშავე" პროდუქციის ამოღება სამართალდამცველ ორგანოებს ევალებათ, მაგრამ, საეჭვოა, მათი შემართება რეალური იყოს. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ ითბობენ ხელს ისინი (და არა მხოლოდ ისინი) მუდმივად კანონგარეშედ მყოფი გარე მოვაჭრეებით. პასიურობის საბაბიც მშვენიერი აქვთ - გარეთ დაუსაქმებელი ხალხი, დევნილები სხედან, ლუკმაპურს ამ გზით შოულობენ და ეს საშუალებაც რომ მოვუსპოთ, თვალებში როგორღა ჩავხედოთო... არსებობს რეალური მიზეზიც - მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალული პროდუქციით ვაჭრობისთვის 9- ლარიანი ჯარიმაა დაწესებული. ამდენის გადახდას კი მოვაჭრეები როგორმე მოახერხებენ.

„სატყუარა" თბილისის აფთიაქებში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმავევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციამ თბილისის აფთიაქებში ე.წ. "სატყუარა" დააფიქსირა. ინსპექციის თანამშრომლებმა 3 აფთიაქში 16 დასახელების წამალი შეიძინეს. მათი ლაბორატორიული გასინჯვისას კი აღმოჩნდა, რომ 9 დასახელების პრეპარატი არარეგისტრირებულია და მათგან 6 სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ესენია: ერითრომიცინის, ამპიცილინის, ლევომიცეტინის, ვალიდოლის, დიფლოფენაკის აბები, ბრილიანტის მწვანე ხსნარი. დარღვევები აღმოჩნდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე ულიცენზიო შპს "ლეგი-96"-სა და გამასახურდიას გამზირზე მოქმედ ასევე ულიცენზიო შპს "ნანა"-ში.

რამდენად საშიშია აცრა

"ბე" ჰეპატიტისა და დიფტერიის საწინააღმდეგო აცრებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გამოეხმაურა. ამირან გამყრელიძის განცხადებით, ვითარების ობიექტური შეფასება არ იძლევა იმის განცხადების საფუძველს, რომ აცრის შემდეგ ქართველი ბავშვების ჯანმრთელობა უარესდება. **"რა თქმა უნდა, ძნელია ამის ახსნა იმ ბიჭის მშობლებისთვის, რომლებიც შვილის ავადმყოფობას "ბე" ჰეპატიტზე აცრას აბრალებენ, მაგრამ ლოგიკა ამას გვიკარნახებს. იმავე ფლაკონიდან აიცრა ბიჭის ძმაც და არავითარი გართულება არ ჰქონია. ჩვენი აზრით, პრობლემა რომელიმე ვირუსმა შექმნა",** - მიიჩნევს ამირან გამყრელიძე.

თვითმკვლელს ისევე სწყურია სიკვდილი, როგორც უბრალო მოკვდავს - სიცოცხლე

თამარ მაისურაძე

გასული საუკუნეების ევროპაში თვითმკვლელებს გზაჯვარედინზე მარხავდნენ. კიდევ კარგი, ჩვენში ეს წესი არ ყოფილა და არც არის, თორემ საქართველოს გზაჯვარედინებზე თვითმკვლელების დაკრძალვას რა აუვიდოდა.

კომუნისტების დროს ეს თემა ტაბუდადებული იყო. თვითმკვლელებს სტატისტიკოსები კი აღრიცხავდნენ, მაგრამ შედეგებს არ ახმაურებდნენ. თვითმკვლელობა ანუ სუიციდი სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება, თუმცა, 90-იანი წლებიდან სუიციდის ფაქტები ისე გახშირდა, სახელმწიფო მოხელეებმა იგი ოფიციალურ ნუსხაში შეიტანეს, მოკვლევა კი გენერალურ პროკურატურას დაავალეს.

წლევანდელი წელიწადი, შეიძლება ითქვას, თვითმკვლელობათა სერიით დაიწყო. მოხუცი კაცი მტკვარში გადახტა და სიცოცხლე დაასრულა; თემქაზე მეათეკლასელმა ბავშვმა ჩამოიხრჩო თავი; ახალგაზრდა კაცმა სანადირო თოფით მოისწრაფა სიცოცხლე; მეორე ახალგაზრდა შეგნებულად გვიანობამდე დარჩა სამსახურში, რომ თავის ჩამოხრჩობაში ხელი არავის შეეშალა; მესამემ საბურთალოზე სრულიად გაურკვეველ ვითარებაში მოიკლა თავი...

მარტო ერთი კვირის განმავლობაში სასწრაფო დახმარება "03"-ში თვითმკვლელობის 6 შემთხვევა აღირიცხა. გარდაცვლილთა უმეტესობა მამაკაცია. სავარაუდოა, რომ თვითმკვლელთა რიცხვი გაცილებით დიდია. ამ ეჭვის საფუძველს ქმნის ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი სუიციდის შესახებ სრულ ინფორმაციას ვერ ფლობს.

და მაინც, რა არის თვითმკვლელთა რიცხვის კატასტროფული ზრდის მიზეზი?

გვესაუბრება ფსიქოლოგი მზია გომელაური:

"ამბობენ, რომ თვითმკვლელთა დიდი ნაწილი სოციალურად გაჭირვებული ადამიანია. თუ ეს ასეა, მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ ყველა არ იკლავს თავს გაჭირვების გამო? თვითმკვლელობის გახშირებას მარტო სოციალურ ფონს ვერ დავაბრალებთ. თვითმკვლელთა დიდი ნაწილი მატერიალურად უზრუნველყოფილია. ასე რომ არ იყოს, ჩვენს ქვეყანაში ტოტალური თვითმკვლელობები უნდა ხდებოდეს.

თვითმკვლელთა უმეტესობა ფსიქიკური აშლილობის გამო იკლავს თავს. ამ გადაწყვეტილებამდე ისინი მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის გამო მიდიან. ამ დროს ხდება სიცოცხლის ინსტინქტის შებრუნება: მათ ისევე სწყურიათ სიკვდილი, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს - სიცოცხლე და თავის მოკვლა მათთვის შვებაა.

გარდა ამისა, მსოფლიოში თვითმკვლელობის შემთხვევები ყველაზე ხშირად შაბათ-კვირას ხდება. სხვა დღეებში ადამიანი, ჩვეულებრივ, მუშაობს, დაკავებულია, ფიქრისთვის, თავის თავთან მარტო დარჩენისთვის არ სცალია. შაბათ-კვირას კი იცლის, მარტო რჩება და თავის განხორციელებულ და განუხორციელებელ შესაძლებლობებზე იწყებს ფიქრს. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ადამიანი გაუცნობიერებლად, აფექტში იკლავს თავს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენში ადამიანის სიცოცხლემ თითქოს აზრი დაკარგა. ადამიანს გაუძნელდა სიცოცხლის საზრისის პოვნა. ადრე სახელმწიფო იყო ჩვენი პატრონი. ჩვენს ქცევაზე, მომავალზე სახელმწიფო აგებდა პასუხს. დღეს ჩვენი თავის გადარჩენად ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთ, ჩვენი ცხოვრების ავტორები ჩვენვე გავხდით. ამას არ ვიყავით შეჩვეულნი. ადამიანმა უნდა მოახერხოს საკუთარი თავის რეალიზაცია, რადგან მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა რეალიზდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის თვითმკვლელობის მიზეზია არა სოციალური ფონი, არამედ მისი უფუნქციოდ დარჩენა."

მე-9 კლასელები სავდელი კურდღლების როლში

მანანა მანჭგალაძე

ისინი სახელმწიფო გამოცდებს დღეს, 5 ივნისს, პირველად ჩააბარებენ. გამოცდაზე გასულ მოსწავლეებს სრულიად ახალი, გამარტივებული ტესტები დახვდებათ და შეფასების ახალი სისტემით დაეწერებათ ქულები. საგამოცდო გამსვლელი ქულა წლეულს დაბალი იქნება - 100 შესაძლებელიდან 30. ამ ქულების მოპოვებას თავისუფლად შეძლებს საშუალო აკადემიური მოსწრების მოსწავლეც.

განათლების მინისტრის აზრით, შეფასების ახალი სისტემის დანერგვა რეფორმის წინ გადადგმული ნაბიჯია და ამას თავად სკოლა საჭიროებდა: **"რატომ არის შეფასების ახალი სქემა განსაკუთრებული? შეფასების სქემა უნიფიცირებული, ერთნაირია და მასწავლებლის სუბიექტურ ფაქტორზე აღარ არის დამოკიდებული, თუ როგორ გასწორდება ნამუშევარი და როგორ შეფასებას დაიმსახურებს მოსწავლე."**

ტესტებში მე-9 კლასის მთელი სასწავლო პროგრამაა შესული, მაგრამ გამარტივებული სახით. მოსწავლის პასუხით გამჟღავნდება, ცოდნის გარდა, აზროვნებისა და ანალიზის როგორი უნარი აქვს.

ახალ ტესტებზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. სერიოზული კვლევა ჩაუტარდა შარშან აპრობირებულ ტესტებსც, რომელთა დამუშავების შემდეგ ჩამოყალიბდა წლევანდელი კითხვარიც. ამ სამუშაოთა შესახებ შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კახა ჯამბურია, უფრო დეტალურ ინფორმაციას იძლევა: **"სააპრობაციო ტესტებს, მასწავლებლების გარდა, ფსიქოლოგებიც სწავლობდნენ. შარშანდელმა მონაცემებმა აჩვენა, რომ არსებული პროგრამა ბავშვებისთვის საკმაოდ რთულია. 14-15 წლის ბავშვებს უჭირთ ჰაგიოგრაფიული ტექსტების გაგება, აზრის გადმოცემა, საკმაოდ დაბალია წერის კულტურა. ამიტომ შევადგინეთ გეგმა, როგორ უნდა გადანაწილდეს ეს პროგრამა ასაკის მიხედვით. წინა წლის მონაცემთა გათვალისწინებით, წლევანდელი ტესტები გაცილებით გამარტივებულია."**

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი შედგება სამი ნაწილისგან: ლიტერატურა, გრამატიკა და წაკითხულის გააზრება. აპრობაციამ აჩვენა, რომ გრამატიკის ნაწილი ყველაზე იოლად დაძლიეს, რთული აღმოჩნდა წაკითხულის გააზრება და ლიტერატურის ნაწილი. ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის ფსიქომეტრულმა ანალიზმა აჩვენა, მოსწავლეთა 47%-მა ტესტის მაქსიმალური ქულის ნახევარი ვერ დააგროვა.

მათემატიკის ტესტი შედგება ორი ნაწილისგან: ალგებრა და გეომეტრია. მათემატიკის ტესტი ყველაზე რთული აღმოჩნდა. მოსწავლეთა 58%-მა ტესტის ქულათა მაქსიმუმის ნახევრის დაგროვებაც ვერ შეძლო.

უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ტესტიც ორნაწილიანია: პირველი აფასებს კითხვის, ხოლო მეორე წერის უნარ-ჩვევებს. აქაც მოსწავლეებმა პირველი ნაწილი უფრო იოლად დაძლიეს, ვიდრე მეორე.

"განათლების სამინისტრომ ზუსტად იცის, რას აკეთებს. ახალი საგამოცდო სისტემა ნაწილია იმ პროგრამისა, რომელიც განათლების ხარისხის გაუმჯობესებას უნდა მოემსახუროს", - განაცხადა გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე განათლების მინისტრმა ალეკო კარტოზიამ. ახალი საგამოცდო სისტემა ნაწილია 60-მილიონიანი პროექტისა, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

გამოცდების დამთავრების შემდეგ, შეფასების შედეგებთან ერთად, ცნობილი გახდება გაწეული სამუშაოს ზუსტი ხარჯთაღრიცხვაც.

ადამიანის უფლებები

„ამნესტი ინტერნეშენალი„ და ადამიანის უფლებები საქართველოში

ნიკოლოზ რურუა

“ამნესტი ინტერნეშენალი” საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვას მთელ მსოფლიოში ემსახურება. მისი განცხადებით, ის აბსოლუტურად თავისუფალია ყველა ქვეყნის სახელისუფლო და პოლიტიკური იდეოლოგიებისა თუ ნებისმიერი რელიგიური მრწამსისაგან. იგი არ ემხრობა ან ეწინააღმდეგება არც ერთ მთავრობასა და პოლიტიკურ სისტემას. ასევე არ უჭერს მხარს და არ ეწინააღმდეგება იმ ადამიანის პიროვნულ შეხედულებებს, რომლის უფლებებსაც ის იცავს.

ეს ორგანიზაცია აქვეყნებს ყოველწლიურ მოხსენებას, რომელიც მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ადამიანთა უფლებების სფეროში დაფიქსირებულ დარღვევებს, პრობლემებსა თუ პოზიტიურ ძვრებს.

ტრადიციულად, საქართველო ასეთ წლიურ მოხსენებებში ადამიანის უფლებების უხეშ დამრღვევ ქვეყანათა სიაში ხვდება ხოლმე. ეს ტრადიცია “ამნესტი ინტერეშენალის” არც წლევანდელ მოხსენებაში დაირღვა, რომელიც 2001 წლის იანვრიდან ამავე წლის დეკემბრამდე დროის პერიოდს მიმოიხილავს. თუმცა, ძნელია, ამაში ბრალი ამ ორგანიზაციას დავდოთ.

რაპორტი განიხილავს პატიმრობაში წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებს, რომელთა უმთავრესი მიზანი დაპატიმრებულთაგან გამოძიებისათვის სასურველი ჩვენების გამოძალვა იყო (ზეზვა ნადირაძის ელექტროშოკით წამებისა და გაუპატიურების მუქარის ფაქტი, დავით ვაშაყმაძის ცემით მოკვლის ფაქტი და სხვა).

აგრეთვე, მრავლადაა პატიმართა საკუთარ ადვოკატებთან კავშირის ხელოვნური დაბრკოლებისა და დამოუკიდებელ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობაში ხელის შეშლის ფაქტების ჩამონათვალი.

მოხსენება ასევე შეეხო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მოქალაქეთა სიკვდილის ფაქტებს, რომელთაც, როგორც წესი, მომდევნო გამოძიება ან დამნაშავე პოლიციელის არც ერთი გასამართლება არ მოჰყოლია (გია ჩიკაშუას სიკვდილის ფაქტი პოლიციაში დაკითხვისას, დაკითხვის პროცესში ეჭვმიტალის ფანჯრიდან გადაგდების პრაქტიკა და ა.შ.).

რაპორტი მიმოიხილავს გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისადმი საქართველოს რიგით მეორე პერიოდულ ანგარიშს, სადაც ამ ხელშეკრულების მონაწილე ჩვენი ქვეყანა იმ ზომების შესახებ საუბრობს, რომელიც მან წამების აღსაკვეთად მიიღო. ყურადსაღებია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეაგირება, რაც გამოიხატა კომიტეტის მხრიდან საქართველოში არსებული სიტუაციის მწვავე კრიტიკაში. კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობამ მწამებელთა რიგებში ხელშეუხებლობის ილუზია წარმოშვა, რაც კიდევ უფრო მეტი სამართალდარღვევის სტიმულირებას ახდენს. კომიტეტმა ასევე გააკრიტიკა პროკურატურის ფუნქციონირების სტილი, როგორც მექანიზმისა, რომელიც უზომოდ ართულებს ინდივიდუალურ საჩივართა დროულ და ეფექტურ განხილვას.

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი ფაქტები ჩვენს საზოგადოებაში არ სარგებლობს შოკირების ეფექტით, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან ამგვარ ქმედებებს ათწლეულების განმავლობაში მეთოდურად გვაჩვევდნენ. ამ პრაქტიკის შედეგია ინდივიდუალური თავისუფლების, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფასეულობის მთლიანი დევალვაცია, რომელიც დღეს ასე ნათლადაა სახეზე. დემოკრატია კი, პიროვნული თავისუფლების გარეშე, მანკიერი სისტემის შესანიღბად მოგონილ ფარისევლობას ემსგავსება.

გაიხსნა გახმაურებული ყაჩაღობა

თბილისში, მეტროს სადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს დედაქალაქში და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ზესტაფონელი დავით თელია. დაკავებისას პოლიციამ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი „რევსტერი“ რვა ვაზნით. თელია ეჭვმიტანილია შარშან თბილისი-სტამბოლის მიმართულებით მოძრავ თურქეთის მოქალაქეების — ალაეთიმ ქალქავანისა და აიდინ ჩალუჰმას კუთვნილ სამგზავრო ავტობუსზე თავდასხმაში.

თელიას დაკავებას წინ უძღოდა მისი ჯგუფის წევრების კახა თურქაძისა და სულხან მაკარიძის დაპატიმრება.

თურქაძე ორი კვირის წინ მეტროს სადგურ ”ნაძალადევთან” დააკავეს. იგი გარსევანიშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის გამო იანვრიდან იძებნებოდა. პოლიციაში მან შარშან ჩადენილი დანაშაული აღიარა.

ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანთან სტამბულში მიმავალ ავტობუსზე თავდასხმას შარშან ზაფხულში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თავდამსხმელებმა მაშინ მგზავრები და მძღოლი გაძარცვეს, 80 ათასი დოლარი, პირადი ნივთები და ძვირფასეულობა გაიტაცეს.

თურქაძემ აღიარა, რომ მან თანამზრახველთან ერთად, რომლის ვინაობასაც არ ასახელებდა, სტამბულში მიმავალი ავტობუსის ბილეთები შეიძინა და შორაპანამდე მშვიდად იმგზავრა. შორაპანთან კი ადგილზე მყოფ თანამზრახველებს ავტობუსის მიახლოება შეატყობინა, თავად გულის შეტევა მოიმიზეზა და ავტობუსი გააჩერებინა.

თურქაძის აღიარების შემდეგ გამოძიებამ მის თანამზრახველთა ვინაობა დაადგინა და გუშინწინ დააკავა კიდეც დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი დავით თელია.ამასობაში ჯგუფის წევრებმა კიდევ ერთი დანაშაული აღიარეს. კერძოდ, 12 აპრილს ელიავას ბაზრობაზე, ვითომდა სამშენებლო ნაგვის გატანის მიზნით, დაიქირავეს ავტომანქანა “ზილი”, შემდგომ კი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მძღოლი - 45 წლის სერგო ციხიშვილი გადმოსვეს ავტომანქანიდან. საჭესთან ერთ-ერთი დამნაშავე დაჯდა და იმავე გამზირზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურს დაეჯახა. პუნქტის მეპატრონემ, 47 წლის გიორგი ხოსმაზარაშვილმა იძულებით გააღო პუნქტის კარები. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს 13 600 აშშ დოლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ხანძარი პოლიტიკის გარეშე

არჩევნებიდან ორიოდ დღის გასვლის შემდეგ გამარჯვებულთა სამეულში შემავალი პარტიის — “ახალი მემარჯვენეების” ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ახალდანიშნული თავმჯდომარის ირაკლი გათიაშვილის ბინის დაწვა შეიძლებოდა პოლიტიკურ დანაშაულთა რიცხვს მიწეროდა. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკოსი მომხდარს თავის პოლიტიკურ საქმიანობას ჯერჯერობით ვერ უკავშირებს.



გოგიტა ბახაიძის ფოტო

გუშინ შუადღისას, დაახლოებით 2 საათზე, პარლამენტში მყოფ ბათიაშვილს კარის მეზობელმა ტელეფონით შეატყობინა, რომ მისი ბინა იწვოდა. პარლამენტარს შინ მეუღლემ მიასწრო. ბათიაშვილებს ცეცხლი ჩამქრალი დახვდათ. ხანძრის დროს ბინაში არავინ იყო — ოჯახის წევრები დილიდან თავთავიანთ საქმეებზე იყვნენ გასულნი. ხანძრის შედეგად მთლიანად გამურულია სასადილო ოთახის კედლები და ჭერი, ნაწილობრივ დამწვარია ავეჯი, რბილი სავარძლისგან რკინის კარკასიღაა დარჩენილი, თითქმის დამდნარია ტელევიზორი.

“ფანჯრები დახურული იყო და ვერავინ ვერაფერს შემოაგდებდა. ელექტრომოწყობილობა ჩართული ნამდვილად არ დაგვრჩენია. ძნელი სათქმელია, რას უნდა გამოეწვია ცეცხლის გაჩენა,” -- ამბობს ირაკლი ბათიაშვილი.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ერთადერთი ვარაუდი არსებობს. კერძოდ, ბათიაშვილების ბინის თავზე, ზედა სართულზე რემონტი მიმდინარეობს. როგორც შევიტყვეთ, ხანძრის დაწყების მომენტისთვის იქ შემდუღებელი მუშაობდა. ყველაზე სარწმუნო ვერსიით, შედუღებისას წარმოშობილი ნაპერწკლები პარლამენტარის გასარემონტებელი ბინის ძალზე დაზიანებული ჭერიდან სავარძლის ნაჭრის ზედაპირს მოხვდა და ცეცხლი გააჩინა.

სხვათა შორის, როგორც ბათიაშვილების კარის მეზობელმა გვითხრა, მას ხანძრის გაჩენის შესახებ სწორედ ზედა სართულის მუშებმა შეატყობინეს. მათვე შეამტვრიეს ბინის ფანჯრები და გარედან მიშვებული წყლის ჭავლით ჩააქრეს ხანძარი.

ზედა სართულზე ასულებს შემდუღებელი აღარ დაგვხვდა, იქ მყოფი ყველა მუშა კი ირწმუნებოდა, რომ ახალი მისული იყო და შემდუღებელი არც უნახავს. ასევე არ გაგვიმხილეს მათ ბინის მეპატრონის ვინაობა.

ახალი მეზობლის ვინაობა არც ირაკლი ბათიაშვილმა იცის. **”ახალი გადმოსულები არიან და არ ვიცნობ. თუმცა, ალბათ მომიწევს გაცნობა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა”**, -- გვითხრა პარლამენტარმა, რომელიც ხანძრის გაჩენას ჯერ ვერავითარ პოლიტიკურ სარჩულს ვერ უძებნის, მაგრამ არც არსებულ ვერსიაშია ბოლომდე დარწმუნებული: **“ჯერ ყველაფერს გავარკვევ. ხანძრის გამომწვევი მიზეზები უნდა დავადგინო და რაიმე ეჭვების გამოთქმა მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი”**. ყოველივეს დადგენას კი ბათიაშვილი საკუთარი ძალებით აპირებს, პოლიციისთვის ხანძრის შესახებ არც უცნობებია: **”პოლიციაზე უკეთ თავად გამოვიძიებ ყველაფერს”**, -- ამბობს საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსი.

საარჩევნო ბიულეტენების გატანების საქმე გაიხსნება

ასეთ პირობას დებს გენერალური პროკურორი

ინგა ალავიძე

მიუხედავად პოლიტიკური ზეპირსიტყვიერებისა, რომ 2 ივნისის არჩევნები განსაკუთრებული დარღვევებით ჩატარდა, საარჩევნო მარათონს სამართალდამცველებისთვის, კონკრეტულად კი, პროკურატურის გამომძიებლებისთვის, ჯერჯერობით, საქმე არ მიუმატებია.

ყოველ შემთხვევაში, თბილისის საარჩევნო უბნებში აღრიცხულ დარღვევებში დანაშაულის ნიშნები ჯერ არ შეუმჩნევიათ. ამიტომ პროკურატურაში მასალები არ შესულა, შესაბამისად, არც საქმეები აღძრულა. ასეთი პასუხი გაგვცეს თბილისის რაიონის პროკურორებმა.

თუმცა, ვაკე-საბურთალოს პროკურორი თამაზ გეთია ელის, რომ წყნეთის ერთ-ერთ უბანში მომხდარი გახმაურებული დარღვევის თაობაზე მასალები გადაეცემათ: “საქმეს ჯერჯერობით საარჩევნო კომისია სწავლობს და თუ ჩათვლიან, რომ საქმე ჩვენი ქვემდებარეა, გადმოგვიგზავნიან, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თამაზ გეთიამ.

საარჩევნო კრიმინალის თაობაზე მასალებს ელოდება გენერალური პროკურატურის მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველი სამმართველოც. სამმართველოს უფროსთან ჯერჯერობით მხოლოდ ქვემო ქართლში მომხდარი საარჩევნო დანაშაულის მამხილებელი მასალებია შესული.

ქვემო ქართლის პროკურატურაში რუსთავში მომხდარი ინციდენტის გამო დაწყებული მოკვლევის საქმე, რომელიც პარლამენტის განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი, გუშინ გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ბადრი ბიწაძემ მოისმინა. გუშინვე გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, საქმე აღიძრა და გამოსაძიებლად გადაეცა გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატს.

სამართალდამცველთათვის ჯერჯერობით ცნობილია გიგანტის დასახლების გადასახვევთან მომხდარ ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირის ავტომანქანის მარკა და ნომრები. მოწმეთა მიერ დასახელებული ერთ-ერთი ავტომანქანა რუსთავის ცემენტის ქარხნის თანამშრომლის კუთვნილება აღმოჩნდა. თუმცა, მან უარყო ბიულეტენების გატაცებაში მონაწილეობა და მასთან სახლში დაკითხვაზე მისულ სამართალდამცველებს დასახელებული მანქანა ეზოში დაშლილ მდგომარეობაში, შეკეთების პროცესში მყოფი დაახვედრა.

პროკურატურისთვის ცნობილია ასევე ინციდენტის მონაწილე კიდევ ერთი პიროვნების ვინაობა - მოწმეთა მიერ დასახელებული რუსთავის სამხარეო პოლიციის თანამშრომელი რიჩარდ გიგანი.

ერთი სიტყვით, დღეისთვის პროკურატურის ხელთ არსებული ინფორმაცია რუსთავის ინციდენტის გახსნისა და დანაშაულის შემკვეთ-შემსრულებელთა გამოვლენის სრულ საფუძველს იძლევა. მით უმეტეს, რომ გენერალურმა პროკურორმა საქმის უახლოეს დღეებში გახსნის პირობა უკვე დადო.

პრესინგი

სასიამოვნო სიურპრიზი პროკურატურისგან

ხათუნა გიგაური

გაზეთ “24 საათის” გუშინდელ ნომერში, რუბრიკა “პრესინგში” გამოქვეყნებულ მასალას სათაურით - “გამომძიებელმა მნიშვნელოვანი დოკუმენტი გადამალა”- გუშინვე მოჰყვა რეაგირება. მკვლელობის ბრალდებით ამჟამად მეხუთე საპყრობილეში მყოფი არასრულწლოვანის იმედა ნატროშვილის ადვოკატების თვენახევრიანი აქამდე უშედეგო მოთხოვნა გენერალურმა პროკურატურამ დააკმაყოფილა. ნატროშვილის საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა ააცილა და გამოძიება ქალაქის პროკურატურას დაავალა.

15 წლის იმედა ნატროშვილის ადვოკატები უშედეგოდ ითხოვდნენ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის აცილებას, გამომძიებელს კი სისხლის სამართლის დანაშაულში ამხელდნენ. მათი მტკიცებით, გამოძიებამ გადამალა, საქმეში არ ჩადო და სასამართლოს არ წარუდგინა მნიშვნელოვანი დოკუმენტი - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ბრალდებულის უდანაშაულობას ადასტურებდა.

შეგახსენებთ, რომ საქმის მასალების მიხედვით, იმედა ნატროშვილის დაკავების წუთიდან მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია უხეშად შეილახა; მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით; აღიარების გამოძალვა მოხდა სასტიკი წამებით – ცემითა და დენზე შეერთებით, რომლის კვალიც სახელმწიფო ექსპერტიზამ ვერ დამალა.

ღმერთმა არ ქნას, ეს ბავშვი გამართლდეს, რადგან მაშინ მე უნდა დავისაჯოო, - უთქვამს პროკურორ ზურაბ საძაგლიშვილს სასამართლო პროცესზე გამოცხადებული შესვენების დროს.

გენერალური პროკურატურის გუშინდელმა გადაწყვეტილებამ აცილების შესახებ იმედა ნატროშვილის ადვოკატებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის იმედი მისცა.

“15 წლის იმედა ნატროშვილი გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის პირადი დაინტერესებით დღემდე უკანონო პატიმრობაში იყო. რაიონული პროკურატურა თავის დანაშაულს ოთხი თვის განმავლობაში მალავდა. ქალაქის პროკურატურა ასე ვერ გარისკავს. გამოძიების მსხვერპლი – უდანაშაულო არასრულწლოვანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდება”, - აცხადებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში დარწმუნებული ადვოკატები.

ცნობისათვის: სტატისტიკური მონაცემებით, გლდანი-ნაძალადევის რაიონის წინასწარი დაკავების საკნები ადამიანის უფლებების დარღვევებში რეკორდსმენია. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც დაკავებული იმედა ნატროშვილი მიიყვანეს, შემდეგ კი გამოძიებამ აღიარებითი ჩვენება ჩამოართვა.

რუბრიკა “პრესინგი” ამ საქმის გამოძიებას ბოლომდე მიყვება.

უცხოეთი

გულშემატკივარი ბადრაგი და გაქცეული ვატიმრები

ქალაქ სან-პაულუს ციხიდან გუშინწინ პატიმართა 17-კაციანი ჯგუფი გაიქცა. ტუსაღებმა ისარგებლეს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატით და ბრაზილია-თურქეთის ნაკრების თამაშის ყურებით გართულ ბადრაგებს ხელიდან დაუსხლტდნენ. პატიმრებმა ციხიდან გაქცევა წინასწარ გათხრილი გვირაბით განახორციელეს.

პოლიციამ ციხის მიმდებარე ტერიტორია ალყაში მოაქცია, მაგრამ საკანში მხოლოდ სამი პატიმრის დაბრუნება მოახერხა.

ბრაზილიის ციხის ისტორიაში ფეხბურთთან დაკავშირებულ კურიოზს 1965 წელსაც ჰქონდა ადგილი. ოღონდ მაშინ 1500 პატიმარი ერთ-ერთი ციხის ადმინისტრაციამ თავისი ნებით გაუშვა, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოედანზე დაბრუნებული ფეხბურთის მეფის – პელეს თამაშის სანახავად. მატჩის დასრულებისთანავე პატიმარი ფანები ციხეს დაუბრუნდნენ.



მამუკა ტყემალაძვილის ნახატი

ლუბიანკა მას-მედიას უტევს

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ზდანოვიჩის დანიშვნაზე ხმები მთელი თვე დადიოდა, მაგრამ ოფიციალურად ამ დანიშვნის შესახებ კრემლმა ინფორმაცია გუშინ გაახმოვანა. ზდანოვიჩს საერთოდ რუსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის მინისტრობას უპირებდნენ, მაგრამ ეტყობა, ვიღაცას შერცხვა.

რუსეთის სახელმწიფო ტელერადიოკამპანიაში ზდანოვიჩს კარგად იცნობენ, რადგანაც, როგორც ჩვენთან საუბარში ტელეარხის პოლიტიკურმა მიმომხილველმა ნიკოლოზ სვანიძემ დაადასტურა, მათი ჰოლდინგი, ჩეჩნეთის პირველი კამპანიიდან დაწყებული, ზდანოვიჩის პასუხისმგებლობის სფეროში იმყოფება.

დღეიდან სავსებით ნათელია, თუ როგორი საინფორმაციო პოლიტიკა ექნება რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიას. ჩვენი კოლეგები ამბობენ, რომ ზდანოვიჩის დანიშვნა ჰოლდინგის შეფს ოლეგ დობროდეევს გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ კრემლის მითითების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. თავად ზდანოვიჩი ამტკიცებს, რომ ჟურნალისტთა სიცოცხლისა და ჰოლდინგის ფინანსურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დასაცავადაა მოწოდებული.

ზდანოვიჩის მოსვლისადმი პროტესტის ნიშნად, "ვესტი"-ს უფროსმა ალექსანდრ აბრამენკომ სამსახურიდან წასვლაზე განცხადება დაწერა.

იგორ იაკოვლევმა "ობშჩაია გაზეტა" გაყიდა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაგრამ ინტელიგენციის აზრი, როგორც ჩანს, პრეზიდენტს ნაკლებად აღელვებს. "ობშჩაია გაზეტას" რედაქციაში მისულმა ვინმე ლეიბმანმა ჟურნალისტების წინ თავი ვერაფრით მოიწონა. ჩვენმა მოსკოველმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ პიტერელი ბიზნესმენი ძალზე შორს დგას მედია-ბიზნესისგან, საერთოდ არ ესმის ჟურნალისტიკის ანბანი და კვერცხის გამყიდველის ფსიქოლოგია უფრო აქვს, ვიდრე მედია-მაგნატისა. იგივე ავი ენები ამტკიცებენ, რომ ლეიბმანი პუტინის გუნდისთვის ფულის ერთ-ერთი ქისაა.

მოსკოვში აღარ არსებობს "ობშჩაია გაზეტა", სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი იური როსტი მოღვაწეობდა; რომლის მთავარი რედაქტორი და ჟურნალისტები პრეზიდენტსა და ხელისუფლებას უხურხული შეკითხვებით სისტემატურად აწუხებდნენ. ასეთი გაზეთი ვვპ-ის (ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინი) გუნდს აღარ სჭირდება. გულდასაწყვეტია, რომ, როგორც თავად იაკოვლევი აცხადებს, რუსეთში დღეს არ არსებობს არც თავისუფალი სიტყვა და არც ჟურნალისტთა კავშირი, არც თავისუფალ ჟურნალისტთა საზოგადოება, რადგანაც ამ ფაქტზე ხმას არავინ იღებს. იაკოვლევს, რუსული ჟურნალისტური საძმოდან, ტელეეთერში ახლახან დაბრუნებული კისილიოვი გამოესარჩლა - ისიც ზედმეტად მოზომილად და კორექტულად.

რუსეთის სახელმწიფო მანქანამ, ვინ იცის, მერამდენედ გადადაუმტვრია ძვლები ჟურნალისტთა პროფესიულ კოლექტივს. სხვაგვარად მოქცევა მას არ შეუძლია.

კარგი რეპუტაციის გაზეთი მოსკოვში თითზე ჩამოსათვლელია. მოსკოვის ვაგზლებზე გაყიდული "სპიდ-ინფო" და "მეგაპოლის-ექსპრესი" მკითხველს კი პოულობს, მაგრამ "ობშჩაია გაზეტას" თავისი მიზანი ჰქონდა, თავისი ინტელექტუალური მკითხველი ჰყავდა. იგი სხვა ამოცანას ისახავდა, ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

საზოგადოებას აქვს ისეთი გაზეთი, როგორსაც იგი იმსახურებს. ჩვენი მოსკოველი კოლეგები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ "ო.გ."-ს დახურვა რუსული საზოგადოების კიდევ ერთი ტრაგედიაა, გამოწვეული მოსკოვზე პეტერბურგელი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების შემოტევით.

ძვირფასო ბავშვებო

მხოლოდ 3 დღით 7 , 8 და 9 ივნისს, 16 საათზე იმიჯ-ცენტრი
გიწვევთ ცირკში საბავშვო კონცერტზე

მცირაჯიანი აჩრდილები

დუტა სხირტლაძის,
თიკა ჭამბურიას,
ზუკა ხუციშვილის
მარიკა თხელიძის,
მარიამ როინიშვილის
ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია "მეტეხის"
ანსამბლ "საგალობელის"
და სხვა მრავალი შემსრულებლის
მონაწილეობით



ბილეთები შეიძინეთ
ცირკის სალაროებში

იმიჯი CENTRE

ნუ აუკრძალავთ ფეხბურთელებს სექსს! B4
გადამდგარი მოდელის აღსარება B5
კროსვორდი, TV პროგრამა B8

www.24hours.ge 24 B

ოთხშაბათი, 5 ივნისი, 2002 წელი. №3

თუ გნებავთ, საფრანგეთს ჰკითხეთ...

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად "24 საათისათვის"



– მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს მდორედ იღებს ხოლმე. წელს ეს ტენდენცია ბრაზილიამ და იტალიამ დაარღვიეს. ორივე ნაკრები თამაშში მთელი ძალებით ჩაერთო.

ბრაზილიის შემთხვევაში ეჭვი ბევრს გაუჩნდა. მაგრამ არა იმიტომ, რომ გუნდმა თურქეთი მხოლოდ 2:1 დაამარცხა. უფრო შთამბეჭდავი იყო ის გზა, რომლითაც ბრაზილიამ გამარჯვებას მიაღწია.

ცხადია, არალოგიკური იქნებოდა, ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატზე რომ არ გასულიყო. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ საკვალიფიკაციო მატჩებში ძალზე ცუდად ითამაშა: წააგო მატჩები პარაგვაის, ბოლივიის, არგენტინის, ურუგვაის, ეკვადორისა და ჩილეს წინააღმდეგ. მაშინ ეროვნული ნაკრების ფანები დაეჭვდნენ, შეძლებდა, თუ არა ბრაზილია საერთოდ ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას. თუმცა, დროულად გამოჩნდა რონალდო და გულშემატკივარმაც შვებით ამოისუნთქა.

რონალდო დაბრუნდა. ოთხი წლის განმავლობაში მას თითქმის არაფრისთვის მიუღწევია. ულსანში ჩატარებული პირველივე თამაშის შემდეგ კი საფეხბურთო სამყაროს უკვე მეორედ აფიქრებინა, რომ ის შესაძლოა, მსოფლიოში უძლიერესი თავმდამსხმელი იყოს.

სხვათა შორის, ბევრს დავობდნენ იმაზე, თუ რომელი თავდამსხმელები გახსნიდნენ თამაშს. დუეტში რონალდო და რივალდო მოგვევლინა. თუმცა, ბრაზილიელების შესაძლებლობების ნამდვილი გამოცდა ჰასანის პირველი გოლის შემდეგ დაიწყო.

რონალდოს გამჭრიახობისა და ბევრი მოძრაობის წყალობით ანგარიში გათანაბრდა. გამარჯვებული კი, რივალდოს წარმატებული პენალტის შემდეგ, 87-ე წუთზე გამოვლინდა.

თუმცა, მთელი თამაშის განმავლობაში ყველაზე დამაფიქრებელი რივალდოს საქციელი იყო. ჰაკან უნსალის ძალით ნასროლი ბურთი მას ფეხში მოხვდა, მაგრამ ფეხბურთელმა ხელები სახეზე აიფარა – ისიმულიანტა. მატჩის შემდეგ ეს რივალდომაც აღიარა: "არა, ბურთი სახეში არ მომხვედრია. თუმცა, თურქი ფეხბურთელი ასე არ უნდა მომქცეოდა. მე მას ბოდიში მოვუხადე, მაგრამ მსგავსი რაღაცეები ფეხბურთში ხდება ხოლმე". რივალდოს სიმულაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ბრაზილიის ნაკრები ფსიქოლოგიურ დაძაბულობას განიცდიდა.

იმავე შუადღეს იტალიელების თავის გამოჩენის რიგიც დადგა. ნაკრები ჩემპიონატზე მშვენიერი რეპუტაციით ჩავიდა. ისინი ამ მხრივ მხოლოდ არგენტინას თუ ჩამორჩებოდნენ.

ამიტომ არავის გაკვირვებია, ფრანჩესკო ტოტისა და კრისტიან ვიერის კარგად აწყობილი კომბინაცია გოლით რომ დასრულდა. ვიერი მეორე გოლის ავტორიც გახდა. თუმცა, მაყურებელს ფრანჩესკო ტოტი უფრო ესიმპატიურა. "რომას" კაპიტანი მთელ მოედანს აკონტროლებდა, ხოლო გოლის გატანის შანსი რამდენჯერმე გაუშვა ხელიდან.

საინტერესოა ის, რომ ჯოვანი ტრაპატონის ეჭვიც არ შეპარვია, რომ მისი თავმდამსხმელების ტანდემი გაამართლებდა. "ზურგის" გასამაგრებლად კი ტრაპატონიმ ბეჯითად "მომუშავე" ნახევარდაცვა ჩააყენა. მართალია, ჩემპიონატის ნახევარდაცვის არჩევისას ექსპერტებს ძამბროტა, ტომაზო, დიბიაჯო და დონი არც გაახსენდებათ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გუნდი შრომისმოყვარეობით ნამდვილად გამოირჩევა. როცა საჭირო გახდება, მათ ბარიკადის "აგებაც" მშვენივრად შეუძლიათ.

"ეს კარგი გამოცდა იყო, - განაცხადა მატჩის დასრულების შემდეგ ტრაპატონიმ, - "დასაწყისში, ძალების მოსასინჯად, კარგი შეჯიბრია საჭირო. ახლა ყველას პოზიციას კიდევ ერთხელ გადავხედავ და მერე გადავწყვეტ, თუ ვინ ითამაშებს შაბათს, ხორვატიის წინააღმდეგ".


დიახ, შემდეგი რიგში ხორვატია დგას. თუ მექსიკასთან მისი დამარცხებით ვიმსჯელებთ, იტალიას შემდეგ ეტაპზე გასვლის სრული გარანტია უნდა ჰქონდეს.

ბრაზილია და იტალია; იტალია და ბრაზილია. პირველ "რაუნდში" მხოლოდ ამ ორმა გუნდმა შეძლო თავიანთი ძალების დემონსტრირება.


გამარჯვებულიც მათ შორის ხომ არ უნდა ვეძებოთ?...

«რიტერს» ფოტო

იაპონელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი ჩაესახათ



იაპონია 2-2 ბელგია



გოლები: 1:0 ვილმოტსი (57`), 1:1 სუძუკი (59`), 2:1 ინამოტო (68`), 2:2 ვან დერ ჰეიდენი (75`)
მსაჯი: მატუს ვილიამი (კოსტა-რიკა)
სტადიონი: საიტამა
55256 მაყურებელი

ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი, იაპონიის ნაკრები, გუშინ ბელგიის ეროვნულ გუნდს შეხვდა. მატჩის პირველი ტაიმი უინტერესო გამოდგა. ანგარიშიც შესაბამისად – 0:0. მეორე ნახევარი კი რადიკალურად განსხვავდებოდა პირველისგან. გუნდებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს ერთმანეთის კართან და ორივე მხარეს ორ-ორი გოლი გავიდა.


იაპონელ გულშემატკივარს იმედი ჩაესახა. მერვედფინალში გასვლაც თითქოს რეალური გახდა.

ფილიპ ტრუსიე *(იაპონიის ნაკრების მწვრთნელი): "ეს მნიშვნელოვანი ქულაა. ახლა ყველაფერია შესაძლებელი. ჩვენ საკუთარი თავის იმედი გვაქვს. ეს ქულა ისტორიულია, რადგან პირველია იაპონიის ფეხბურთში. გვინდოდა, ჩვენი გულშემატკივრისთვის შემტევი ფეხბურთი გვეჩვენებინა. მგონი, გამოგვივიდა კიდეც, თუმცა, პრაგმატულობა გვაკლდა."*


რობერტ ვასეჟი *(ბელგიის ნაკრების მწვრთნელი): "იაპონიის ნაკრებმა ეს ქულა დაიმსახურა, რადგან ისინი 0:1 ანგარიშის შემდეგაც არ დაგვნებდნენ. მომდევნო მატჩამდე ბევრი სამუშაო გვაქვს. არავინ იფიქრებდა, რომ იაპონია წინ გავიდოდა, მაგრამ ჩვენ მტკიცე ხასიათი გამოვიჩინეთ და ანგარიში მაინც გავათანაბრეთ. გულშემატკივარი კი იაპონელთათვის ნამდვილად მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებდა."*



გაზაფხული სამხრეთ კორეაში



სამხრეთ კორეა 2:0 პოლონეთი



გოლები: *1:0 სუნ ჰონ ხვანგი (26), 2:0 სანგ ჩულ იო (53)*
მსაჯი: *რულც ოსკარი (კოლუმბია)*
სტადიონი: *"ბუსან აზია მეინ სტადიუმი"*
59734 მაყურებელი


სამხრეთ კორეაშიც მოვიდა გაზაფხული. ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ექვსჯერ მიუღია მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში და არც ერთხელ, არათუ ქვეჯგუფიდან არ გაუღწევია, ერთი მატჩიც კი არ მოუგია. ამჯერად, სამხრეთკორეელები ერთობ სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს.

გუუს ჰიდინკი *(სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მათ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს მითითებები - 90 წუთის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი საათით გვაქვს ზეიმის უფლება. წინ ძალიან სერიოზული მატჩები გველის და უნდა მოვემზადოთ.*


დერზი ენგელი *(პოლონეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი): ასეთი თამაშით კორეელებს სხვა გუნდების გამწარებაც შეუძლიათ. პირველ მატჩში მასპინძლის წინააღმდეგ თამაში რთული ამოცანაა. ჩვენი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ცოტა საგოლე მომენტი შევქმენით. კორეელებმა ჯერ კიდევ საფრანგეთისა და ინგლისის გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებში დაამტკიცეს, რომ ხელწამოსაკრავები არ არიან.*



კოსტა-რიკა ჯგუფს ლიდერობს



ჩინეთი 0-2 კოსტა-რიკა



გოლები: *0:1 – გომესი (61), 0:2 – რაიტი (65).*
მსაჯი: *ვასარას კაიროსი (საბერძნეთი).*
სტადიონი: *გვანჯუ*
27217 მაყურებელი

როცა კოსტა-რიკა ბრაზილიას ეპაექრებოდა, საფეხბურთო რუკაზე ჩინეთის ხსენება საერთოდ არ იყო. ბორა მილუტინოვიჩის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მონაწილეობს და კომუნისტური ჩინეთისთვის ეს უკვე დიდი მიღწევაა. ორივე გუნდმა იცის, რომ აუტსაიდერია, ამიტომ ისე ითამაშეს, როგორც აუტსაიდერებს ეკადრებოდათ – უხეშად. მსაჯმა 7 ფეხბურთელს უჩვენა ყვითელი ბარათი. კოსტა-რიკამ ოთხ წუთში დაამთავრა საქმე, აქტივში პირველი სამი ქულა ჩაიწერა და C ჯგუფს სათავეში ჩაუდგა.

ბორა მილუტინოვიჩი *(ჩინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): რასაკვირველია, თამაშის დასაწყისი სხვაგვარად წარმოგვედგინა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ დღეს ჩვენ სუსტად გამოვიყურებოდით. პირველ რიგში გული მწყდება გულშემატკივრების გამო. ისინი აქ ჩამოვიდნენ, ჩვენ კი ვერ გავახარეთ.*

ალექსანდრ გიმარაეში *(კოსტა-რიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ჩვენთვის ისიც სასიხარულოა, რომ აქ, მსოფლიო ჩემპიონატზე ვართ. მერვედფინალში რომ გავიდეთ, თამაშს საგრძნობლად უნდა მოვუმატოთ.*



დღის დაიჯესტი

ფიფა სანქციებს იღებს

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფიფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოედნიდან გაძევებულ თურქ ფეხბურთელებს ალფაისა და უნსალს, აგრეთვე ხორვატიის ნაკრების მცველს ჟივკოვიჩს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ.

ასე რომ, თურქეთის ნაკრები კოსტა-რიკასთან უაღრესად მნიშვნელოვან მატჩში ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გამოვა, ხოლო ხორვატიის ნაკრების მწვრთნელს მირკო იოზიჩს ახალი თავსატეხი გაუჩნდა: მან "სკუადრა აძურასთან" შეხვედრამდე ჟივკოვიჩის შემცვლელი უნდა მოძებნოს.

სენეგალის ნაკრებმა კაპიტანი დაკარგა

სენეგალის ნაკრების კაპიტანმა ალიუ სისემ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და დანიელთა წინააღმდეგ მისი თამაში საეჭვო გახდა. "უცებ მუხლის ტკივილმა შემაწუხა, მაგრამ არ ვიცი, რატომ", – განაცხადა სისემ. ჯერჯერობით ტრავმის ხარისხი და სირთულე უცნობია.

სისემ მინდორი შეხვეული ფეხით დატოვა და რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად მეორე ვარჯიშზე აღარ გამოცხადებულა. ამ ფეხბურთელებს ბრუნო მეცუმ დასვენების საშუალება მისცა. სისეს გარდა, ტრავმირებულთა სიაში არიან მეკარე უმარ დიალო, ნახევარმცველები პაპა სარი და სილვიენ ნდიაი.

შესაძლოა, რივალდო დაისაჯოს

ბრაზილია-თურქეთის მატჩმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მეორე ტაიმში ჰაკან უნსალმა რივალდოს ბარძაყში მოარტყა ბურთი. ბრაზილიელი მინდორზე დაეცა და სახეში ისე წაიშინა ხელი, თითქოს ტაისონის მუშტი მოხვდა. არბიტრი ბრაზილიელის პროვოკაციაზე წამოეგო და უნსალი მოედნიდან გააძევა. რივალდომ აღიარა, რომ მსაჯზე ითამაშა და ფეხბურთის მოყვარულებს მოუბოდიშა, მაგრამ იქვე დაამატა: "ასეთი საქციელი დაუშვებელია. უნსალი გაძევებას იმსახურებდა და გააძევეს კიდეც".

ეს ეპიზოდი, ალბათ, რეაგირების გარეშე არ დარჩება. ბრაზილიელი შეიძლება დაისაჯოს. "ფიფას სადისციპლინო კომიტეტი აუცილებლად განიხილავს ვიდეოჩანაწერს და გაარკვევს, იყო თუ არა რივალდო დამნაშავე", - განაცხადა ფიფას პრესმდივანმა კეიტ კუპერმა.

კანტონა თანამემამულეებს აკრიტიკებს

საფრანგეთის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ერიკ კანტონამ სენეგალის წინააღმდეგ თანამემამულეთა თამაში მიწასთან გაასწორა. კანტონას აზრით, თუ დაცვის ცენტრი დესაი-ლებეფის იმედად დარჩება, საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მომავალი არა აქვს. "სამწუხაროდ, ლემერის გუნდის თამაში ზიდანზეა დამოკიდებული, – ამბობს კანტონა, – თუ ის არ გამოჯანმრთელდა, მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის ძალიან მალე დამთავრდება".

კანტონასგან განსხვავებით, თავისი გუნდის მომავალს ზიდანი ოპტიმისტურად უყურებს. მას მიაჩნია, რომ საფრანგეთის ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. "ჩვენმა ნაკრებმა უჩემოდ უამრავი თამაში მოიგო, – ამბობს ზიდანი, – სენეგალთან კი იმიტომ წავაგეთ, რომ უიღბლო დღე იყო. მე ფიქრადაც არ მომსვლია აზრი, რომ მომდევნო ეტაპზე ვერ გავალთ."

ერიქსონი შეგირდებს მადლიერებისკენ მოუწოდებს

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა ფეხბურთელებს მოუწოდა, არგენტინასთან მატჩის შემდეგ გულშემატკივრებს მადლობა უძღვნან. შვედებთან ფრედ დამთავრებულლი მატჩის შემდეგ ინგლისელები იმდენად განწბილებული დარჩნენ, რომ გულშემატკივრები საერთოდ გადააგიწყდათ. ერთადერთი, ვინც ტრადიცია ბოლომდე დაიცვა, მეკარე დევიდ სიმენი იყო. "მესმის, რომ ჩემი ფეხბურთელები ნირწამხდარნი იყვნენ, მაგრამ წაგების დროსაც კი არ უნდა დაივიწყო ქომაგი, რომელმაც შენს მხარდასაჭერად ნახევარი პლანეტა გამოიარა", – განაცხადა ერიქსონმა.

ითამაშებს თუ არა კანუ?

ეს კითხვა ყველაზე მეტად ნიგერიის ნაკრების მწვრთნელს ადეგბოი ონიგბინდეს აწუხებს. ნვანკვო კანუმ არგენტინელებთან მატჩში ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, შვედების წინააღმდეგ გუნდს ვერ დაეხმაროს. "იმედი გვაქვს, კანუ გამოჯანმრთელდება. თუ არადა, შემცვლელის მოძებნა მოგვიწევს, – ამბობს ონიგბინდე, – კანუ ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია ჩემს გუნდში და უმისობა დიდი დანაკლისი იქნება".

ჩემპიონატების ისტორიიდან

გახმაურებული სკანდალები

1962 წელი.

ჩილე – იტალია 2:0

ეს მატჩი ისტორიაში შევიდა, როგორც "სანტიაგოსთან ბრძოლა". თამაშმა გაუთავებელ კინკლაობასა და ჩხუბში ჩაიარა. ფეხბურთელები ერთმანეთს პროვოკაციებს უწყობდნენ, მაგრამ ინგლისელი მსაჯი კენი ასტონი მინდვრიდან რატომღაც მხოლოდ იტალიელებს აძევებდა. შეხვედრის 42-ე წუთზე მდგომარეობა აბსურდამდე მივიდა. ჩილელმა ლეონელ სანჩესმა იტალიელ დავიდს სახეში მუშტი უთავაზა. თითქოს ეს არ კმაროდაო და, კენი ასტონმა იტალიელს წითელი ბარათიც უჩვენა.

1966 წელი.

ინგლისი – არგენტინა 1:0

ეს იყო, ალბათ, ყველაზე სკანდალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ანგარიში 0:0 იყო, როცა გერმანელმა არბიტრმა კრაიტლაინმა მინდვრიდან

გააძევა არგენტინის ნაკრების კაპიტანი რატინა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მსაჯს... "ალმაცერად შეხედა." აღშფოთებულმა არგენტინელებმა მოედანზე მუშტი-კრივი გამართეს და პროტესტის ნიშნად გასახდელს მიაშურეს. თამაში მხოლოდ 10 წუთის შემდეგ განახლდა, მაგრამ უმცირესობაში დარჩენილებმა გოლი გაუშვეს და დამარცხდნენ.

მატჩის შემდეგ გასახდელში არგენტინის ნაკრებმა საშინელი დებოში მოაწყო. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ალფ რემზიმ სატელევიზიო გამოსვლისას არგენტინელ ფეხბურთელებს "ცხოველები" უწოდა. ბუენოს-აირესში კი ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ინგლისის საელჩოს შეუტიეს. დაიწყო საერთაშორისო სკანდალი. ინგლისმა ფიფას წინადადებით მიმართა, არგენტინა თავისი რიგებიდან გაერიცხა. რაც შეეხება არგენტინას, მას თვითონ არ სურდა მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა.

1966 წელი.

ინგლისი – გფრ 4:2

ფეხბურთის სტაჟიან მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ სკანდალური ფინალი. დამატებით დროში, როცა ანგარიში 2:2 იყო, შვეიცარიელმა არბიტრმა დამხმარე მსაჯის, ტოფიკ ბახრამოვის დასტურით, გერმანელთა კარში საკმაოდ სადავო გოლი ჩათვალა. დეფრი ჰერსტის მიერ დარტყმული ძელმა აისხლიტა და კარის ხაზზე დაეცა. ამის გამო გერმანიაში ბახრამოვს "მისტერ ცვაიდრაი" (მისტერ 2:3) შეარქვეს.

ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისი

პუტინის აპარატის წევრი და ორი ყოფილი მინისტრი თბილისში

დიმიტრი ობოლაძე

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი, ზედიზედ მეორედ, ბათუმის "ბასკოს" გამარჯვებით დასრულდა. პრობლემების მიუხედავად, რაც ქართულ მენტალიტეტთან და ხასიათთან იყო დაკავშირებული, ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა. სეზონის ბოლო აკორდიც შთამბეჭდავი იქნება: 8 ივნისს, 18 საათზე, შედგება ქართველი კალათბურთელის, ჩვენი ერთადერთი მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისი.

დერიუგინის ბენეფისი ქართული კალათბურთის აღმავლობის პერიოდს გაგვახსენებს. მრავალწლიანი შესვენების შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში გამოჩნდებიან 80-იანი წლების ვარსკვლავები. ხოსე ბირიუკოვის, ალექსანდრ ვოლკოვის, რიმას კურტინაიტისის, იგორს მიგლინიეკსის, ალექსანდრ სალნიკოვის, სერგეი ტარაკანოვის, ვლადიმირ ტკაჩენკოს, ანდრეი ტიუბინისა და სერგიუს იოვაიშას სახელები ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მათ არაერთხელ უთამაშიათ ნიკოლოზ დერიუგინის წინააღმდეგ. უმეტესობა ისევ კალათბურთს ემსახურება. ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტი კიეველ ალექსანდრ ვოლკოვს უკავია. ის უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ამავე დროს გახლავთ საკალათბურთო კლუბ "ბკ კიევის" პრეზიდენტი და ევროპის კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი. მასთან ერთად მუშაობენ ლიტველი რიმას კურტინაიტისი ("ბკ კიევის" ვიცე-პრეზიდენტი) და იგორს მიგლინიეკსი ("ბკ კიევის" მთავარი მწვრთნელი). ალექსანდრ სალნიკოვიც კიევში მუშაობს, ის კლუბის ერთ-ერთი დირექტორია. მნიშვნელოვანი ფიგურაა მოსკოვის არმიის საკალათბურთო კლუბის ყოფილი ვარსკვლავი სერგეი ტარაკანოვი. იგი რუსეთის უპირველესი საკალათბურთო აგენტია და დიდ ტრანსფერებს ახორციელებს. რაც შეეხება ყოფილ თბილისის "დინამოელს", მშვიდ და აუღელვებელ ანდრეი ტიუბინს, იგი რუსეთის პრეზიდენტის პუტინის აპარატში მუშაობს. მიუხედავად ამისა, ტიუბინი თბილისში ჩამოვა და თბილისის "დინამოს" რიგებში ითამაშებს. საინტერესოა ალექსანდრ ვოლკოვისა და რიმას კურტინაიტისის სტუმრობაც. რამდენიმე წლის წინათ ვოლკოვი უკრაინის, კურტინაიტისი კი ლიტვის სპორტის მინისტრები იყვნენ.

8 ივნისს დაგეგმილი შეხვედრის ჩატარება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის იდეაა. ნიკოლოზ დერიუგინს ნამდვილად ეკუთვნის სპორტიდან ღირსეული გაცილება. ამის გარდა, ეს აქცია კიდევ უფრო გაზრდის კალათბურთის პოპულარობას. ზემოჩამოთვლილ ევროპელ ვარსკვლავებთან ერთად, პატარა ქართველი კალათბურთელები, რომელთაც არ უნახავთ დერიუგინის თამაში, ქართველ ვეტერანთა პლეადასაც იხილავენ.

მატჩს მოემსახურებიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები მურმან ქურიძე და როლანდ ხომერიკი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები და სუხიშვილების ანსამბლი.





დაიბადა:
1959 წლის 30 აპრილს ქუთაისში
კალათბურთის თამაში დაიწყო
1966 წელს
პირველი მწვრთნელები:
სულიკო თორთლაძე,
ზაურ ჩარკვიანი

კარიერა

თბილისის "დინამო": 1975-1986
საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები:
1975-1979
საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრები:
1977-1984
საქართველოს ეროვნული ნაკრები:
1995
"მააფცი" (უნგრეთი):
1992-1993
თბილისის "თბილისი":
1993-1994
"სლოვაკფარმა" (სლოვაკეთი):
1994-1995
თბილისის "ვითა":
1995-1996
თბილისის "სდასუ":
1996-1998
თბილისის "კალათბურთის აკადემია":
2001-2002

ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონი:
1982 (კალი, კოლუმბია)
ევროპის ჩემპიონი:
1981 (პრაღა, ჩეხოსლოვაკია)
ოლიმპიადის მესამე პრიზიორი:
1980 (მოსკოვი, სსრკ)
ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი:
1983 (პარიზი, საფრანგეთი)
ევროპის სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის:
1975 (ათენი, საბერძნეთი), 1977 (მადრიდი, ესპანეთი), 1978 (სასარი, იტალია)
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი: 1979
საქართველოს ჩემპიონი: 1996
საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი: 1977

წოდებები და ჯილდოები

საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი კაპიტანი: 1995
საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი: 1982
მედალი "შრომითი მამაცობისთვის":
1982
ღირსების ორდენი: 1982



რონალდო აღიარებს, რომ მზად არ არის

ბრაზილიის ნაკრების სუპერვარსკვლავმა რონალდომ აღიარა, რომ როდესაც თურქეთთან მატჩის დროს მოედნიდან გაიყვანეს, ფიზიკურად უკვე აღარ შეეძლო. და, საერთოდ, ჯერ კიდევ არ არის მზად, სრულყოფილად ითამაშოს 90 წუთის განმავლობაში.

"მე ჯერ კიდევ ჩამოვრჩები ჩემს თანაგუნდელებს. ვიცოდი, რომ შემცვლიდნენ და როდესაც პროფესორი (ასე მოიხსენიებს რონალდო სკოლარის) დავინახე, შვებით ამოვისუნთქე, რადგან სრულიად გამოფიტული ვიყავი. მინდა, ფორმაში ჩავდგე, მაგრამ ეს მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ძალიან ძნელია," – ამბობს რონალდო. ნაკრების მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარის თქმით, რონალდოს ხანდახან ახლაც აწუხებს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნატკენი მუხლი.

"ის, უბრალოდ, დაიღალა, - ამბობს სკოლარი, - მოედანზე მისი ყოფნა 70 წუთის განმავლობაში, ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. რონალდომ ითამაშა ისე, როგორც მისგან ველოდით."

თვითონ თავდამსხმელი კი ძალიან გაახარა ჩემპიონატზე გატანილმა პირველმა გოლმა: "ჩემთვის ეს განსაკუთრებული რამ არის. არ ვიცი, რომელი გოლი უფრო მნიშვნელოვანია - ჩემი თუ რივალდოსი. ჩემმა გოლმა გუნდი დააწყნარა, რივალდოს გოლმა კი გაგვამარჯვებინა."



როიტერსი ფოტო

როიტერსი ფოტო

ნუ აუკრძალავთ ფეხბურთელებს სექსს!

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სექსი არავითარ ზეგავლენას არ ახდენს სპორტსმენთა შედეგიანობაზე და მწვანე შუქს უნთებენ ფეხბურთელებს, რომლებიც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოდიან. თუმცა, ბევრი მწვრთნელი ჯიუტად არ ეთანხმება სწავლულთა რჩევას და თავის შეგირდებს ტურნირის მსვლელობისას სექსს უკრძალავს.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი სექსოლოგები ინტიმური ურთიერთობის მავნე ზეგავლენას ზღაპრად მიიჩნევენ, იტალიის ნაკრებს მაინც უწევს მწვრთნელის მიერ დაწესებული აკრძალვის შესრულება. “თუ გინდა, რომ წარმატებას მიაღწიო, ზოგიერთ სიამოვნებაზე უარის თქმაც უნდა შეგეძლოს,” – ამბობს ჯოვანი ტრაპატონი. “ფეხბურთელებმა თავი უნდა შეიკავონ ალკოჰოლისა და ნიკოტინისგან, მაგრამ არა სექსისგან! ალფრედ კინსიმ ჯერ კიდევ 50 წლის წინათ დაადგინა, რომ ბევრმა სპორტსმენმა, სექსიდან რამდენიმე წუთში, მსოფლიო რეკორდი დაამყარა,” – აცხადებს ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის პროფესორი ერვინ ჰიბერლე.

ექსპერტებს ბევრი თანამოაზრე გამოუჩნდა. გერმანიის ნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი თავის ფეხბურთელებს უქმე დღეებში არ უკრძალავს ცოლებთან და მეგობარ გოგონებთან შეხვედრას.

გუშინ შვედებმაც გაუშვეს თავიანთი მოთამაშეები მეუღლეებთან შეხვედრაზე. “ის, რომ ფეხბურთელებს საშუალება აქვთ, ცოლებთან ერთად დრო გაატარონ, მათზე კარგად მოქმედებს,” – ამბობს შვედების მწვრთნელი ტომი სოდერბერგი. მის აზრს იზიარებს სამხრეთაფრიკელთა თავკაცი ჯომო სონოც: “ეს რომ აგვეკრძალა, ჩემი ფეხბურთელები განრისხდებოდნენ და ვეღარც ფეხბურთს ითამაშებდნენ.”

“სექს-კანონებზე დამორჩილება ფეხბურთელებს არ სჭირდებათ. ყოველი მათგანი თვითონ მიხვდება, თუ როგორ მოქმედებს მასზე ინტიმური ურთიერთობა და დასკვნებსაც თავად გამოიტანს,” – აგრძელებს პროფესორი ჰიბერლე. აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი ბრიუს არენა კი თვლის, რომ ფეხბურთელებს შეუძლიათ, სექსით დატკბნენ, თუ ისინი პუნქტუალურად დაბრუნდებიან გუნდის ბანაკში.

ამ საკითხში ყველაზე უფრო დემოკრატიული აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობა. 1998 და 2000 წლების წარმატების შემდეგ გუნდის მენეჯერი ემილ ანრი სექსის სარგებლიანობაში საბოლოოდ დარწმუნდა: “1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთელები ვერ ხვდებოდნენ ცოლებს და ჩვენ წავაგეთ ნახევარფინალში.. 1998 წლის მსოფლიო და 2000 წლის ევროპის პირველობებზე ფეხბურთელები სულ მეუღლეებთან ერთად იყვნენ და დაძაბულობაც მოიხსნა,” – ყვება ანრი. ამასთან, ემილ ანრი ქალთა სიახლოვის სხვა უპირატესობებზეც საუბრობს: “ის ფეხბურთელი, რომელმაც ამა თუ იმ მატჩში არ ითამაშა, დაგროვილ ენერგიას მეუღლესთან დახარჯავს.”

“მწვრთნელები ჯოვანი ტრაპატონი (იტალია) და რობერტ ვასეჟი (ბელგია) უფრო ანტიკური ხანის თეორიებით ხელმძღვანელობენ. სწორედ მაშინ, მნიშვნელოვანი ბრძოლების წინ, იკავებდნენ სექსისგან თავს მეომრები”, – ამბობს მეცნიერი იაკობ პაშტეტერი და ფეხბურთელებს ურჩევს, ძილის წინ უარი არ თქვან ინტიმურ ურთიერთობებზე, რადგან უკეთ და ღრმად დაეძინებათ და მეორე დღეს უფრო დასვენებულები იქნებიან, რაც მათ შედეგიანობაზეც კარგად იმოქმედებს.



გია გელაშვილის ნახატი

ტოტალიზატორი „კოპა“



ცოცხალი

რუსეთი-ტუნისი

კოდი	ნომინაცია	1	X	2
5130	ვინ დაიწყებს თამაშს	1.90		1.90
5131	1 აუტი	1.90		1.90
5132	1 კუთხური	1.60		1.90
5133	1 შეცვლა	1.80		1.80
5134	1 გოლი	1.50		2.00
5135	1 გაფრთხილება	1.80		1.70
5136	კუთხურების რაოდენობა	10და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 11- 3.50	12და მეტი- 1.90
5137	ბარათების რაოდენობა	3და ნაკლ.- 2.00	ზუსტად 4- 3.00	5და მეტი- 1.80
5138	რომელ წუთზე გავა 1 გოლი	(1-30)- 1.80		(31-90)- 1.70
5139	გოლების რაოდენობა *	(0-1) 2.80	(2-3) 1.80	(4-6) 3.00
5140	ვინ გაიტანს *	ორივე 1.70		ერთ-ერთი 1.80

ა.შ.შ.-პორტუგალია

კოდი	ნომინაცია	1	X	2
5150	ვინ დაიწყებს თამაშს	1.90		1.90
5151	1 აუტი	1.90		1.90
5152	1 კუთხური	1.90		1.60
5153	1 შეცვლა	1.80		1.80
5154	1 გოლი	2.20		1.40
5155	1 გაფრთხილება	1.70		1.80
5156	კუთხურების რაოდენობა	10და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 11- 3.50	12და მეტი- 1.90
5157	ბარათების რაოდენობა	3და ნაკლ.- 2.00	ზუსტად 4- 3.00	5და მეტი- 1.80
5158	რომელ წუთზე გავა 1 გოლი	(1-30)- 1.75		(31-90)- 1.75
5159	გოლების რაოდენობა *	(0-1) 2.90	(2-3) 1.80	(4-6) 2.90
5160	ვინ გაიტანს *	ორივე 1.70		ერთ-ერთი 1.80

გერმანია-ირლანდია

კოდი	ნომინაცია	1	X	2
5170	ვინ დაიწყებს თამაშს	1.90		1.90
5171	1 აუტი	1.90		1.90
5172	1 კუთხური	1.65		1.85
5173	1 შეცვლა	1.80		1.80
5174	1 გოლი	1.50		2.00
5175	1 გაფრთხილება	1.75		1.75
5176	კუთხურების რაოდენობა	10და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 11- 3.50	12და მეტი- 1.90
5177	ბარათების რაოდენობა	3და ნაკლ.- 2.00	ზუსტად 4- 3.00	5და მეტი- 1.80
5178	რომელ წუთზე გავა 1 გოლი	(1-30)- 1.70		(31-90)- 1.80
5179	გოლების რაოდენობა *	(0-1) 3.00	(2-3) 1.80	(4-6) 2.80
5180	ვინ გაიტანს *	ორივე 1.65		ერთ-ერთი 1.85
5181	კლოზე *	გაიტანს 2.20		ვერ გაიტანს 1.40

ჯგუფური ცოცხალი

კოდი	ნომინაცია	1	2
5180	კუთხურები 3 თამაშში	30და ნაკლ.- 1.90	32და მეტი- 1.90
5181	ბარათები 3 თამაშში	11და ნაკლ.- 2.00	13და მეტი- 1.80
5182	გოლები 3 თამაშში	7და ნაკლ.- 1.75	8და მეტი- 1.75

ვინ უკეთ ითამაშებს

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	X
207	05-06-2002	11:30	რუსეთი-პორტუგალია	1.85	1.65

კალათბურთი (ფლეი ოფი)

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	X	2
301	05-06-2002	23:59	ლეიკერსი-ნიუ ჯერსი	1.25	12.00	3.50

ჩოგბურთი კაცები

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	X	2
332	05-06-2002	14:00	აგასი-ფერერო	1.60	-	1.90
333	05-06-2002	14:00	საფინი-გროშანი	1.50	-	2.00

მსოფლიო ჩემპიონატი

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	X	2	1X	X2	12	2.5>	ბურთ	2.5<
033	05-06-2002	11:30	რუსეთი-ტუნისი	1.65	3.20	5.00	1.09	1.95	1.24	1.75	2.5	1.75
035	05-06-2002	14:00	ა.შ.შ.-პორტუგალია	6.00	3.50	1.50	2.21	1.05	1.20	1.70	2.5	1.80
037	05-06-2002	16:30	გერმანია-ირლანდია	1.75	3.00	4.50	1.11	1.80	1.26	1.70	2.5	1.80
039	06-06-2002	11:30	დანია-სენეგალი	2.20	2.90	3.20	1.25	1.52	1.30	1.75	2.5	1.75
041	06-06-2002	14:00	კამერუნი-საუდ. არაბეთი	1.20	5.00	9.00	-	3.21	1.06	1.45	2.5	2.10
043	06-06-2002	16:30	საფრანგეთი-ურუგვაი	1.45	3.50	6.50	1.03	2.28	1.19	1.70	2.5	1.80
045	07-06-2002	11:30	შვედეთი-ნიგერია	2.30	3.00	2.90	1.30	1.47	1.28	1.75	2.5	1.75
047	07-06-2002	14:00	ესპანეთი-პარაგვაი	1.65	3.20	5.00	1.09	1.95	1.24	1.75	2.5	1.75
049	07-06-2002	16:30	არგენტინა-ინგლისი	2.20	2.90	3.20	1.25	1.52	1.30	1.75	2.5	1.75
051	08-06-2002	11:30	ს. აფრიკა-სლოვენია	3.00	2.90	2.30	1.47	1.28	1.30	1.75	2.5	1.75

ტოტალიზატორი „ლამიგო“

თარიღი	წყვილი	კოდი	1	X	2	კოდი	1X	X2	კოდი	2.5>	2.5<	კოდი	1 გოლი 1	1 გოლი 2
მსოფლიო ჩემპიონატი														
06/04/2002 14:00	იაპონია ბელგია	015		2-2										
06/04/2002 11:30	კოსტა რიკა ჩინეთი	006		2-0										
06/04/2002 16:30	კორეა პოლონეთი	007		2-0										
06/05/2002 14:00	პორტუგალია აშშ	008	1.45	3.5	7.0	1008		2.3	2008	1.6	1.9	3008	1.2	3.1
06/05/2002 11:30	რუსეთი ტუნისი	016	1.6	3.2	6.0	1016	1.06	2.0	2016	1.8	1.7	3016	1.3	2.4
06/05/2002 16:30	გერმანია ირლანდია	024	1.8	3.1	3.8	1024	1.15	1.7	2024	1.7	1.8	3024	1.6	2.0
06/06/2002 14:00	კამერუნი არაბეთი	025	1.25	4.5	10.0	1025		3.1	2025	1.5	2.0	3025	1.1	3.5
06/06/2002 16:30	საფრანგეთი ურუგვაი	026	1.45	3.6	6.5	1026		2.28	2026	1.6	1.9	3026	1.25	2.4
06/06/2002 11:30	დანია სენეგალი	027	2.2	3.0	3.2	1027	1.26	1.53	2027	1.8	1.8	3027	1.7	1.9
06/07/2002 11:30	ნიგერია შვედეთი	028	2.5	3.0	2.5	1028	1.35	1.35	2028	1.7	1.8	3028	1.8	1.8
06/07/2002 14:00	ესპანეთი პარაგვაი	029	1.65	3.3	5.4	1029	1.1	2.0	2029	1.7	1.8	3029	1.45	2.0
06/07/2002 16:30	არგენტინა ინგლისი	030	2.1	3.1	3.2	1030	1.25	1.55	2030	1.7	1.8	3030	1.65	1.8
06/08/2002 11:30	ს.აფრიკა სლოვენია	031	3.0	3.1	2.25	1031	1.5	1.3	2031	1.7	1.75	3031	1.9	1.7
06/08/2002 14:00	იტალია ხორვატია	032	1.55	3.1	4.5	1032	1.03	1.8	2031	1.8	1.6	3032	1.3	2.0
06/08/2002 16:30	ბრაზილია ჩინეთი	033	1.15	5.5	10.0	1033		3.4	2033	1.5	2.0	3033		5.0
06/09/2002 11:30	მექსიკა ეკვადორი	034	2.2	2.9	3.0	1034	1.25	1.45	2034	1.65	1.85	3034	1.7	1.9

ვინ გახდება ბომბარდირი

06/05/2002 12:00	ვიერი	400	9.0
06/05/2002 12:00	ანრი	401	9.0
06/05/2002 12:00	ოუენი	402	9.0
06/05/2002 12:00	რაული	403	10.0
06/05/2002 12:00	კრესპო	404	10.0
06/05/2002 12:00	ტრეზეგე	405	10.0
06/05/2002 12:00	რონალდო	406	12.0
06/05/2002 12:00	რივალდო	407	12.0
06/05/2002 12:00	ბატისტუტა	408	12.0
06/05/2002 12:00	ლოპესი	409	12.0
06/05/2002 12:00	მორიენტესი	410	15.0
06/05/2002 12:00	დელპიერო	411	18.0
06/05/2002 12:00	ინძაგი	412	18.0
06/05/2002 12:00	მონტელა	413	20.0
06/05/2002 12:00	ტრისტანი	415	20.0
06/05/2002 12:00	რონალდინიო	416	25.0
06/05/2002 12:00	ბექჰემი	417	25.0
06/05/2002 12:00	ბალაკი	418	25.0
06/05/2002 12:00	ტოტი	419	28.0
06/05/2002 12:00	ფიგუ	420	30.0
06/05/2002 12:00	ზიდანი	421	30.0
06/05/2002 12:00	ნოივილი	422	35.0
06/05/2002 12:00	ბირჰოფი	423	40.0
06/05/2002 12:00	შუქური	424	45.0
06/05/2002 12:00	რეკობა	425	50.0
06/05/2002 12:00	ჰესკი	426	50.0
06/05/2002 12:00	ნაკატა	427	60.0
06/05/2002 12:00	მოსტოვოი	428	70.0

რომელი კონტინენტის წარმომადგენელი გახდება მს. ჩემპიონი

06/05/2002 12:00	ევროპა	430	1.5
06/05/2002 12:00	ამერიკა	431	2.0
06/05/2002 12:00	აფრიკა	432	15.0
06/05/2002 12:00	აზია	433	50.0

თარიღი	წყვილი	კოდი	1
მს. ჩემპიონატზე ჯგუფში I ადგილი			
	A ჯგუფი		
06/06/2002 11:30	საფრანგეთი	832	1.7
06/06/2002 11:30	დანია	833	1.9
06/06/2002 11:30	სენეგალი	834	2.5
06/06/2002 11:30	ურუგვაი	835	15.0
	B ჯგუფი		
06/07/2002 14:00	ესპანეთი	836	1.1
06/07/2002 14:00	პარაგვაი	837	7.0
06/07/2002 14:00	ს.აფრიკა	838	14.0
06/07/2002 14:00	სლოვენია	839	14.0
	E ჯგუფი		
06/05/2002 16:30	გერმანია	840	1.2
06/05/2002 16:30	ირლანდია	841	4.5
06/05/2002 16:30	კამერუნი	842	3.5
06/05/2002 16:30	ს.არაბეთი	843	50.0
	F ჯგუფი		
06/07/2002 11:30	არგენტინა	844	1.3
06/07/2002 11:30	ინგლისი	845	5.0
06/07/2002 11:30	ნიგერია	846	15.0
06/07/2002 11:30	შვედეთი	847	6.0

თარიღი	წყვილი	კოდი	1
2002წ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება			
06/05/2002 12:00	საფრანგეთი	600	4.0
06/05/2002 12:00	ბრაზილია	601	5.0
06/05/2002 12:00	არგენტინა	602	5.0
06/05/2002 12:00	იტალია	603	6.0
06/05/2002 12:00	ინგლისი	604	8.0
06/05/2002 12:00	გერმანია	605	10.0
06/05/2002 12:00	ესპანეთი	606	12.0
06/05/2002 12:00	პორტუგალია	607	14.0
06/05/2002 12:00	ნიგერია	608	50
06/05/2002 12:00	კამერუნი	609	50
06/05/2002 12:00	პარაგვაი	610	50
06/05/2002 12:00	რუსეთი	611	50
06/05/2002 12:00	ხორვატია	612	50
06/05/2002 12:00	შვედეთი	613	60
06/05/2002 12:00	დანია	614	60
06/05/2002 12:00	პოლონეთი	615	75
06/05/2002 12:00	იაპონია	616	75
06/05/2002 12:00	ბელგია	617	75
06/05/2002 12:00	ირლანდია	618	75
06/05/2002 12:00	თურქეთი	619	75
06/05/2002 12:00	ურუგვაი	620	100
06/05/2002 12:00	ეკვადორი	621	100
06/05/2002 12:00	მექსიკა	622	100
06/05/2002 12:00	სლოვენია	623	150
06/05/2002 12:00	კორეა	624	150
06/05/2002 12:00	აშშ	625	150
06/05/2002 12:00	სამხრეთ აფრიკა	626	160
06/05/2002 12:00	ტუნისი	627	200
06/05/2002 12:00	კოსტა რიკა	628	200
06/05/2002 12:00	სენეგალი	629	300
06/05/2002 12:00	ჩინეთი	630	300
06/05/2002 12:00	საუდის არაბეთი	631	300

სპორტული რედაქციის ოფიციალური პარტნიორია სააგენტო
Sport Informations Dienst (გერმანია)
sid

გადამდგარი მოდელის ალსარება

კარლა ბრუნი





იტალიელი სუპერმოდელი, კარლა ბრუნი, რომელიც ბოლო ხანებში კომპოზიტორადაც მოგვევლინა, ამჯერად თავის პარიზულ, ანტიკვარიატით სავსე ბინაშია. ის ამზადებს სპაგეტის, უვლის სამ კატას და ლაპარაკობს თავის რომანტიულ ისტორიებზე, ფროიდზე და ახალ ჰობიზე, რომელიც საქმიანობად აქცია – სიმღერების წერაზე. მოკლედ, თუ გაინტერესებთ, რას აკეთებენ გადამდგარი მოდელები, გააგრძელეთ კითხვა.

33 წლის გრძელფეხება და კარაქისფერი კარლა ფანტასტიურად გამოიყურება. "მე მეზიზღება მოდელად მუშაობა, – აცხადებს ის. – ეს ნევების მომშლელი, სასაცილო, სულელური, საზიზღარი და უაზრო სამუშაოა. მაგრამ ამ საქმემ უამრავი ფული მომიტანა".დღეს ის თავს უფლებას აძლევს მთელი დღე იკითხოს წიგნები ოიდიპოსის თეორიებზე, კატისებრთა სილამაზესა და ცხოვრების არსზე, იმიტომ რომ...მოკლედ, კარლას შეუძლია აკეთოს ის,რაც უნდა.

ტურინელი მულტიმილიონერის, ალბერტო ბრუნის ქალიშვილს ლირების ნაკლებობა არსდროს განუცდია. რვა წლის ასაკში მშობლებთან ერთად პარიზში გადადის და ბავშვობის უდიდეს ნაწილს ოჯახის საზაფხულო სახლში, კაპ ნეგრიში, სამხრეთ საფრანგეთში ატარებს. როცა უფროსი ძმის გიელფრენდმა (ასევე მოდელმა) გამოთქვა აზრი, რომ ტინეიჯერ გოგონას შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია სილამაზის ბიზნესში, კარლამ იპოვა ცხოვრების საქმე. თორმეტწლიანი კარიერის განმავლობაში ის უამრავი ჟურნალის ყდაზე აღიბეჭდა, ხოლო პოდიუმზე ისეთი დიდი სახელებისთვის დააბიჯებდა, როგორებიც შანელი, დიორი და ვერსაჩე არინ. 29 წლის ასაკში კი მოულოდნელად შეეშვა საქმეს. "როცა ხალხი ძალიან ხშირად გხედავს, ისინი იღლებიან შენი სახით", – ამბობს კარლა.

"საოცრად მსიამოვნებს, რომ აღარ ვმუშაობ", – იცინის ის. მაგრამ ცხადია, კარლა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც "ინტელექტუალური სუპერმოდელი", ნამდვილი ზარმაცი არასდროს ყოფილა. როცა პარიზში, ან კაპ ნეგრიში არ არის, ის მოგზაურობს. თანაც ახალი საქმე გაიჩინა – სიმღერების წერა. ის სტუდიას ქირაობს და გარდა იმისა, რომ ფრანგი პოპ-მომღერლისთვის, ჟულიენ კლერკისთვის მუსიკას და ტექსტებს ქმნის, პატარა ფრანგულ ფირმასთან საკუთარი ნაწარმოებების შესრულებაზე აფორმებს კონტრაქტს.

კაპ ნეგრიში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, კლდეზე მდგომი, 18-ოთახიანი ქვის შენობა, რომელიც 1934 წელს არის აშენებული, როგორც ჩანს მისი სულიერი სახლია. ბინა წარსულისადმი მოკრძალებით არის გაჟღენთილი – ის სავსეა მამამისის მიერ შეგროვებული ფრანგული და იტალიური ანტიკვარიატით, რომელიც კარლას ბავშვურ აღტაცებას იწვევს.

პარიზში ის თავის საძინებელს ოთახს უყოფს უკანასკნელ ბოიფრენდს, 25 წლის ფრანგს, ფილოსოფიის პროფესორს, რომელიც ოდნავ ახალგაზრდა ჟან-პოლ ბელმონდოს ჰგავს, თუმცა უფრო გაქვავებული და ჩამქრალია. "მას ძალიან კარგი სუნი აქვს.ძალიან მიყვარს მასთან ძილი; უბრალოდ ძილი," – იცინის კარლა.

მაგრამ, მისი მრავალმხრივობის მიუხედავად, საზოგადოებას ყველაზე მეტად კარლას სასიყვარულო ისტორიები აინტერესებს. მან უკვე მოასწრო რომანტიული ურთიერთობის დამყარება მიკ ჯეგერთან, ერიკ კლეპტონთან, დონალდ ტრამპთან, ვინსენტ პერესთან,ადვოკატ არნო კლარსფელდთან (გაზეთები მოიხსენიებენ, როგორც "ნაცისტებზე მონადირე ფლეიბოის"), "უძრავი ქონების კაცთან" ლოს ანჯელესში და მონაკოს პრინც ალბერტთან.

"ერიკ კლეპტონი ჩემი ძალიან კარგი ამხანაგია. მას ახლა აღარ ვხედავ. ის ჩემი ბოიფრენდი იყო, როცა 19 წლის ვიყავი. ის ძალიან ნიჭიერი, ინტელიგენტი და როგორ ვთქვა ზუსტად?... ჰო, დაჭრილი; ის დაჭრილი ადამიანია. ამიტომაც ხალხს მისი შემოქმედება არასდროს ჰბეზრდება... ის ყოველთვის ნამდვილია."

"მიკ ჯეგერი ჩემი ამხანაგია, მაგრამ ბოიფრენდს ვერ დავარქმევდი. არის კი ვინმე, ვისი ბოიფრენდიც მიკი ყოფილა?! ის ბრწყინვალე ხელოვანი და ალბათ ბრწყინვალე ქმარია...მის ქორწინებამდე რომ შევხვედროდი, მიკზე გათხოვებას მოვინდომებდი (უნდა ითქვას, რომ, როცა კარლა ურთიერთობდა ჯეგერთან, მისი ცოლი ჯერი ჰოლი იყო. კარლამ ჯეგერს ფაქსი გაუგზავნა და ლას ვეგასში შეხვედრა დაუნიშნა. ფაქსი ჰოლს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც კარლას ქმრების გამტაცებელი უწოდა)".

"როცა მოდელი ვიყავი, ბევრი ურთიერთობა მქონდა ხოლმე, მეგობრულიც და სასიყვარულოც, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ ვინმეს გიელფრენდი. სწორედ ამიტომაც მეცინება, როცა ამბობენ, რომ მიკი ჩემი ბოიფრენდი იყო."

ის სხვა მეგობრებსაც თბილად იხსენებს. რაც შეეხება დონალდ ტრამპს, ის არა მარტო არ ყოფილა მისი ბოიფრენდი, არამედ ხმები ამის შესახებ თვით კარლას გაუვრცელებია. მისივე სიტყვებით, მონაკოს პრინციც კარგი ადამიანია, მაგრამ მასთან მგონი პაემანიც კი არ ჰქონია.

"ჩვენი მშობლების თაობაში წყვილებს ერთმანეთი ცხოვრების ბოლომდე უყვართ.ეს უფრო შეგუებაა, ვიდრე რეალური სურვილი, ან სექსუალური ლტოლვა.დღეს ეს აღარ არსებობს. თუ ხუთი წლის შემდეგ ისევ აღმერთებთ ერთმანეთს და გყავთ ბავშვები, ეს უკვე ძალიან ბევრია. თუ ყოველდღიურად ვიღაცასთან ცხოვრობ, სიახლის მომენტი ურთიერთობაში ქრება. ეროტიული სიყვარული შესაძლებელია არა ბოიფრენდთან, არამედ ვინმე სხვასთან."

რა თქმა უნდა, კარლას ასაკის უამრავ ქალს უფრო მეტი მამაკაცი ჰყოლია, ვიდრე მას. მაგრამ მათ არ ჰქონიათ რომანტიული ურთიერთობები ნაცისტებზე მონადირე ფლეიბოისთან და დამწუხრებულ როკვარსკვლავებთან; მათ არ აქვთ სახლები ლოზანაში და პარიზში და ვილები სამხრეთ საფრანგეთში; მათ არ იცნობს მსოფლიო, როგორც "ინტელექტუალურ სუპერმოდელს" და მათ არ შეუძლიათ "იტალიური სუპერმიქსის" ჩაწერა.

და რაც მთავარია, მათი ბოიფრენდი 25 წლის ფილოსოფიის მასწავლებელი არ არის.

ამბები

ტერაქტებში დაკარგული როდენი

ოგიუსტ როდენის სკულპტურები, ნიმუშები აფრიკული სამარხებიდან, ბროდვეის ფოტო-კოლექციები – ეს ხელოვნების ნიმუშების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრთან ერთად განადგურდა ან დაიკარგა. ეს მონაცემები მემკვიდრეობის გადარჩენის ჯგუფს ეკუთვნის. **"11 სექტემბრის მსგავს სიტუაციაში თითქმის შეუძლებელია, ხელოვნების ნიმუშები გადაარჩინო"**, - განმარტავს ლოურენს რეჯერი, ჯგუფის პრეზიდენტი. მისი ცნობით, "ტყუპების" მიდამოებში მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვნების ნიმუშები იყო მოთავსებული. საუბარია ფრიც კონიგის "სფეროზე" და ფიცჯერალდის ოფისებში მოთავსებულ როდენის კოლექციაზე. განადგურებულია ათასობით ისტორიული ფოტო და დოკუმენტი. გაუჩინარებულთა სიაშია მსოფლიო სავაჭრო ცენტრის და ნიუ-იორკის სხვა შენობების აგების ამსახველი ისტორიული ფოტოები და ფირებიც.

ამერიკელები აღარ უსმენენ ინგლისელებს

ბოლო 38 წლის განმავლობაში ბრიტანელები პირველად ვერ მოხვდნენ ამერიკის 100 საუკეთესო სინგლების სიაში

ვერა ნეფარიძე

პირველი ბრიტანული სინგლი, რომელიც ამერიკის საუკეთესო ასეულში მოხვდა 1963 წლის ოქტომბერში, 84-ე ადგილზე გასული "კარაველსის" You Don't Have To Be A Baby To Cry იყო. მას შემდეგ ბრიტანული სახელები ასეულის ბოლო პოზიციებზე მაინც გვხვდებოდა. ბოლო დროს გარკვეული წარმატებები ჰქონდა რამდენიმე ბრიტანულ ჯგუფსა თუ შემსრულებელს - "ქოლდფლეი", "გორილაზი", "რედიოჰედი" და დაიდო მსოფლიოს ძნელად შეღწევად ბაზარზე სრულიად დამსახურებულად დამკვიდრდნენ. უცნაურია, რომ რობი ვილიამსმა, ევროპასა და ავსტრალიაში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, ამერიკელთა გულები ვერ მოიგო. ასე რომ, წარსულს ჩაბარდა ბრიტანელ შემსრულებელთა ოკეანის გაღმა იოლად მოპოვებული წარმატებები.

1965 და 1985 წლის მაისში საუკეთესო ათეულში რვა ბრიტანული ჩანაწერი შევიდა; 1964 წლის აპრილში "ბითლზს" პირველი ხუთი ადგილი ეკავა. შემდეგ კი, ბრიტანელები ისე იოლად და სწრაფად იპყრობდნენ ოკეანისგაღმა მუსიკალურ ჩარტებს, რომ 1984 წელს ამერიკელთა საუკეთესო ასეულში 40 ბრიტანული სინგლი იყო. ხოლო, თუკი 1986 წელს ამერიკის მუსიკალური ბაზრის 32 პროცენტი ბრიტანულ ალბომებს ეკავა, შარშანწინ ეს მაჩვენებელი 0,25 პროცენტამდე შემცირდა.

დღეს ინგლისელი მუსიკალური ექსპერტები გამოსავალს ეძებენ და თითქოს, მიაგნეს კიდეც: ბრიტანეთის მუსიკალური ინდუსტრიის გიგანტები აიძულებენ ხელისუფლებას, დაკარგული პოზიციების აღსადგენად, აშშ-ში ბრიტანეთის მუსიკალური საელჩო შექმნან. მათი ძირითადი ამოცანა იმ მუსიკოსებთან ურთიერთობა იქნება, ვინც ამერიკულ ბაზარზე გასვლას მოინდომებს. თუმცა, ამ იდეას ყველა სერიოზულად როდი უყურებს. ერთ-ერთმა გავლენიანმა მუსიკალურმა ჟურნალისტმა, პოლ გამბაჩინიმ ამ ყველაფერს აბსოლუტური ბოდვა უწოდა. "არ შეიძლება მოსაწყენი შემსრულებლებისგან ვარსკვლავების გამოყვანა. "ბითლზის" წარმატებები ფენომენალური მოვლენა იყო. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი კანონზომიერად ვითარდება და ლოგიკურია, რომ ბრიტანული მუსიკა აღარ აინტერესებს მათ, ვინც ბრიტანეთის საზღვრებს მიღმა ცხოვრობს".

მანამდე კი, ვიდრე ამერიკაში ბრიტანულ მუსიკას დაუბრუნდებიან, ინგლისელები წარსულით თავმოწონებას განაგრძობენ - რამდენიმე კვირის წინათ მათ "სექს პისტოლზის" 25 წლის წინანდელი God Save the Queen ხელახალი გამოცემა დიდი ხმაურით აღნიშნეს.

11 სექტემბერი და მადლიერი კენიელები

ერთ-ერთმა კენიურმა ტომმა 11 სექტემბრის გამო ამერიკას ძალზე ორიგინალურად - ძროხებით გამოუცხადა სოლიდარობა. საჩუქრის ინიციატორი კიმელი ნაიომა აღმოჩნდა. ხუთი წლის წინათ ის თავისი ტომიდან ამერიკაში სასწავლებლად გაგზავნეს. მომავალი ექიმი ნიუ-იორკში 11 სექტემბრის მოვლენებს შეესწრო. კენიაში დაბრუნების შემდეგ ტერაქტების შესახებ თავისი შთაბეჭდილებები ტომის უხუცესებს გაანდო. შეძრწუნებულმა ბელადებმა გადაწყვიტეს, სოლიდარობის ნიშნად, ამერიკელებისთვის გადაეცათ ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდათ - წმინდა ძროხები. და მადლიერმა კენიელებმაც ძროხების ნახირი ნაირობიში, აშშ-ს საელჩოსთან მირეკეს...

ამერიკულგანათლებამიღებული ნაიომი განმარტავს: **"ჩვენს ტომში ასეთ საჩუქარს მხოლოდ უდიდესი პატივისცემის ნიშნად უძღვნიან. თუმცა, ეს ისტორიაში პირველი საჩუქარია, რაც კენიას ამერიკისთვის გადაუცია"**. ორიგინალური საჩუქარი კენიაში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა უილიამ ბრენსიკმა მიიღო. მან ტომის დელეგაციას განუცხადა, რომ საჩუქარს ამერიკაში არ გაგზავნის და ძროხებს ადგილობრივ ბაზარზე გაყიდის. შემოსული თანხით საელჩო შეიძენს კენიელების მიერ დამზადებულ მძივებს, რომელთაც მოგვიანებით ნიუ-იორკში, მემორიალურ ექსპოზიციაზე გამოფენენ.

Art-გურმანების თავშესაფარი „აპოლო"

თეა დვალი

თითქმის წარმოუდგენელია, დადიოდე თბილისურ "ტუსოვკებზე", თეატრალურ პრემიერებზე, კონცერტებზე და არ გსმენოდეს "აპოლოს" შესახებ; ძნელი დასაჯერებელია ისიც, გსმენოდეთ და არ გენახოთ; ბოლოსდაბოლოს, ერთ-ერთი ასეთი "ტუსოვკის" შემდეგ მაინც მოხვდებოდით მხატვრული ფოტოებით გადაჭედილი არტ-კაფეს კედლებში; ეს ერთი შემთხვევა კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ თქვენც დანარჩენებივით კაფეს ხშირი სტუმრის სტატუსი შეიძინოთ და "აპოლოში" სიარული ცხოვრების წესად გექცეთ.

"აპოლოში" შედიან ისინი, ვისაც ჭორაობა, ნაცნობ-მეგობრებისა და კაფეს დიასახლისის, თაკოს ნახვა მოუნდება. აქ შეიძლება მოკლა დრო და თანაც ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო ყველაზე ახალი, "ტუსოვკის" ჭორები; დაუსწრებლად შეიქმნა შთაბეჭდილება თეატრალურ სარდაფში ან "თავისუფალ თეატრში" დადგმულ მორიგ პრემიერაზე, რომელმაც აუცილებლად ანშლაგით ჩაიარა. მოკლედ, "აპოლოს" ჭორები მრავალფეროვანია – მთავარია, რომ ისინი ხელოვნების სფეროს და ხელოვანებს არ სცილდება.

ისევე, როგორც სხვა არტ-კაფეებში, აქაც, ძირითადად, ყავა-ჩაითა და ლუდით იქცევენ თავს. "აპოლომ" განსაკუთრებული ნალექიანი ყავითაც გაითქვა სახელი; კაფეს დიასახლისი თაკო დღემდე საიდუმლოდ ინახავს ყავის რეცეპტს. სხვა კაფეებისგან კი ერთ-ერთი, რაც განასხვავებს და რასაც შესვლისთანავე იგრძნობთ, ეს ინტერიერია. აქაურ კლიენტურას კომფორტს გუგა კოტეტიშვილის ავეჯი და თანამედროვე ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების ნამუშევრები და მათი ასლები უქმნის.



ლევან ხარხელიძის ფოტო

"აპოლოს" კლიენტურა რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ზოგადად მეგობრები, რომლებიც ხშირად აკითხავენ კაფეს; ისინი, რომლებიც თითქმის ცხოვრობენ კაფეში და იშვიათი კლიენტები. სხვა არტ-კაფეებისგან განსხვავებით, აქ შემთხვევით მოხვედრილები ვერ ჩერდებიან. "ხშირად შემოდიან ხოლმე "გზააბნეულები", ასე ვეძახი მათ, ვისთვისაც სულ ერთია, სად დალევს ერთ ბოთლ არაყს. მათ ტაქტიანად ვეუბნები ხოლმე, რომ აქ ისინი უბრალოდ, თავს ვერ იგრძნობენ კარგად", – ამბობს "აპოლოს" დიასახლისი თაკო. ასე რომ, "აპოლო" შეიძლება ითქვას, მხოლოდ საკუთარ წრეზე, მეგობრებისთვის მუშაობს.

ერთხელ ასეთი შემთხვევაც ყოფილა: კაფეში საშუალო ხნის, ნასვამი მამაკაცი შევიდა და სასმელი მოითხოვა. "შევატყვე, დათრობა უნდოდა; გვერდით მივუჯექი და სპირტიან სასმელამდე ჩემი ყავა შევთავაზე, ამასობაში კი, გავესაუბრე; უბრალოდ ავუხსენი აქაური სიტუაცია. რა თქმა უნდა, აღარ დაულევია არაყი. გასვლისას გაკვირვებული გამომიტყდა: შენს ადგილზე სხვა რამდენ ფულს დამახარჯინებდაო. ეს კაფე ჩემთვის არ არის მხოლოდ შემოსავლის წყარო, აქ მეგობრებისთვის და ჩემი წრისთვის ვმუშაობ. ამით ვცხოვრობ", – ამბობს თაკო. "აპოლოს" ეს სამეგობრო წრე, რომელიც ძალიან დიდია, კაფეში წელიწადში ერთხელ ერთად იკრიბება, როდესაც თაკოს საფირმო ყავითა და ტორტით "აპოლოს" დღეობას აღნიშნავს. ასეა კაფეს გახსნიდან დღემდე.

"აპოლოში" კიდევ ერთი ტრადიცია იყო დამკვიდრებული - ახალი ფილმების ჩვენება. ოთხშაბათობით კაფეს დიასახლისი კლიენტებთან შეთანხმებით წყვეტდა, რა ფილმი შეეთავაზებინა სტუმრებისთვის. შარშან, მაგალითად, "სიბნელეში მოცეკვავე", ბიორკის მონაწილეობით, აქ რამდენჯერმე "ანშლაგით" აჩვენეს. "აპოლოში" ხშირად უყურებენ საფეხბურთო ჩემპიონატებსაც. აქ დროის გაყვანის რამდენიმე საშუალებაა, აქედან კი არც ერთი გამოადგებათ მათ, ვინც მარტოობას გადაწყვეტს. "აპოლოში" ეს უბრალოდ, შეუძლებელია....

საერთოდ, "აპოლოს" ნაკლებად აკითხავენ სადილობისთვის; თუმცა, თუ დიდხანს შეყოვნდით და მოგშივდათ, შიმშილს რამენაირად დაიკმაყოფილებთ. ასეთ შემთხვევაში, პირადად, პილმენებს გირჩევდით. თუმცა, მოყვარულები ჰყავს აქაურ პიცასა და ჰამბურგერებს. ისე, "აპოლოში" ყველაზე დიდი სასმელების არჩევანია. განსაკუთრებული პოპულარობით "გროგი" სარგებლობს, მით უმეტეს ზამთარში...

შინაურებს ძალიან უყვართ აქ დღეობებისა და წვეულებების მოწყობა; თუმცა, ეს სიამოვნება მხოლოდ შინაურებითვისაა.

"სოთბის" ყოფილი შეფი თავს ჰყიდის

"სოთბის" აუქციონის სკანდალებში გახვეული ყოფილი თავმჯდომარე ალფრედ ტაუბმანი თავისი წილის გაყიდვას აპირებს.

ინფორმაციას აუქციონის ახალი ხელმძღვანელი, მაიძლ სოვერნიც ადასტურებს. სოვერნი დასძენს, რომ წლეულს აუქციონის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი საგრძნობლად გაიზრდება. ამის მიზეზი გაზაფხულზე გამოცოცხლებული ბიზნესია. მხოლოდ მაისში აუქციონმა 200 მილიონი დოლარის ღირებულების იმპრესიონისტული და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები გაყიდა.

ყოფილი თავმჯდომარე აუქციონის წილებიდან 13.2 მილიონ დოლარს, ანუ დაახლოებით 62.9 პროცენტს ფლობს. თუმცა, ტაუბმანმა პირობა დადო, რომ თავის წილებს 90 დღის განმავლობაში არ გაყიდის. სავარაუდოდ, ამ პერიოდში ტაუბმანი და სოვერნი უნდა მორიგდნენ კიდეც.

შეგახსენებთ: ტაუბმანის სკანდალი აპრილში ერთწლიანი ციხითა და 7.5 მილიონდოლარიანი ჯარიმით დაგვირგვინდა. "სოთბის" ექს-თავმჯდომარე ასე სასტიკად აუქციონზე ფასების მანიპულირების გამო დასაჯეს. სკანდალმა ხელოვნების მთელი სამყარო შოკში ჩააგდო. თუმცა, "სოთბის" ექს-შეფი განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

მადი სერებრიაკოვას სვეტი



ბესო გულაბანის ფოტო

ქართველი „პრიმები" ინტერნეტში

ქართული ვოკალური სკოლის წარმატებების შესახებ ხშირი და მაღალფარდოვანი საუბარი მსმენია. გულზე მალამოსავით მომედო ამასწინათ თბილისის კონსერვატორიაში მასტერკლასების ჩასატარებლად ჩამოსული გერმანელი პროფესორის, ლუდვიგ ბაუმანის სიტყვები, რომელიც საკმაოდ გულწრფელად აღნიშნავდა - თქვენ ჩემი სასწავლებელი არაფერი გჭირთ, პირიქით, თქვენგან უნდა ვისწავლოთო.

სიამაყე იქით იყოს და ცნობისწადილმა მაინც წამძლია, ბოლომდე გამომეკვლია, რა იცის მსოფლიომ ქართველი მომღერლების შესახებ. ჩემი "შერლოკ ჰოლმსობა" ინტერნეტში ბოდიალით დაიწყო – კომუნიკაციის ყველაზე დემოკრატიული საშუალება ხომ, ყველაფერთან ერთად, დიდი ამბიციებისა და ჭარბი თავდმდაბლობის საუკეთესო კატალიზატორიც არის.

ცხადია, ქართველ მომღერალთაგან ყველაზე გამოჩენილით – პაატა ბურჭულაძით დავიწყე და კარგადაც გავიბღინძე, როცა აღმოვაჩინე, რომ ინტერნეტში მისი სახელი 468 web-გვერდზე ფიგურირებს. განსაკუთრებით ქართველი ბანის ოფიციალურმა საიტმა მომხიბლა (http://www.burchuladze.net/bioengl.htm): კლასიკური საიტია ბიოგრაფია-დისკოგრაფიით და ყველა სხვა დეტალით სრული კომფორტისათვის. გულით რომ მეძებნა, ამდენ მასალას საქართველოში ვერ შევკრებდი. ქართული საოპერო სკოლის საიმაყეზე ასე მონდომებით გერმანელებმა იზრუნეს. ქართველი ბანის სოლიდური გვერდი ასევე საოპერო შემსრულებელთა საინფორმაციო ბანკშიც არის წარმოდგენილი მისამართზე: http://perso.club-internet.fr/droubaud/david/basses/

გერმანელი მეგობრები რომ არ გვყოლოდა – რა გვეშველებოდათქო, ვიფიქრე, როცა მეორე დიდი ქართველის – ბარიტონ ლადო ათანელის საიტიც ვიპოვნე. მსოფლიოს 5 ენაზე შესრულებულ ამ საიტზე, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ბლომად კარგი MP3-იც მოიპოვება. მოკლედ, მოყვარული http://www.ataneli.com- -ს თუ ეწვევა – თორემ ამდენ საიმოვნებას ერთად საქართველოში ცოცხლად, ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მიიღებს.

არანაკლები სიამოვნება თეიმურაზ გუგუშვილის საიტმა მომანიჭა http://www.gugushvili.com/. ამჯერად ჩვენზე რუსებმა იზრუნეს და ძალღონეც არ დაუშურებიათ: მართალია, მუსიკალური ფრაგმენტები იმდენი არ არის, ჩვენი საიხარბე რომ დააკმაყოფილოს, სამაგიეროდ თვალზე ცრემლი მოგადგება, ქართველი ტენორის დასავლურ პრესას რომ გადაავლებ თვალს. პატრიოტულ გრძნობებსაც ყველაზე მეტად მისი საიტი ელამუნება – ქართული რეპერტუარი აქ ყველგან პირველ პლანზე ფიგურირებს.

საუკეთესო ფოტომოდელებსაც შეშურდებათ ეთერ ლამორისის (ჭყონიას) საიტის. მუსიკა აქ საერთოდ არ არის წარმოდგენილი, სამაგიეროდ ფოტომასალაა უხვად და დაინტერესებულთ შეუძლიათ, თვალს ბლომად წყალი დაალევინონ მისამართზე http://www.y2ks.com/etery/etery.html

სამწუხაროდ, ოფიციალური საიტი არ გააჩნია ზურაბ სოტკილავას. ინტერნეტში გავრცელებულ მასთან დაკავშირებულ მასალაში კი, ქართველი ტენორი უმეტესად "რუსი ტალანტის" ეპითეტით მოიხსენიება.

ზურაბ სოტკილავას გვერდით "დიდი თეატრის" სოლისტებს შორის ფიგურირებს მაყვალა ქასრაშვილის სახელიც. ამ უკანასკნელზე ბრწყინვალე რეცენზიებს ვხვდებით სხვა დასავლური თეატრების მასალებშიც. თუმცა ზურაბ სოტკილავასი არ იყოს, მაყვალა ქასრაშვილიც ძირითადად "დიდი თეატრის ვარსკვლავის" სახელით არის ცნობილი.

ინტერნეტი არ სწყალობთ ლამარა ჭყონიასა და ცისანა ტატიშვილს, მათ შესახებ თითქმის არავითარი მასალა არ არსებობს საერთაშორისო ქსელში.

ძალზედ მწირია მასალები იანო ალიბეგაშვილზე (იანო თამარი), მისის სახელი მხოლოდ ფრანცისკო ვინიასას კონკურსთან დაკავშირებით ფიგურირებს ერთგან.

ოფიციალური საიტები არ გააჩნიათ, სამაგიეროდ საუკეთესო რეცენზიებით ხშირად ფიგურირებენ ბადრი მაისურაძე და ნუგზარ (ვალერიანო) გამგებელიც.

საოპერო რეცენზიებსა და კალენდრებში ხშირად ფიგურირებს თამარ ჯავახიშვილის სახელიც. ბარსელონაში სულ ახლახან შემდგარ პრემიერასთან დაკავშირებით ("ლედი მაკბეტი მცენსკიდან") თბილი გამოხმაურებები გამოჩნდა ინტერნეტში ახალგაზრდა ქართველ მეცოსოპრანო ნინო სურგულაძეზეც.

ამ ჯერზე სულ ეს იყო. ძიების გაგრძელებას მომავალშიც ვაპირებ, თუმცა შედეგებით უკმაყოფილების მიზეზი ახლაც ნაკლებად მაქვს: ქართველ მომღერლებს ბევრნი იცნობენ. მეორე საკითხია – ის თუ იციან, რომ ქართველები არიან. ეს უკვე ცალკე პრობლებაა. ამ თემაზე ქართველმა საიტ-მეიკერებმა და მათმა დამკვეთებმაც რომ ცოტა წაიმუშავონ – ღმერთი არ უწყენთ.



საუბრები ჯაზზე

ჯაზ-კლუბის ნოსტალგია

ნინო სვანიძე

სასტუმრო "აჭარის" სარდაფში მდებარე, ახლა უკვე ყოფილი "ჯაზ-კლუბი" 1995 წელს დაარსდა და თითქმის სულზე მიუსწრო ომებით, მიტინგებითა და პურის რიგებში დგომით გულგაწვრილებულ თბილისელებს. მაშინ ამ კლუბმა თავი მოუყარა ჯაზური მუსიკის ყველა საუკეთესო ქართველ შემსრულებელს და დადებით ემოციას დანატრებული ადამიანებისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ჩვენ ქალაქში, სადაც ყველა ყველას მეგობარია, ასეთი კლუბის არსებობას განსაკუთრებულ ხიბლს ისიც მატებდა, რომ მყუდრო დარბაზის სცენაზე რიგრიგობით გამოდიოდნენ ჩვენი თაობის, ჩვენივე მეგობარი ჯაზმენები და დაუვიწყარ კომპოზიციებს უძღვნიდნენ დამსწრეთ. იმ დროს, ალბათ, ლუი არმსტრონგისა და ელა ფიცჯერალდის ცოცხლად მოსმენა ისე არ გაახარებდა თბილისელებს, როგორც თამაზ ყურაშვილის და ზურა რამიშვილის, ან მაია ბარათაშვილის და დათო გომართელის შესრულებული თემების მოსმენა.

ჯაზ-კლუბში განსაკუთრებული დღე იყო ორშაბათი. ამ დროს თამაზ ყურაშვილი და ზურა რამიშვილი უკრავდნენ სერიოზულ, ნამდვილ ჯაზს. სულ მალე ამ ორშაბათებმა ნამდვილი საკლუბო შინაარსი შეიძინა. დარბაზში ტევა არ იყო ხოლმე. აქ თავს იყრიდა ერთი და იგივე საზოგადოება - სერიოზულ ჯაზში გათვითცნობიერებულიც და ნაკლებგათვითცნობიერებულიც. აქ შესრულებული მუსიკა დადებით ემოციებს ყველას თანაბრად გვრიდა და ალბათ სულ მალე სერიოზული ჯაზი გაცილებით მეტ თაყვანისმცემელს შეიძენდა, ეს დღესასწაული უეცრად რომ არ დასრულებულიყო. უფრო სწორად კი - ჯერ თათუზა, ზურა და მათი ორშაბათები დასრულდა, მერე – კლუბს სიმბოლურადღა შემორჩა მწირი ჯაზური პროგრამები და ის დისკოთეკას უფრო დაემსგავსა. შესაბამისად შეიცვალა იქ მოსიარულე საზოგადოებაც და ბოლოს კლუბი სულაც დაიკეტა. მისი კუთვნილი ტერიტორია კაზინომ შეიერთა.

ის რამდენიმე თვე თბილისელების მეხსიერებას სასიამოვნო მოგონებად შემორჩა. დარჩა ნოსტალგია და კითხვა - როდესმე თუ განმეორდება იმ ორშაბათების სიხარული, დაარსდება თუ არა როდესმე ჩვენს ქალაქში სერიოზული ჯაზის ნამდვილი კლუბი?

"აჭარაში" ჯაზ-კლუბის დაარსების იდეის პირველი ავტორები და შემსრულებლები თამაზ ყურაშვილი და ზურა რამიშვილი ასე ფიქრობენ:

თ.ყ.: "აჭარის" ჯაზ-კლუბი ნამდვილი კლუბის სახით სულ ორ თვეს არსებობდა. მიუხედავად იქ შესრულებული ჯაზური მუსიკის სირთულისა, მაინც უამრავ მსმენელს იზიდავდა. კარგად მახსოვს, დახლთან ტევა არ იყო. კლუბის მესვეურები სასმელის მოზიდვას ვერ აუდიოდნენ. ასე რომ, კლუბი კომერციული თვალსაზრისითაც წარმატებით ფუნქციონირებდა. ეს ყველაფერი იმედს ბადებდა, რომ თბილისში სერიოზული ჯაზ-კლუბი ფუძნდებოდა. სამწუხაროდ, კლუბის კომერციულმა მესვეურებმა ჯაზს ბიზნესის აყვავება ამჯობინეს, მათ საკმაოდ სოლიდური შემოსავალი არ იმყოფინეს და კლუბში დისკოთეკის შემოტანით თავდაპირველი ჩანაფიქრი დააზარალეს.

ზ.რ.: სერიოზული ჯაზი აღსაქმელად საკმაოდ მძიმეა. ეს არ არის გასართობი, მსუბუქი მუსიკა. ჯაზს ისეთივე აკადემიური შესწავლა და მომზადება სჭირდება, როგორც კლასიკურ მუსიკას. შესაბამისად მსმენელიც ამ მხრივ განათლებული უნდა იყოს. თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ იმ ორშაბათებს მსმენელი აკლდა. ყოველ შემთხვევაში ისე ჩანდა,



რომ სერიოზულ ჯაზში გაუთვითცნობიერებული ადამიანებიც კი სიამოვნებით ატარებდნენ დროს ჯაზური მუსიკის აურაში.

თ.ყ.: ახლანდელი ჯაზმენები სწავლას შუა გზაში წყვეტენ. ეზარებათ სიღრმეებამდე ჩაწვდნენ ამ ჟანრს. იოლ გზებს ეძებენ. მეც და ზურასაც ჯაზის შესწავლის მსურველი უამრავი მოწაფე გვინახავს, მაგრამ ერთი-ორი თემის შესწავლის მერე მეცადინეობას აღარ აგრძელებენ. დილეტანტებად რჩებიან და ქალაქის რესტორნებში გასართობი, პოპულარული მუსიკის შესრულებით ირჩენენ თავს. ეს ჯაზი არ არის. ეს არის რესტორნული, ქალაქური მუსიკა. ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ ჩვენს ქალაქში სერიოზული ჯაზ-კლუბი არ არსებობს.

ზ.რ.: რესტორანში მეც ვმუშაობ, ოღონდ ეს ჩემთვის შემოსავლის მომტანი სამსახურია და არა შემოქმედებითად დახარჯვა. ჭიქებისა და დანა-ჩანგლის ჭახა-ჭუხში სერიოზული ჯაზისთვის ადგილი არ რჩება.

თ.ყ.: შემოქმედების სურვილს იშვიათი კონცერტებით, ან გასტროლებით უფრო ვიკმაყოფილებთ მე და ზურა. დავდივართ ერევანში, ბაქოში - იქაურ ჯაზ-კლუბებში ხშირად გვიწვევენ. სხვათა შორის, ამ ქალაქებში უკვე 6-7 წელია წარმატებით ფუნქციონირებს სერიოზული ჯაზ-კლუბები და დახურვის არავითარი საშიშროება არ ემუქრება. ერევანში, ფესტივალის დღეებში, სომხეთის პრეზიდენტი და ბევრი მინისტრი ჯაზ-კლუბში იყვნენ და ყოველგვარი დაცვის გარეშე დილის ხუთ საათამდე რჩებოდნენ. კოჩარიანმა თავისი პირადი ანგარიშიდან 50 000 დოლარიც კი გამოყო ფესტივალის დასახმარებლად. საქართველოში ჯაზი ასე ნამდვილად არ ფასდება, ამიტომაც არ გვაქვს კლუბი.

ზ.რ.: სხვათა შორის, თბილისში დაგეგმილი ახლანდელი ჯაზის ფესტივალი ნამდვილი დღესასწაული იქნება ქართველი მსმენელისთვის. თბილისს ძალიან ცნობილი ვარსკვლავები ესტუმრებიან, ოღონდ ამ ფესტივალსაც გართობის მიზანი უფრო აქვს.

თ.ყ.: იმასაც ვერ იტყვი, რომ ქართული ხასიათი სერიოზულ ჯაზს ვერ ითვისებს, რადგან საქართველოში არსებობენ ისეთი სერიოზული ჯაზმენები, როგორებიც არიან გივი გაჩეჩილაძე და ავთო მამაცაშვილი, ქართული ფოლკლორის პოლიფონიურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. არსებობენ ჯაზის ნოსტალგიით შეპყრობილი საოცარი მელომანებიც, ისეთები - ერთი ჩანაწერის გამო აზიაში რომ გაემგზავრებიან.

ჯერჯერობით ქართველ მსმენელთან საურთიერთობოდ ერთი ძალიან საინტერესო ფორმა გამოინახა. სარდაფის კლუბში გამართულ საღამოზე დათო მაღრაძემ თავისი ლექსების წაკითხვა ჩემი შესრულებული ჯაზური კომპოზიციის ფონზე ისურვა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. მგონი მსმენელიც ნასიამოვნები დარჩა. ალბათ ასეთ ტანდემებს ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ახალგაზრდობა ხელოვნებასთან ზიარების ასეთ ფორმას უფრო ამჯობინებს, ვიდრე წიგნის კითხვასა და სერიოზული მუსიკის მოსმენას.

სერიოზული ჯაზის განვითარებას რაც შეეხება, კლუბის არსებობა მაინც აუცილებელი მგონია, მსმენელის აღზრდა სხვანაირად შეუძლებელია...

ზ.რ.:მსმენელისაც და შემსრულებლისაც. ჯაზ-კლუბში გამომსვლელი მუსიკოსები ალბათ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს. იქნებოდა შეჯიბრება, მსმენელის მოხიბლვის სურვილი, მეტი იმპროვიზაცია და ბუნებრივია, მეცადინეობისა და განათლების აუცილებლობაც გაიზრდებოდა. ოღონდ ასეთ კლუბს საქართველოში ისევ ვინმე თავგადაკლული ჯაზის ფანატიკოსი, თან ფულიანი, თუ დაარსებს. ჯერჯერობით ასეთი არავინ ჩანს. ვნახოთ, იქნებ ერთხელაც სომხებივით ჩვენც გაგვიმართლოს?!

იტალიური ლირიკა და ფიზიკა (ანუ ფეხბურთი) ერთ დღეს

იტალია მათთვის, ვისაც უნახავს და არ უნახავს

თამარ სუხიშვილი

რას ამბობს ქართველი კაცი, როცა ფანჯრიდან ხედავს, რომ გარეთ უსიამოდ წვიმს? - ის ამბობს, უხ, მე ამ მთავრობის ასე და ისეო. და რას იტყვის იტალიელი ანალოგიურ სიტუაციაში? - არც მეტსა და არც ნაკლებს: უხ, ამ მთავრობის ასე და ისეო.

მსგავსი ასოციაციები სურვილის შემთხვევაში ალბათ უხვად დაიძებნება. ქართველებისა და იტალიელების მსგავსება ყოფითი ცხოვრების გარდა მუსიკისა და პოეზიის განსაკუთრებულ სიყვარულშიც მჟღავნდება. როგორც დავით ანდღულაძის სახელობის ფონდის გამგეობის წევრი, აღმოსავლურ საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ნოდარ ლადარია ამბობს, იტალიელები "ლექსს უფრო ყურსა უგდებენ, ამბის წიგნები ძევს ავად".

3 ივნისს კავკასიურ სახლში გამართული იტალიური კულტურის საღამოც, ფეხბურთისა და არჩევნების შედეგების გარჩევით გაჯერებული მთლიანი თბილისური ატმოსფეროსაგან განსხვავებით, პოეზიისა და მუსიკის სინთეზით იყო დამუხტული. პატარა მყუდრო დარბაზში ერთმანეთს ენაცვლებოდა არიები დონიცეტის, ბელინის, ვერდის ნაწარმოებებიდან (ნოდარ ანდღულაძის მოსწავლეთა შესრულებით) და ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილი პეტრარკას სონეტები, რომლებიც ნაირა გელაშვილმა წაგვიკითხა.

იტალიის საელჩომ საღამოში მონაწილეობაზე უარი თქვა. როგორც მითხრეს, ეს საელჩოს წარმომადგენელთა მხრიდან უჩვეულო არც ყოფილა; ისინი ყოველთვის უარს ამბობენ ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რომლებსაც მაღალჩინოსნები არ ესწრებიან.

მუსიკალურ-ლირიკულ გამოსვლებს შორის იყო ჩართვები, რა თქმა უნდა, არასატელევიზიო და არაპოლიტიკური. კავკასიურ სახლში შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს იტალიაში მოგზაურობისა თუ იტალიური ხელოვნების განცდით მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდა. ეს შთაბეჭდილებები კი ძალიან მრავალფეროვანი იყო. როგორც ერთხმად აღინიშნა, იტალია ხომ იმ გამონაკლის ქვეყანათა რიგს განეკუთვნება, რომელიც უყვარს ყველას, ვისაც უნახავს და არ უნახავს.

კავკასიურ სახლში ერთი ხელის გაწვდენაზე იყო გენუაც, მილანიც და ვატიკანიც. ქართული იტალიური მოძრაობის ვეტერანის ჯოვანი ვეფხვაძის (ასე წარმოგვიდგინა მხატვარი ნოდარ ლადარიამ) ორი ნამუშევარი და მამუკა ცეცხლაძის 1985-1986 წლებში შექმნილი ფერწერული ტილოები სერიიდან "სულხანსაბას მოგზაურობა ევროპაში" საკმარისი იყო იმისათვის, რომ რომულუსისა და რემუსის სამშობლოსკენ მიმავალ შორ გზას აღარ დავდგომოდით.

ერთ-ერთი დამსწრეთაგანის აზრი, იტალიას მუსიკა უფრო უხდება, ვიდრე პოეზიაო, ნოდარ ლადარიას მიერ იტალიურ ენაზე წაკითხულმა სონეტებმა გააქარწყლა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგისთვის amor-ის გარდა ლექსში არც ერთი ნაცნობი სიტყვა არ იყო (თუმცა დღეს ეს სიტყვა ყველაზე მეტად სჭირდება საზოგადოებას და ამიტომ გაიგო კიდეც), იტალიური პოეზიის რიტმი და მუსიკალობა ყველასათვის გასაგები აღმოჩნდა. ბატონმა ნოდარ ანდღულაძემ კი პროფესიონალის თვალით შენიშნა: გამომსვლელმა ლექსი სრულყოფილი ვოკალური ინტონაციით წაიკითხაო. ამას მოჰყვა არია "რიგოლეტოდან" ელდარ გეწაძის შესრულებით და ერთი მისი ნაამბობიც: - იტალიაში გასტროლები გვქონდა. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ თაიგულებით დახუნძლული მივედი ვერდის ძეგლთან, დავაწყე ყვავილები და ვუთხარი: გმადლობთ, ბიძია ვერდი, ცოლშვილის რჩენაში რომ დამეხმარეო... - საღამოს დასასრულს აუდიტორიის წინაშე წარდგა ნუგზარ გამგებელიც, რომელმაც დუკას არია შეასრულა.

იტალიაში ხვდები, რომ ადამიანის ხელით შექმნილი შეიძლება ადამიანზე მშვენიერიც იყოს. ეს ბროდსკის სიტყვებია და მეც აქ დავსვამ წერტილს, იტალიის ფეხბურთის გულშემატკივრებს კი მივულოცავ. ამ დღეს ხომ იტალიამ G ჯგუფში უპრობლემოდ დაამარცხა ეკვადორი და ვიერიმ 2 მშვენიერი გოლი გაიტანა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

God Save The Queen

„ოქროს იუბილის„ გრანდიოზული დასასრული

თეა დვალი

უკანასკნელი თვეების განმავლობაში მთელი ბრიტანეთი სადღესასწაულო ციებ-ცხელებამ შეიპყრო. გასულ ვიკენდზე კი, ელისაბედ მეორის დედოფლობიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა დღესასწაულმა აპოგეას მიაღწია. საიუბილეო დღეები შაბათს, ბუკინგემის სასახლეში კლასიკური მუსიკის კონცერტით დაიწყო და ორშაბათს გრანდიოზული პოპ-სანახაობით დასრულდა. სადღესასწაულო სამზადისს, თითქოს, კვირას ბუკინგემის სასახლეში გაჩენილი ხანძარი დაემუქრა, მაგრამ ის მხოლოდ მცირე უსიამოვნებად დარჩა საიუბილეო ღონისძიების ისტორიაში.

დიდებულმა მუსიკალურმა წარმოდგენამ შაბათს გამოჩენილი მუსიკოსების თანავარსკვლავედი შეკრიბა. მათ შორის იყვნენ: ახალზელანდიელი ლირიული ტენორი, კირი ტე კანავა, რუსი ვიოლანჩელისტი, მსტისლავ რასტროპოვიჩი და ინგლისელი ბარიტონი, სერ ტომას ალენი. ინგლისის ჰიმნი ენდრიუ დევისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად “ბიბისის” გუნდმა შეასრულა. ორშაბათს, საიუბილეო დღეების ბოლო ღონისძიებაზე კი, იგივე ჰიმნით (“ღმერთო, დაიფარე დედოფალი”) ბრაიან მეიმ გრანდიოზული პოპ-სანახაობა გახსნა – ბუკინგემის სასახლის სახურავზე მდგარ ლეგენდარული “ქვინის” მუსიკოსის გიტარზე შესრულებულ ეროვნულ ჰიმნს ათი ათასობით პატრიოტი ინგლისელი მოედანზე დროშით ხელში გასუსული უსმენდა.

მეის შემდეგ ბრიტანეთის დედოფალს პუერტო-რიკოელთა სიამაყემ, რიკი მარტინმაც უმღერა; პუბლიკა ერთი მოულოდნელი დუეტის მომსწრეც გახდა: ირლანდიურმა “ქორსმა” ერთი სიმღერა “ბიჩ ბოისელ” ბრაიან ვილსონთან ერთად შეასრულა. შოუზე ერთმანეთს ცვლიდნენ ბრიტანეთის ყველაზე ცნობილი მუსიკოსები: ელტონ ჯონი, პოლ მაკარტნი, ოზი ოსბორნი, როდ სტიუარტი, ვილ იანგი, ფილ კოლინზი, კლიფ რიჩარდი; დაგეგმილი იყო, რომ პოლ მაკარტნისთან ერთად “ბითლზის” All You Need Is Love-ს დედოფალიც შეასრულებდა, თუმცა ბოლო დღეებში ბუკინგემის სასახლიდან გამოსვლაზე უარი მიუვიდათ მუსიკოსებს. სუპერვარსკვლავების გამოსვლას ლონდონის სხვადასხვა რაიონებიდან მილიონიანი აუდიტორია ადევნებდა თვალს; სასახლის მახლობლად 250 ათასიანი პუბლიკა, ხოლო სასახლეში - 12 ათასი ბილეთიანი მაყურებელი იყო. კონცერტის ტრანსლაცია მსოფლიოს 60 ქვეყანაში 200 მილიონი მაყურებლისთვის გადაიცემოდა.

საიუბილეო კონცერტებს დედოფალთან ერთად უინძორების ოჯახის თვრამეტი წევრი ესწრებოდა, მათ შორის, პრინც ჩარლზის მეგობარი, კამილა პარკერ ბოულზიც. კონცერტზე დედოფალს მისთვის არასაიამოვნო სიტუაციებთან მოუხდა შეგუება. მართალია, მუსიკოსები მას შიგადაშიგ უბოდიშებდნენ ასეთი ხმაურიანი (გულისხმობდნენ ხმაურიან მუსიკას) შოუს გამო, მაგრამ თავად დეოდაფალს ალბათ მუსიკაზე მეტად სამეფო ლოჟაში მჯდომი პრინც ჩარლზის მეგობარი კამილა პარკერ ბოულზი აღიაზიანებდა. დედოფალი პირველად აღმოჩნდა მომავალ სარძლოსთან გვერდიგვერდ (უამრავმა ფოტოგრაფმა ისარგებლა შემთხვევით და სასწარფოდ გადაიღო უიშვიათესი ფოტოები), რაც დიდი ხნით ვერ აიტანა: ელისაბედ მეორემ სარძლოს მეორე რიგში მიუჩინა ადგილი, თვითონ კი პირველ რიგში მეუღლესთან, პრინც ფილიპთან, პრინცესა ანასთან და ჩარლზთან ერთად იჯდა. ვარდისფერებში გამოწყობილმა ქალბატონმა პარკერ ბოულზმა არ შეიმჩნია მომხდარი - პატივისცემის ნიშნად დაუკრა რა თავი დედოფალს, ოჯახის თოთხმეტ წევრთან ერთად მეორე რიგში დაიკავა ადგილი. სამეფო ლოჟაში იყვნენ ასევე საპატიო სტუმრები - კონსერვატული პარტიის ლიდერი, იან დანკან სმიტი და ჩრდილოეთ ირლანდიის პირველი მინისტრი, დევიდ ტრიმბლი.

ოთხდღიანი “ოქროს იუბილე” არ იყო დედოფლისადმი მიძღვნილი ბრიტანელების ერთადერთი საჩუქარი. ინგლისელებმა ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება დედოფლის იუბილეს დაუკავშირეს. 29 მაისს კი, ლიმუზინ “ბენთლის” მწარმოებელი კორპორაციის წარმომადგენელმა, ფრანც-ჟოზეფ პიფგენმა დედოფალს ავტომანქანის გასაღები გადასცა. “ბენტლიმ” უკვე შეცვალა დედოფლის კუთვნილი Rolls-Royce Phantom VI, რომელიც 1970 წელს, დედოფლობის 25 წლისთავზე აჩუქეს. გუშინწინ დედოფალი მეუღლესთან ერთად ბუკინგემის სასახლიდან წმიდა პავლეს ტაძრამდე სწორედ ამ ავტომობილით მივიდა.



იუბილარი, პრინცი ჩარლზი და უილიამი ჯგუფ "ქორსის" წევრებთან ერთად «რუსთავი» ფოტო

გადაიღებს თუ არა ალმოდოვარი "ვეფხისტყაოსანს"?

ბიორგი გვახარია

"დაელაპარაკე" - 2002.

რეჟისორი და სცენარის ავტორი პედრო ალმოდოვარი, ოპერატორი: ხავიერ აგირესარობი, მხატვარი: ანტონ გომესი, მუსიკის ავტორი: ალბერტო იგლესიასი. მთავარ როლებში: ხავიერ კამარა, დარიო გრანდინეტი, როზარიო ფლორესი, ჯერალდინა ჩაპლინი

ორიოდე დღის წინ ევროპაში დასრულდა პედრო ალმოდოვარის ახალი ფილმის, "დაელაპარაკეს" ტრიუმფალური საპრემიერო ჩვენება (პირველად სურათი 15 მარტს უჩვენეს, მადრიდში). ესპანეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და განსაკუთრებით საფრანგეთის პრესა ალმოდოვარის მეთოთხმეტე სრულმეტრაჟიან სურათს აღფრთოვანებული კრიტიკოსთა რეცენზიები მიუძღვნა. ფრანგული ჟურნალის, "ტელერამას" კინომიმომხილველმა კი "დაელაპარაკე" - "21-ე საუკუნის პირველ შედევრად" აღიარა.

სამი წლის წინ, ესპანეთის კინოაკადემიის პრემიის, "გოიას" გადაცემის ცერემონიალზე იგი სცენაზე ავიდა და დარბაზში მყოფ მეფე ხუან-კარლოსს მიმართა: "ვიცი, რომ დღეს თქვენი დაბადების დღეა. ცოტათი მაინც რომ ვგავდე მერლინ მონროს, აუცილებლად გიმღერებდით happy birthday- ს". ალმოდოვარი მაშინ "საპატიო დოქტორის" წოდებით დააჯილდოვეს ფილმისთვის "ყველაფერი დედაჩემის შესახებ", მაგრამ ვერც "დოქტორის" წოდებამ, ვერც "ოსკარმა", ვერც კანის ფესტივალის ჯილდომ, ვერ იმოქმედა მის ხასიათზე. იგი ჰოლივუდშიც მიიწვიეს, რაზეც უარი განაცხადა.

პედრო ალმოდოვარის ახალი ფილმი "დაელაპარაკე" სწორედ იმ კადრით იწყება, რომლითაც მისი წინა ფილმი , "ყველაფერი დედაჩემის შესახებ", დასრულდა, ანუ მაყურებელი ისევ წითელ თეატრალურ ფარდას ხედავს ეკრანზე და ამით ალმოდოვარის ჩანაფიქრსაც ხვდება: მას თითქოს სურს უთხრას თავის თაყვანისმცემლებს, რომ იგი "ისევ ისეთია", რომ არასდროს გაიმეორებს თავისი ევროპელი კოლეგების, თუნდაც ბერნარდო ბერტოლუჩის, შეცდომებს და არასდროს დათანხმდება "კოლოსის" გადაღებაზე. თუმცა, "დაელაპარაკეს" სიუჟეტით თუ ვიმსჯელებთ, სიახლე ალმოდოვარსაც ყვარებია. აქამდე მის ფილმებში მამაკაცებს ქალები ჭარბობდნენ (ლა მანჩელი ქალები, თურმე, ცოტა არ იყოს ქართველ ქალბატონებს ჰგვანან; დათრგუნულის ნიღაბი უკეთიათ, სინამდვილეში კი მშვენივრად ახერხებენ მამაკაცების მართვას), მამაკაცებს კი ერთადერთი ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული -ისინი ქალებს ატირებდნენ...

ალმოდოვარის ახალ ფილმში კაცები ტირიან! ფილმის პირველივე სცენაში, რომელიც მადრიდის კაფეშია გადაღებული, გერმანელი ავანგარდისტი მოცეკვავის, პინა ბაუშის სპექტაკლზე, ერთ მაგიდასთან ხვდება ორი მამაკაცი - ჟურნალისტი მარკო და ექთანი ბენინო. ეს უკანასკნელი მარკოს თვალებზე ცრემლებს შეამჩნევს და გაესაუბრება. რამდენიმე თვის შემდეგ ბენინო მარკოს თავის კლინიკაში შეხვდება. აღმოჩნდება, რომ ორივე მამაკაცი ერთი და იგივე დარდითაა დამძიმებული - მათი შეყვარებულები კომაში არიან. მარკოს სატრფო, ლიდია, მოცეკვავეა, რომელიც საავტომობილო ავარიის მსხვერპლი გახდა. ბენინოსი კი - ალისია, ტორეადორი ქალი, რომელიც ხარმა დაასახიჩრა. ბენინო ალისიას განუწყვეტლივ ელაპარაკება, 20-იან წლებში გადაღებულ მუნჯი ფილმის სიუჟეტს უამბობს. ალმოდოვარი აქ რეალურ ამბავს რთავს მორგის მცველზე, რომელიც ახალგაზრდა ქალის გვამზე აღიგზნება და აუპატიურებს... მაგრამ გაუპატიურების შედეგად ქალი ცოცხლდება. აღმოჩნდება, რომ კატაპლექსიით დაავადებული ქალი მორგში შეცდომით მოათავსეს.

"მისი ტვინი გათიშულია", - ამბობს სასოწარკვეთილი მარკო ლიდიაზე. "მიდი მერე, დაელაპარაკე, ქალის ტვინი იდუმალებითაა სავსე. მით უფრო, ასეთ მდგომარეობაში!"-პასუხობს ბენინო. მოკლედ, ერთი გულისთქმასაა აყოლილი, მეორე - განსჯას. ჩვენი ტარიელივით და ავთანდილივით...

ფრანგული გაზეთის, "ლიბერასიონის" კორესპოდენტი აღნიშნავს, რომ "დაელაპარაკე", ალმოდოვარის სხვა ფილმების მსგავსად, პირდაპირ გადაჭედილია სხვადასხვა კულტურული ციტატებით. კინომანებს ისევ გაახსენებებათ ჰიჩკოკი (მისი მანიით, დააკვირდეს ადამიანს "ჭუჭრუტანაში"), ჩაპლინი (ბალერინა, რომელსაც სიარული აღარ შეუძლია "რამპის ჩირაღდნებიდან") და, რაღა თქმა უნდა, "ალმოდოვარის მამინაცვალი" ლუის ბუნუელი (პარალიზებული ქალი "ტრისტანაში", რომელიც ინვალიდის სკამზე კიდევ უფრო სექსუალური ხდება). მაგრამ, ტრადიციულად, პედრო ალმოდოვარი განსაკუთრებულ როლს მაინც მუსიკას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით, "დაელაპარაკეს" გმირი ხდება ბრაზილიელი მომღერალი გაეტანო ველოსო. სიმღერა "კუკურუკუკუ პალომა" (რომელსაც, თავის დროზე, დალიდა, მერე კი ჩვენი "ორერაც" ასრულებდა) გაეტანო ველოსოს შესრულებით - ფილმის მუსიკალური და დრამატურგიული ჩონჩხია. ამბობენ, რომ ალმოდოვარის ფილმის პრემიერის შემდეგ, რომში ერთ დღეში გაიყიდა გაეტანო ველოსოს ყველა დისკი.

ალმოდოვარს შემთხვევით არ უწოდებენ "კულტურის დიპლომატს კინოში". მისი ფილმების ნახვის შემდეგ მაყურებელს მუსიკის მოსმენის, წიგნების კითხვის, ძველი ფილმების ნახვის სურვილი უნდა გაუჩნდეს. თანაც შედარებით არაპოპულარული ნაწარმოებების გაცნობის სურვილი. "ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკური ცენზურის ეპოქაში - აღნიშნავს ალმოდოვარი - იმას, რაც არ იყიდება, წართმეული აქვს არსებობის უფლება".

თუმცა მისი ახალი ფილმი "დაელაპარაკე" თავიდანვე კარგად გაიყიდა. ფილმი გასული თვის ევროპული კინოგაქირავების ლიდერი გახდა.



ალმოდოვარი მეფე ხუან კარლოსთან ერთად «რუსთავი» ფოტო

ამბები

ქართული კინოს დღეები კინოთეატრ მეტროპოლისში

1999 წელს ჰამბურგში დაფუძნებული გერმანულ-კავკასიური საზოგადოება “ლილე” უკვე მეორედ აწყობს ქართული კინოს ფესტივალს. იგი 2 ივნისს გაიხსნა და მასზე ნაჩვენები იქნება თოთხმეტი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი (1961-2001). კინოჩვენებას უძღვება კინომცოდნე ჰანს-იოახიმ შლეგელი. მოწვეულ სტუმართა შორის არიან ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე, მიხეილ კობახიძე და დიტო ცინცაძე. ისინი ამჟამად გერმანიასა და საფრანგეთში მოღვაწეობენ. ფესტივალი გაიხსნა გიორგი შენგელაიას ფილმით “ალავერდობა” (1963). ნაჩვენები იქნება ასევე დიტო ცინცაძის “სტუმრები” და მიხეილ კობახიძის ახალი ფილმი En Chemin (2001).

ნამცხვარი რუსთაველი მოცეკვავეებისათვის

“მუსიკით შეკმაზული შინაური ნამცხვარი სასიამოვნო საღამოს საწინდარი იქნება. ნამცხვარიც შეგიძლიათ შემოგვწიროთ, სიამოვნებით მივიღებთ”, გამოაცხადა ერთ-ერთი ვენური ყავახანის დიასახლისმა კარინ ანტრეხტმა. ნამცხვრების გაყიდვით მიღებული ფული გადაეცემა რუსთავის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლს, რომელიც შემდეგ გასტროლებზე გერმანიაში უნდა გაემგზავროს. ყავახანა 9 ივნისს 14 საათიდან ეპატიჟება ფოლკლორისა და ტკბილეულის მოყვარულებს.

ებრაელმა მსახიობებმა „დაგვიანებული ქორწინებისთვის„ ქართული ისწავლეს

ფილმმა საქართველოდან ემიგრირებულ ოჯახზე, ქართველ-ებრაელთა ცხოვრების წესსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ისრაელის კინოაკადემიის ცხრა ჯილდო მოიპოვა. “დაგვიანებული ქორწინება” შარშან კანის ფესტივალზეც იყო წარდგენილი. საქართველოში დაბადებული რეჟისორის, დოვერ ქოსაშვილის პირველ სრულმეტრაჟიან ნამუშევარს დღეს კინოთეატრ “რუსთაველში” ქართული პუბლიკაც იხილავს. ფილმში მონაწილეობენ ისრაელში ყველაზე ცნობილი მსახიობები: ლიორ აშკენაზი, რონიტ ელკაბეტცი, მონი მოშონოვი, რომელთაც საგანგებოდ ისწავლეს ქართული, რადგანაც “დაგვიანებული ქორწინება”, ძირითადად, ქართულენოვანი ფილმია. ფილმის ჩვენება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულს ეძღვნება; ხოლო, ღონისძიებას საქართველოს კულტურის სამინისტრო ისრაელის საელჩოსთან ერთად უწევს ორგანიზებას.

საპატიო ტიტული ბერნსტაინის შემდეგ

ნიუ-იორკის ფილარმონიამ საპატიო დირექტორის წოდება მიანიჭა 74 წლის დირიჟორს, კურტ მაზურს. მაზური მეორეა ლეონარდ ბერნსტაინის შემდეგ, ვინც ეს წოდება მიიღო. წლევანდელ ზაფხულში უკვე 11 წელი სრულდება მაზურის დირექტორობიდან. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და ფილარმონიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მაზურის სახელთან არაერთი საინტერესო ინიციატივაა დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ მან ორკესტრისთვის საკუთარი ხმის ჩამწერი კომპანია შექმნა.

ზაფხულში, როცა მაზურს კონტრაქტი ამოეწურება, იგი საფრანგეთის ნაციონალურ ორკესტრს უხელმძღვანელებს.

დაკარგული ჩანაწერები იპოვეს

წელს გამოიცემა ფოლკ-როკის ისტორიის ყველაზე წარმატებული დუეტის, საიმონისა და გარფანკელის “დაკარგული” ჩანაწერები. კერძო არქივში აღმოჩენილი კოლექცია შეიცავს დუეტის გამოსვლას ნიუ-იორკში. ჩანაწერი გამოვა ალბომის სახით და მისი სახელწოდება იქნება: Lost And Found: Live From New York City 1967.

საკონცერტო პროგრამაში შესულია სიმღერები საიმონისა და გარფანკელის პირველი სამი ალბომიდან (Wednesday Morning 3am (1964), Sounds of Silence (1966), Parsley, Sage, Rosemary and Thyme (1966), ასევე 1967 წელს გამოქვეყნებული ჩანაწერების მეორე მხარეები. მათ შორისაა სიმღერები: I Am A Rock, Sounds Of Silence, A Hazy Shade of Winter-Davy Graham's Anji.

ალბომი საიმონისა და გარფანკელის მეორე და ალბათ, უკანასკნელი “ცოცხალი ჩანაწერი” იქნება. პირველი იყო The Concert In Central Park, რომელიც 1981 წელს გაიმართა. კონცერტზე, ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში, ნახევარმილიონიანი აუდიტორია შეიკრიბა, ხოლო ჩანაწერი მილიონნახევრიანი ტირაჟით გაიყიდა.

„ბოსის„ ახალი ალბომი მალე გამოვა

ბრუს სპრინგსტინმა სენატორობაზე უარი განაცხადა და ახალი ალბომის დასრულება არჩია. მის ბოლო ნამუშევარს The Rising “ქოლუმბია რიქორდსი” ივლისში გამოუშვებს. ალბომზე, სპრინგსტინთან ერთად, მისი უცვლელი “ეკიპაჟი” – E Street Band მუშაობდა. 1984 წლის ალბომის Born in the U.S.A. შემდეგ The Rising პირველია, რომელიც მთლიანად ახალი ჩანაწერებით არის სავსე. ხოლო 1995 წლის The Ghost of Tom Joad-ის შემდეგ, ივლისში გამოსაშვებ ალბომში სპრინგსტინის სრულიად ახალი სიმღერები შედის. მათ შორის არის სპრინგსტინის ამერიკისდმი მიძღვნილი ბოლო სიმღერაც My City of Ruins.

როგორც გახსოვთ, *Born in the U.S.A.* სპრინგსტინის ყველაზე გაყიდვადი ალბომი გამოდგა, რომელმაც 15 პლატინის მოპოვება შეძლო. ამ ალბომის გამოსვლის შემდეგ, E Street Band-ის და სპრინგსტინის გზები დროებით გაიყარა. მუსიკოსი თავის ძველ ჯგუფს 1999 წელს დაუბრუნდა. შარშან კი, მათთან ერთად გამოსცა ორდისკიანი ჩანაწერი Live in New York City მედისონ სქუერ გარდენზე შესრულებული სიმღერების თანხლებით.


სეგოვიას ანდერძი ასრულდა

გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ კლასიკური გიტარის ოსტატის, ანდრეს სეგოვიას ანდერძი აასრულეს და ის თავის მშობლიურ ქალაქში დაასაფლავეს. სეგოვიას ექსგუმირებული გვამი მადრიდის სასაფლაოდან ხაენის პროვინციაში, ქალაქ ლინარესში გადაასვენეს.

მეოცე საუკუნის კლასიკური გიტარის ოსტატად აღიარებული სეგოვია 1987 წელს, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ერთ დროს კაფე-ბარების კლიენტურის გასახალისებლად განკუთვნილი ინსტრუმენტი კლასიკურ კონცერტებზეც გამოიყენეს და ვიოლინისა და ფორტეპიანოსავით დააფასეს. ერთხელ სეგოვიამ თქვა კიდეც: “ჩემი მიზანია, გიტარას უაზრო, ფოლკლორული ტიპის გართობისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტის იმიჯი ჩამოვაშორო”.

გიტარის ოსტატის ქვრივი, ემილია, მეუღლის ლინარესში გადასვენებაზე უარს ამბობდა მანამ, სანამ განსასვენებლი სათანადოდ არ მოამზადეს. სეგოვიას გვამის მისაღებად განაახლეს XVI საუკუნის სასახლე, რომელშიც მუსიკოსის მუზეუმსაც განათავსებენ. მუზეუმში გამოფენენ მუსიკოსის პირად ნივთებს, მის ხელნაწერ ნოტებს, მედლებსა და ჯილდოებს, სამოსს, რომელიც სეგოვიას კონცერტებზე ეცვა. რაც მთავარია, სეგოვიას ხელოვნების მოყვარულები იხილავენ მის საყვარელ გიტარასაც, რომელსაც სეგოვია სიყვარულით La Nina-ს ეძახდა.

Цветочная композиция



Фиолетовый: 1. Две 2×2 и одна 2×3 вправо, две 2×2 и одна 2×3 влево,